

652/
1977/3

ՀՀԱ
ՀՀԱՅԵՐԱԿԱՆ
ՑՈՒՑԱԿԱՐԱԳՐԱԿԱՆ



牛郎织女

អក្សរាគសារ

ସାହିତ୍ୟରେ କାବ୍ୟକରଣ	3
୩. କାଲ୍‌ପାତ୍ର — ଉତ୍ସବରେଖାରୁ ଏବଂ ଶୋଭନାମାଲାରୁ ଧରାନ୍ତରୀ	4
ଲୁହରାକଣ୍ଠରୁକୁଳାରୁ ମନୋମାଲାଲାଲିଙ୍ଗ	
ଚିତ୍ରରେଖାରୁ ପାଇଦାରୁ	
୪. କାରାଲାପା — ଶବ୍ଦାଲ୍ୟରୁ ଏବଂ ବିଦ୍ୟାରୁ ଶ୍ଵାସରୁ	6
ପାଇଥାରୀ, ପରମାତ୍ମା	
୫. କାଲ୍‌ପାତ୍ରରୁପ — ନରା ଲ୍ୟାକ୍‌ଷିଂ	9
୬. କାରାକାରାରୁପ — ହିମ ଧୀରୁ- ଲୁହରାରୁ ଜୀବନିକ୍ଷେପ	10
୭. କାଲ୍‌ପାତ୍ରରୁପ — ବ୍ୟାପକରୁଣାରୁ	28
୮. କାରାକାରାରୁପ — ଲ୍ୟାକ୍‌ଷିଂ	30
୯. କାରାକାରାରୁପ — ଲ୍ୟାକ୍‌ଷିଂ	33
୧୦. କାରାକାରାରୁପ — ଲ୍ୟାକ୍‌ଷିଂ	35
୧୧. କାରାକାରାରୁପ — ଲ୍ୟାକ୍‌ଷିଂ	37
୧୨. କାରାକାରାରୁପ — ଶ୍ରୀମଦ୍ଭାବ ଏବଂ ଚିତ୍ର- ରୂପରେଖାରୁ ମନୋମାଲାରୁ	39
୧୩. କାରାକାରାରୁପ — ଶାର, କମାର- ପିଲାଇ ଏବଂ କାରାକାରାରୁ ଏବଂ ଚିତ୍ରରୁ ପାଇଦାରୁ ଲ୍ୟାକ୍‌ଷିଂ	47
୧୪. କାରାକାରାରୁପ — କ୍ରମାଲ୍ୟରୁ ମାତ୍ର ଏବଂ କାରାକାରାରୁ ନାହିଁବାରୁ	49
କାରାକାରାରୁପ ଏବଂ ପାଇଦାରୁ	
୧୫. କାରାକାରାରୁପ — କାରାକାରାରୁ ପାଇଦାରୁ ଏବଂ କାରାକାରାରୁ	54
କାରାକାରାରୁପ	
୧୬. କାରାକାରାରୁପ — କାରାକାରାରୁ ପାଇଦାରୁ ଏବଂ କାରାକାରାରୁ	67
୧୭. କାରାକାରାରୁପ — କାରାକାରାରୁ ପାଇଦାରୁ	79
୧୮. କାରାକାରାରୁପ — କାରାକାରାରୁ ପାଇଦାରୁ ଏବଂ କାରାକାରାରୁ	86
କାରାକାରାରୁପ ଏବଂ କାରାକାରାରୁ	
୧୯. କାରାକାରାରୁପ — କାରାକାରାରୁ ପାଇଦାରୁ	92

ଲୋକରୁକୁ ପାଇଁ ଶରୀରରୁକୁ ପାଇଁ-ମେହିକାରୁକୁ ପାଇଁ ଏହା
ପାଇଁ ଗଠିତ ହେଉଥିଲା-ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

საქართველოს საზოგად
მფლობელის კავშირისა და
აჟარის განყოფილების
ორგანო

ଧୀରଜ ମାନ — 1977
ଦେଖିଲାଗି — ଅଶ୍ଵମତ୍ତିର

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

ი ს ა მ ი ს ი ს ი ს
ი ს ა მ ი ს ი ს ი ს

რედაქტორი ა. შონია

ხარედაქტორ კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მღივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქტის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.8.77, საბეჭდი თაბაზი 6, საგამომცემლო 5,
შეკვეთის № 3549, ემ 01779, ქალალის ზომა $60 \times 90\frac{1}{16}$, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის 20.



საქორთვის კავშირის ჰიმნი

(ტექსტი ს. მიხალკოვის და გ. ელ-რეგისტანისა,
ტექსტის ახალი რედაქცია ს. მიხალკოვისა).

თავისუფალ ერთა მძღვანელი ქმური
შეუკრავს მუდმივად იღდ რუსთის ხალებს,
გაუგრძელოს ხალხთა ნებისმიერი გმირილს
დღი საგროთა კავშირს, ერთიანს და მძღვანე!

დიდება, სამოგზოვო, ზენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის გურჯი ხარ ზენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
ზინ, კომუნიზმისამარ მიგვიძლვის ჩვენ!

უცხ გრიგოლი გვიდეა მხედ თავისუფლების
და ლენინი იღდი გვინათებდა გხას,
გვა დარაჭება ხალხი გართალ საქმისათვის,
გმირობა და შრომა უთააგონა ხალებს.

დიდება, სამოგზოვო, ზენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის გურჯი ხარ ზენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
ზინ, კომუნიზმისამარ მიგვიძლვის ჩვენ!

კომუნიზმის სამის ზეიმუნი ჩვენ ვხედავთ
ჩვიწნის მომავალს და მას უშორებთ თვალს,
და სამოგზოვო მიმდე, ალისვერი დროშის
უსაზღვროდ და მარად ჩვენ ერთგული ვართ!

დიდება, სამოგზოვო, ზენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის გურჯი ხარ ზენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
ზინ, კომუნიზმისამარ მიგვიძლვის ჩვენ!

შართული თარგმანის ტექსტის ახალი რედაქცია
ირაკლი აბაშიძისა.

ცერენებისა და გეორგელების გარემოს



საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციის ახალ პროექტში ნათლად ასახული და საქვეყნოდ გაცხადებულია ხალხის შემოქმედებითი ძალების, შთაგონებული შემოქმედებათი შრომის აღმავლობისა და სრულყოფისათვის ზრუნვის უმაღლესი პრინციპები.

„სსრ კავშირში ყოველწლიურად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“ — ნათქვამია კონსტიტუციის პროგრესის ოცდამეშვიდე მუხლში.

ჩვენთვის, ლიტერატურის მუშაკებისათვის, ეს ძლიერ ახლობელი, გულში ზამცვლომი და შორს გამიზნული სამოქმედო პროგრამაა. არა, პროგრამა კი არა, — კანონი.

ხოლო ამას წინ უსწრებს სოციალისტური დემოკრატიზმის ღრმად გამომხატველი მუხლი: „საბჭოთა სახელმწიფო ხელს უშეყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების გაძლიერებას, ქალაქება და სოფელს, კონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების შემდგომ განვითარებასა და დაახლოებას“.

ჩვენ მშვენივრად გვესმის, თუ რა უდიდესი როლი ენიჭება მშობლიურ ენას ეროვნული მხატვრული ლიტერატურის მშენებლობაში. ამის შესახებ კონსტიტუციის ახალ პროექტში მთელი მსოფლიოს გასაგონად ნათქვამია, რომ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს აქვს „დედა ენისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების ენების გამოყენების უფლება“.

ისეთი უძველესი მწერლობა, როგორიც ქართულია, მისი დღე-
განდელი ორგანიზაციის ყოველი წევრი სრული მხარდაჭერითა და
რწმენით მიესალმება ახალი საბჭოური კონსტიტუციის ამ პუნქტსაც

ქვეყნის დოკუმენტთა ცენტრულ ბიბლიოთეკის პირობების შემთხვევაში
ამაღლება, ადამიანის მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება ჩვენი სა-
ხელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების უმაღლე-
სი მიზანია.

სასიამოვნოდ მიგვაჩინია, რომ პროექტში მოქალაქეთა პირად
სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთისა და სხვა მოძრავი თუ უძრავი
ქონების მფლობელობის უფლებანი შემდგომ დაკონკრეტებული და
ხანგრძლივი მომავლისათვის დადგენილია.

ყოველივე ეს უსათურდ აამაღლებს მშრომელი კაცის ინტე-
რესს, აწარმოოს მეტი, ხოლო ის მეტი, რაც მას აღარ დასჭირდება,
მიემატება სახელმწიფო და კოოპერატიულ ბეღლებს.

ქართული მწერლობის აჭარის ორგანიზაცია, თვითეული ჩვენ-
განი, როგორც მშობლიური საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქენი,
შხარს ვუჭერთ საბჭოთა კონსტიტუციის ახალ პროექტს. ვიმედოვ-
ნებთ, იგი ახლო მომავალში მიღებული იქნება, როგორც ჩვენი
ცხოვრების ძირითადი კანონი.

ფრიდონ ხალვაში.

ლაკარაპოგენ მომავალი წიგნების გმირები

ფინანსთა მინისტრის მინისტრი რომ კაბინეტი / კაბინეტის
იურიდიული ცირკულარის ფინანსთა მინისტრი ბრძანები ინიციატივის
და უკანასკნელი მინისტრის მინისტრი მინისტრის მინისტრის
აუდიტორის მინისტრის მინისტრის მინისტრის მინისტრის
მინისტრის მინისტრის მინისტრის მინისტრის მინისტრის
ჭავი ქამარაძე,

შუახევის რაიონის სოფელ ნენის
კოლხეურნეობის ჭევრი, ორდენსანი

უგაღდესი აღაშიანური უფრვბა

აღაშიანის ცხოვრებაში ბევრი რამ შეხვდება, კარგიც და ავაც-
სიხარულიც და მწუხარებაც, სიკეთეც და ბოროტებაც. განვლილ
გზას რომ გადასხდავ, ყველაფერი შეიძლება არ გაგასხსენდეს, მაგრამ
გონიერებაში ამონათდება საინტერესო ამბები, ბიოგრაფიას რომ ქმნი-
ან.

მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შეგნებული ცხოვრება საბჭოთა-
ხელისუფლების წლებში გვავტარე, ბევრი სიძნელეც შემხვდა ამ-
გზაზე, მაგრამ ამის გარეშე სიცოცხლე ალბათ უინტერესო იქნებო-
და.

ჩემს მშობლიურ სოფელში ჭალაში სკოლა რომ გაიხსნა, მე
ბათუმის კულტურაგანმანათლებლო სასწავლებელში ვტავლობდი.
დავამთავრე ამ სკოლის შვიდწლიანი კურსი და კვლავ სოფელში და-
ვბრუნდი, მაგრამ აქ მეოთხე კრასში ჩამრიცხეს, იქნებ სხვებმაც
გოგბაძონ, ნავსი გატყდეს და ქალიშვილები სკოლაში გამოიშვან.

მიმე დღეები იყო მაშინ, მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა ძვე-
ლსა და ახლს შორის, დრომოჭმულსა და მზარდს შორის. და ძველი
ადათ-ჩვევები ჯერ კიდევ თავისას აეთებდნენ, ჭალი სტუმართან
ვერ გამოჩნდებოდა, საზოგადოებაში სახედაფარული უნდა გამო-
სულიყო, ხმამალლა ვერ დაილაპარაკებდა თავის ოჯახის წევრებთა-
ნაც კი. ვინც ამ წესებს დაარღვევდა, სახელს უტეხდნენ, ემუქრებო-
დნენ. მასსოვს ერთმა გარეწარმა, როგორ ისარგებლა მამაქემის შინ-
არყოფნით და რამდენეგერმე, შუალამისას არაადამიანური ჩხავილით
შეგვაშინა ბავშვები მხოლოდ იმიტომ, რომ მე და ჩემი დები თავ-
დაუხურავად დავდიოდით. ისიც მასოვს, ერთ-ერთი „სტუმრობის“



დროს დედაქემპა შაშხანა რომ გადმოიღო და ოთახიდან მიბრჭინით ესროლა სახლის კედელზე ატუზულ დაუპატიჟებულ სტუმარს.

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის განხილვასა და მიღებას ჩემს სოფელში შევხვდი. ამ კონსტიტუციამ კიდევ უფრო ნათელი გახადა საბჭოთა წყობილების სიღიადე და სიკეთე, რამაც ბეჭნიერი ცხოვრება მოუტანა მშრომელ ხალხს, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა, საბჭოთა ოდამიანებზე ზრუნვა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რამაც პრაქტიკულად დაამტკიცა საბჭოთა წყობილების უბირატესობა და საბოლოოდ ლაპვარი ჩასცა ყველა ურწმუნოს, ვისაც არ სწამდა ოქტომბრის დიდი მონაპოვარი.

საზოგადოებრივი საქმიანობა 1938 წელს დავიწყე. ეს ის პერიოდი იყო, როცა მიწის დამმუშავებელი მხანაგობების ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო არტელები იქმნებოდა. არტელის პირველ თავმჯდომარედ ჩვენს სოფელში სულეიმან შარაშიძე ავირჩიეთ. სოფლის მოწინავე ქალებმა ჩვენს ირგვლივ შემოვიყრიბეთ სხვებიც და პირველ წელს დიდ წარმატებებს მივაღწიეთ.

სამი წლის შემდეგ დადგა მძიმე განსაცდელის დღები. ფრონტზე წავიდნენ მამაკაცები, მათი იდგილი ჩვენ დავიჭირეთ, ახლა სამაგი ენერგია იყო საჭირო, რომ ვაკეაცების მაგივრადაც გვემუშავა, დავხმარებოდით ფრონტს რითაც შეგვეძლო. ჩემი სოფლის მეორე ბრიგადის ხელმძღვანელობა მომანდეს. უკანდახვევა აბა როგორ შეიძლებოდა, ჩემმა თანატოლმა გოგონებმა ამიბეს მხარი და ცხოვრების მეტად მძიმე პირობების მიუხედავად თავი არ შეგვირცხვენია, გადაჭარბებით ვასრულებდით სამეურნეო გეგმებს. ოჯახურ საქმეს როგორ შეელევა ქალი, მაგრამ ბევრ რამეს ვიკლებდით და მე და ჩემი დები დედას ვეხმარებოდით მეომრებისათვის წინდების მოქსოვაში, თბილი ტანსაცმლის დამზადებაში.

ცხოვრება თავისის მოითხოვს, მეც ოჯახი შევქმენი სოფელ ნენიაში, ოთხი შეილი შემეძინა, მაგრამ ერთჯერ არჩეული გზისათვის არ მიღალატია; ყოველწლიურად გადაჭარბებით ვასრულებდი გეგმებსა და ვალდებულებებს. ამ საქმეში დიდი სტიმულის მომცემია სოციალისტური შეჯიბრება.

სიტყვამ მოიტანა და მე, როგორც საკოლმეურნეო შრომის ვეტერანს, არ შემიძლია ორიოდე წინადადებით არ შევეხო შეჯიბრებას, მის დადებით გავლენას. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება უყურადღებოდაა მიტოვებული, მაგრამ იგი როგორლაც ცალმხრივ ხასიათს ატარებს, ყველა დარგს ვერ მოიცავს. მაგალითად, მეთამბაქოეობაში ეს საქმე უკეთესადაა მოწყობილი, ვიღრე, ვთქვათ, მეცხოველეობაში ან მევენახეობაში.

მეთამბაქოები უკეთეს შედეგებსაც ვაღწევთ. ახლა მთავარი ხარისხია. ამიტომ ჩვენ სწორედ ეს საკითხი უნდა წამოვჭიოთ წინ და გავაჩალოთ შეჯიბრება მაღლი ხარისხის თამბაქოსათვის. მე და ჩემი მეზობელი ლუთბიყ მიქელაძე დიდი ხანია ამ საქმეში ვეგაბრებით ერთმანეთს და კოლმეურნეობაში ყველაზე უკეთესი ხარისხის ნედლეულს ვწარმოებთ. ჩვენს მიერ მოწეული ყოველი კილოგრამი თამბაქო გაცილებით მეტს ფასობს, ვიდრე საშუალოდ კოლმეურნეობაში. გამოძგარიშებულია, მაგალითად, რომ ერთი ტონა ლია მესამე ხარისხის თამბაქოს იმდენი თანხა შემოაქვს, რამდენიც 4-5 ტონა მეოთხე ხარისხის ნედლეულს. აი რას ნიშნავს პროდუქციის ხარისხი.

სოფლის შრომელებს პარტიის და მთავრობის დიდ ზრუნვად
მიგვაჩნია, საკარმილამო ნაკვეთებზე თამბაქოს დარგვის ნება რომ
დაგვრთეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს შრომელთა უკონომიური
მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ახლა ყველა კოლმეურნე უნ-
და ეცაროს, რაც შეიძლება გონივრულად გამოიყენოს საკარმილამო
შიწის ნაკვეთი, პირადი მაგალითით სხვებიც დაიინტერესოს.

ახალი კონსტიტუციის პროექტში კიდევ უფრო ნათლად აისახა ადამიანის ზრუნვა და პატივისცემა. ამასთან დაკავშირებით ვიხსენებ ლ. ი. ბრეუნევის გამოსკლას, მის სიტყვებს, თუ რაოდენ დიდი ფასი აქვს ადამიანს, თავისუფალ შრომას, შემოქმედებას. ამას დღეს ყველანი ვგრძნობთ, ყველანი განვიცდით. ჩვენ მართლაც არნახულ სიმაღლეზე ავედით. ბეჭნიერად ვცხოვრობთ და მშვიდობიანად ვშრომობთ. პარტია და მთავრობა კიდევ უფრო მეტს, უფრო უკეთესს გვპირდებიან. ცხადია, მე-10 ხუთწლიანი გეგმის განხორციელება გაცილებით მაღალ დონეზე აგვიყვანს, კიდევ უფრო საამურს გახდის ჩვენს ყოფა-ცხოვრებას.

თუმცა, კაცმა რომ თქვის, ახლაც ჩინებულად ვცხოვრობთ. ავი-
ლოთ თუნდაც ჩემი ოჯახის მაგალითი. მეუღლე რაიონის საყოფაც-
ხოვრებო მომსახურების სისტემაში მუშაობს, ვაյо სამხედრო მო-
სამსახურეა, ქალიშვილები მედიცინის მუშაკებია, სიძეებიც ღირსე-
ულნი შემხვდნენ: ერთი ექიმია, მეორე — პედაგოგი, მესამე სტუ-
დენტი — სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტი. მართა-
ლია, შვილებმა საკუთარი ოჯახები შექმნეს, ჩემი სოფლიდან წავიდ-
წამოვიდნენ, მარტო დამტოვეს, მაგრამ მაინც მადლობის გრძნობით
ვიხსენებ თუნდაც იმიტომ, რომ 11 შვილიშვილი შემძინეს.

မျှ မာတေ ပျော်နှင့်ရှုံးပါတ ဒ္ဓာရာဇ်.

ბელნიერება უმაღლესი აღამიანური უფლებაა.

* * *

როცა მოვკვდები, ნაწილ-ნაწილ და მისხალ-მისხალ
 თქვენში დატრჩები, მეგობრებო... ზოგი ყელამდე
 სავსე იქნება ჩემი რწმენით, ჩემი ოცნებით,
 ზოგს ეხსომება ჩემი ლექსი, ჩემი ღიმილი,
 ზოგი თაყვანს მცემს, ზოგი კიდე გამკიცხავს, ზოგსაც
 არც ეხსომება თუ ვიყავი... წარმოიდგინეთ,
 არც ეს მაღარდებს, რადგან ვიცი, ბოლოს და ბოლოს,
 ამ ქვეყანაზე არაფერი არ იყარება
 და დავიწყებაც — თავისთავად არსებობაა
 იმის, რაც უნდა გაიხსენოს აღამიანმა!

* * *

დღეს კიდევ ერთი წელიწადი დავასამარე!..
 გადაითურცლა კალენდარი და იგი ახლა
 საფლავის ჭრაშვეს, რომ აღნიშნავს ჩემს მავიღაზე
 განსვენებული წელიწადის დამარხვის ადგილს.
 არ „საფლავის ქვას“ არ ამშვენებს ეპიტაფია:
 „ჩყწ წელსა“ ან „შენდობა მითხარი, მგზავრო!“
 მას აწერია ხელგაკრულად: სად, როდის, რატომ,
 რაც მთავარია, ვისთან ერთად... პო, ვისთან ერთად
 დროის მოკვლისთვის უნდა ვაგო ახლა პასუხი!

მამია ვაჩანიძე

ჩ ა მ ი ა დ ი ფ უ ლ ვ თ ი

1981 8 0 0 6 8

ჩვენი სალამო გრძელდება. მე განვაგრძობ კითხვას...

რატომ ჰქვია ამ თავს დევნილი? ვინ არის იგი? როდის მოხდა ეს?

ჰავდარ აბაშიძემ რომ შეატყო ქაზიმ მეჩონგურეს (იგი ხომ ხშირად ხვდებოდა ჰავდარს) კოწიას გოგო უყვარსო, შეპირდა, კაცი არ ვიყო თუ ეს გურული გოგო ცოლად არ შეგრთოო. მაგრამ... ბატონი ჰავდარი მოულოდნელად წავიდა ჩვენი ქალაქიდან, წავიდა კი არა, განდევნეს... რატომ? იყოთხავთ თქვენ. სწორედ ამაზე უნდა გიამბოთ ხან მე და ხან ქაზიმ მეჩონგურემ, რაღაც მეჩონგურემ განა უკეთ არ ციის თავისი თავ-გადასავალი! მე ის ლაშე უნდა გაატიხსენო, ჩვენს ქალაქს რომ შორე-ბოდა ბატონი ჰავდარი... და რა თქვა მაშინ მან, ანუ რა დაუბარა მოძმე-ებს, მათ შორს ქაზიმ მეჩონგურეს. საპასუხოდ რა ითქვა, ანუ რატოშ უთხრა ქაზიმ მეჩონგურემ ასეთი სიტყვა ბატონ ჰავდარს: „ჩინგური ჩვენა კუთხის ხალხის გულისთქმა იყო, ჩვენი ტკივილის, ტანჯვის ამო-თქმის საშუალება. ახლა შენა ხარ ჩვენი გულისთქმა და შენს ანდერძს ლექსებად ავკინძავ და ჩონგურ-ჩინგურ სიმღერითა და მოთქმით მთელ ჩვენს კუთხეს მოვდებ“. რა იყო ეს „გულისთქმა“, რომ ჩვენი მეჩონგუ-რეც აუღელვებია? მაში, მომისმინეო ძვირფასო აღამიანებო.

1

— ყავახანაში კაცი მოვიდა. — ასე დაიწყო ქაზიმ მეჩონგურემ, — მე მომნახა და გარეთ გამიწვია. მითხრა, ჰავდარბეგი გეძახისო. სად არის?

გაგრძელება. დასაწყისი „ჭოროხის“ 1975, №№ 5, 6; 1976, №№ 3, 4, 5, 6; 1977, № 3.

ვკითხე მოსულს. წამომყევიო. მე გავჟევი იმ კაცს. ბევრი ვიარეთ  ცოტა, მივადექით ძმ სახლს, სადაც გველოდებოდა პაიდარბეგი. მიღებული კუნეთ. კარი გავგიღო ვიღაც უცნობმა ახალგაზრდამ და შეგვიპატიუა-შევედით. შუა დარბაზში იჯდა პაიდარბეგი, სულ ცხრა-ათი კაცი იყო, პაიდარი სელში გაზეთს ატრიალებდა. როცა დამინახა, გამილიმა და მო-მესალმა, სკამი მიაწოდეო, უთხრა ახალგაზრდას. სკამი მომაწოდეს და მოხერხებულ ადგილას დავგვექი. ახლოს მოიწითო, თქვა პაიდარ-ბეგმა, რა-დაც სათქმელი მაქვსო. როცა ახლოს დაცუჭექით, მან გაშალა გაზეთა, ხელში რომ ეჭირა, და თქვა:

— ამას „ბათუმის გაზეთი“ ჰქვია. ამ ნომერში ერთი ჩემი წერილა-დაბეჭდილი. მე რამდენიმე ნომერი შევიძინე, რომ იმას მივცე ვისაც უნ-და. წაიყითხოს თვითონ და უამბოს სხვასაც თუ რას ვქადაეგძ მე და რას ფიქრობთ თქვენ, ჩემი გულისხმის აღმიანები. ვის გნებაგო მოვცეთ?

პირველი ხმა მე აღმომხდა, მაინტერესებდა რა ეწერა, ჩვენი რა გუ-ლისტკივილი ჩადო-მეთქი ამ წერილში პაიდარბეგმა.

— ქაზიმ ბიძია, ერთი შეკითხვა შეიძლება? — ვუთხარი მე.

— კი.

— ხომ გახსოვს, ქედაში აბდულ მიქელაძის სახლში ზაქარია ჭიჭინა-ძე რომ შეგხვდა და შეგპირდა, ქართულ წერა-კითხევის გასწავლიო, თუკა წერა-კითხვა იცოდი, რატომ არ უთხარი მას? ხომ გაეხარდებოდა იმ და-ლოცილს?

— ჴა, ისე ვიცოდი ქართული წერა-კითხვა, ჩემით ვწწავლობდი. კარ-გად კი ვწერდი არაბულად, ხოჯასთან მქონდა ნასწავლი. ჴოდა, რავი წე-რა-კითხვა იცი, რომელ ენაზეც გნებავს იმ ენაზე დაწერ. თუნდაც კარ-გად მცოდნოდა ქართული წერა-კითხევა, ზაქარია ეფენდის ხომ არ ვეტ-ყოდი, ამ მასწავლო-მეთქი. ასეთ კაცს ამას როგორ ვკადრებდი, წეტავი-სს მყოლოდა მასწავლებლად ახალგაზრდობაში, მაშინ რა გამიჭირდებო-და!

— ჴო, კარგი ჩემო ქაზიმ ბიძია, ახლა ისევ დაუბრუნდი შენს ამბავს. ქაზიმ მეჩონგურე განაგრძობს თავის ამბავს.

— რაზე ცლაპარაკობ ამ წერილში, რა მაწუხებს მე და რაში მჰირ-დება თქვენი მხარდაჭერა? — თქვა პაიდარბეგმა. — გეტყვით, მომისმი-ნეთ. ოდესაც ჩვენი კუთხე ძალიან დანათლებული, დაწინაურებული იყო. ქრისტიანები ვიყავით. მერე როცა ოსმალებმა დაიბურეს ჩვენი მხა-რე, აგარლებს ძალით რკილი შეუცვალეს, მუსლიმთან მონათლეს. სამა-სი წლის განმავლობაში ოსმალეთის ხელში ვიყავით და ბევრი ვიტანჭეთ, ბევრი რამ დაკურეგო, მაგრამ ჩვენი დედაენა არ დავვიკარგავს. ბევრმა არც კი იცის ვინ არის თვითონ, არ იცის, რომ მისი წინაპარი ქრისტიანი ქართველი იყო, და თვითონაც ქართველია. ამდენი ხანია ჩვენი კუთხე დედასაქართველოს დაუბრუნდა, მაგრამ მაინც ყოველმხრივ ჩამორჩენი-



ლია — განათლებითაც და შეგნებითაც. ასეთ ადამიანებთან დღედაღმცემა
ტრიალებენ თურქოფილები, რას არ ჩახავენ და ვონებას უცარგავენ
ჩვენს თანამემამულებს. ამიტომაც არის, რომ გახშირდა მუჭატირობა,
შიდიან და მერე სად, ჩვენს დამღუპველ ქვეყანაში. ჩვენ გვინდა ქართუ-
ლი სკოლები, სწავლა ჩვენს დედაენაზე. გაგვისწნეს თითო-ოროლა სკო-
ლა, მაგრამ იქ ჩვენი დედა ენა მეტად დაუწინებულია, არ გვეძლეთ საშუ-
ალება მთელი მონდომებით დავეწაფოთ ჩვენს დედა ენას. ხელს გვიშ-
ლიან თურქოფილებიც და მეფის მოხელეებიც. არ არის მტკიცე, მმური
კავშირი ქრისტიან და მაპმადიან ქართველებს შორის. ეს ასე არ უნდა
გაგრძელდეს, საჭიროა ჩვენს ხალხში შეგნების შეტანა, მათი ეროვნული
გათვითცნობიერება. ეს კი უნდა ვითავოთ ჩვენ, მოწინავე ადამიანებმა,
რომლებსაც ძალიან კარგად გაგვეგება რანი ვიყავით ჩვენ და ვინა ვართ
დღეს ჩვენ. ამ კეთილშობილური აზრების ხალხს გულში ჩათესვა ჩვე-
ნი, ყველას — ქრისტიანი და არაქრისტიანი ქართველების წმინდათაწმი-
ნდა მოვალეობაა. ამ თქვენ იცით. ამიტომ მოგიხმეთ დღეს აქ. ჩვენ მო-
მავალშიც ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს, სიცოცხლეც კი არ უნდა
დავწიოვოთ ამ დიდი ეროვნული საჭირობოროტო საქმის ბლოკიდე მისაუ-
განად. რას იტყვი შენ ქაზიმ მეჩოვეგურევ? — მომიბრუნდა მე ჰაიდარი.

— შენი ნათქვამი ჰაიდარბეგ, მე გულში ჩამებეჭდა. ამ შენს წერილს
მე ყველას წავუკითხავ ქალაქშიც და სოფელშიც. ვიცი, რომ ზოგიერთი
წინ გადამიდგება, მაგრამ არა, ქაზიმ მეჩონგურე უკან არ დაიხევს. ათი უგ-
ნური თუ შემიძულებს, ოცი ჭკვიანი შემიყვარებს. ყველაფერი ერთ დღეს
არ გაკეთდება, მაგრამ თანდათან, შენი და მემებდეგის აზრი მთელ ჩვენს
მხარეს მოედება... — ვთქვი მე.

ჰაიდარბეგს გაეხარდა და სამჯერ გაიმეორა, მე თქვენი დიდი იმედი
არ გაკეთდება, მაგრამ თანდათან, შენი და მემებდეგის აზრი მთელ ჩვენს
შეკრებას ისინიც ბლომად ესწრებიანო.

როცა დავიშალენით, ჰაიდარბეგმა ცალკე გმირმო და მითხრა:

— აბა, შენ იცი, ჩონგურიც აამეტუვლე. ლექსებიც დაწერე ამაზე
და დაამღერე ჩონგურზე. შენი ბურთი და მოედანი ყავახანაა. იქ ბევრი
ჩვენებური თავს იყრის. განსაკუთრებით პარასკევობით.

— დღეს პარასკევია ბატონო ჰაიდარ, და მე ახლავე ვავწევ ყავახანი-
სკენ. შენს გაზიეთს გადაგმლი და... დანარჩენი მე ვიცი — ვუპასუხე და
დაფერშვიდობე...

ყავახანაში ბევრ სოფლელს მოეყარა თავი. პარასკევობით ქამეში
სალოცავად ჩამოლიოდნენ. მე ჩემი აღგილი მოვნახე. საუბარში ჩავერ-
თე. ვინ რა თქვა და ვინ რა. მეც რაღაც ამბავი ვთქვი. მერე უბიდან გაზე-
თი ამოვილე და შევეკითხე:

— არ გაინტერესებთ, რას სწერენ გაზიეთში?

მე გაშალე გაზეთი. გერ პატარ-პატარა ამბები წავიკითხე. ვკითხუ-
ლობდი ნელა, ხმამაღლა, ბოლოს ჰაიდარბეგის წერილის კითხვა დავიწ-
ყე. ზოგი მისმენდა, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ვიღაცამ უკანიდან-
ხელი მოკიდა და მაგრად შემანქლრია. მოვიხედე. ჯალათივით ვიღაც და-
მდგომილა თავზე. წელზე მაუზერი ეკიდა. ხუმრობა არ იყო ამასთან და-
ვა. არც მიდავია. გაზეთი დავკიცე და უბეში უნდა ჩამედო, რომ ხელი-
დან გამომგლიფა და ნაუწ-ნაუწად აქცია, იატაკზე შიმოაპნია. ვიღაცებს-
ელიმებოდათ, ჩანს ახარებდათ მაუზერიანის ასეთი საქციელი. მიერვდი,
საბაბს ეძებდა მაუზერიანი. იგი მარტო როდი იყო. ვარჩია გაჩუმება.
ძალით გავიღიმე და ვთვვი. მე თვითონ უნდა დამეხია-მეთქი. თავს შეუ-
რაცხყოფილად კი ვგრძნობდი, მაგრამ რა მექნა. ცოტა ხნის შემდეგ და-
ვტოვე ყავახანა და სახლში წამოვედი. ვითიქრე, იმ წერილში რა ეწერა-
ხომ ვიცი, ჰაიდარბეგმა რაც მითხრა, ხომ მახსოვეს. ჰოდა, ამაზე დაფწერ
ლექსს და დავამღერებ ხალხში-მეთქი. ის ღამე თეთრად გავათენე და სუ-
რვილიც ავისრულე. მერე ჰაიდარბეგი ვინახულე, ყველაფური ვუთხარი,
ნუ გეშინია მე აქ ვარ, მხარს დაგიჭერ, შენ დღესაც მიდი ყავახანაშა,
ჭუმაა, ხალხი იქნება, ჩამოჰკარი შენს ჩონგურს და დაამღერე. მეც იქ
გეახლებიო. ასც მოვიქეცი. ჩონგურზე რომ ვამღერებდი. ორი მხლებ-
ელით ჰაიდარბეგი შემოვიდა და განგებ იყითხა — ქაზიმ მეჩონგურე ხომ
არ ვინახავთო. მე ირგვლივ ხალხი შემომსეოდა და თითქოს ვერ მამჩნე-
ვდა. აგრე არასო, მიუთითეს ჩემზე. მოვიდა, გადამეხვია, მერე გარეთ გა-
მიხმო და მითხრა:

— ყოჩალ, განაგრძე, ნუ გეშინია. რაფი მე აქ მნახეს, აწი შენ ვერა-
ვინ ვერ გავიბედავს ცუდს.

დამემშვიდობა და წავიდა. ხალხი გაოგნებული შემომყურებდა. ხუ-
მრობა, ჰაიდარბეგმა ისურვა ჩემთან საუბარი. ვინ რას გამიბედავდა.

2

ჩვენ ახლაც ჰაიდარბეგ აბაშიძესთან ვართ. დაფქრებულია. მერე,
თავს მაღლა აიღებს და იტყვის:

— წაიკითხეთ „ბათუმის გაზეთში“ ჩემი წერილი არაბი ფასფი-ეფენ-
დის შესახებ?

ერთხმა თქვა კიო, ესე იგი დანარჩენებმა არ ვიცოდით ამ წერილისა
შინაარსი. მანვე განმარტა.

— ამ ვაჟბატონის სურვილია, ჩვენს ქალაქში სუსველაფერი თურ-
ქულ ენაზე იყოს: გაზეთიც, თეატრიც, წიგნებიც გამოიცეს თურქულ
ენაზე. კარგი ბატონი, ჩვენ არც ერთ ენას არ ვწუნობთ, მაგრამ ჩვენს

დედა ენას რატომ სდევნიან? დრო გვიხელთეს? მართლა რომ სავალა-
ლო დროა. დედა ენის შებლალგამ ჩევენ დაგვცა, დაგვაკნინა და ფაგვაპა-
ნია. ბატონ ვასფი-ეფენდის მოუსურებელია ახლადმოცოცხლებულა-
ცოტათ თუ ბევრად გაღვიძებულ ქართველ მაჭმალიანებში თურქული გა-
ბა-
ბატონის, ჩვენი დედა ენა კი მოსპოს. არა და არა, ეს არ მოხდება. ჩვენ,
შეგნებული ქართველი მაჭმალიანები ამის სასტიკი წინააღმდეგი გართ.

— მაშ, რა უნდა ვაკეთოთ, ჰაიდარ ბატონი, — უთხრა ერთმა შუა-
ზნის კაცმა, რომელსაც შალვა ერქვა.

— ჩემი შალვა, ის უნდა ვაკეთოთ, რომ ვებრძოლოთ ამ ვასფა-
ეფენდის ყოველნაირად. ის მარტო როდია, მომხრე და თანამეტობი
ბევრი ჰყავს... და მოგეხსენებათ, ჩვენს ხალხში რაც მათ სურთ იმას
სთესავენ. ვიმეორებ, სავალალო დრო უდის ჩვენს მხარეს და ამ მომე-
ნტში ყველა მტერს ადვილად შეუძლია ჩვენიანთა სულის მოწამლვა.
ჩვენ ხმალი არ უნდა ჩავაგოთ ქარქაშში, და არც ენა უნდა ჩავიგდოთ მუ-
ცილში, — თქვა ჰაიდარბეგმა.

— მე რა ვქნა, რა ვაკეთო? — ახლა მე ვკითხე. მინოდა მისი
დასტური.

— რა ქნა და ის, რაც შეგიძლია. დაწერე ლექსი საძაგელ გასფი-
ეფენდიზე და ხალხში გაპეიდე შენი ჩინგურით, — მითხრა ჰაიდარბეგმა.
ცხადი იყო, რასაც გვირჩევდა და გვავალებდა ჩვენი თავკაცი. მე ის
ლამეც თეთრად გავათენე და ერთი კა გამაჯორავი ლექსი გამოვაცხე ვა-
სტი-ეფენდიზე. ამ ლექსს სად არ ეამლერებდი ჩინგურზე. რა მაშინებდა,
ჰაიდარბეგი მყავდა დამცველად. ესეც არ იყოს, მეც მეკიდა სახლში მა-
ჭახელა და უანგს არ ვაკარებდი, რომ საჭირო დროს დამექუხებინა.

3

— ახლა კიდევ ერთი მტერი გამოგვაჩნდა, რომელიც მოძმის ქურქ-
შია გახვეული. ვინ არის იგი? — ასე დაიწყო საუბარი ჰაიდარბეგმა. —
გაგიგონიათ ყარალაზადე? მისი ქართული გვარი ზაქარაძეა. აქაურია.
უმაღლესი ცოდნა კონსტანტინოპოლიში მიუღია, მშობლიური ყოველი და-
ვიწყებია და ეთაყვანება უცხოს. ბევრი თანამოაზრეც ჰყავს. რაკი აქაუ-
რია, ადვილად ატყუებს ჩვენიანებს. დედა ენაზე ლაპარაკი კი ეთაკილე-
ბა. ეს კაცი მაგონებს ლამურას, რომელმაც თვისტომობა უარპყო და
სხვად იქცა. ამ ყარალაზადესაც ის ბედი მოელის, რაც ლამურას. — თქვა
და გაზეთი გაშალა.

— მერე და თქვენი მახვილი კალამი სად არის? ვერ გაურჭობ
გულში ხანჯალივით? — თქვა შალვამ.

— ისე მოგეცა ლხენა, როგორი მახვილიც მას გაუურჭე გულში. აი,
წერილიც — „ამასაც მტკიცება უნდა?! ანუ პასუხად ჩვენს გადაგვარე-

შულ თანამოძმეს და თანამოძმეს ბატონ ყარალა-ზადეს". წაიკითხეთ დღევანდელი „ბათუმის გაზეთი“. მე მოკლედ გეტუვით რაშია საქმეა ყარალა-ზადემ „ბაქოს გაზეთი“, „ილბალში“ დაბეჭდი წერილი „ქართველი მუს-ლიმანების შესახებ“. იგი თავს ესხმის „ბათუმის გაზეთში“ დაბეჭდილ ჩემს წერილებს და ეროვნულ საქმეებში მჩხრეკავს მიწოდებს. იგი მხარს უჭერს ქართველთა მოძულეს და თურქოფილთა თაყვანის მცემელს ვა-ფი-ეფენდის: იგი გვირჩევს, რომ ჩვენი, ეროვნული დავივიწყოთ და სხვისას მივსდიოთ. ბატონი ყარალა-ზადე ტყუილად ირჯება იმის დასამ-ტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად გამაჰ-მადიანებულმა ქართველობამ დაჭარგა თავისი ეროვნული სახე, გადავ-გარდა. არა, ეს მტკნარი სიცრუეა. გადაგვარებული ქართველი მხოლოდ თვითონაა, რომელსაც დაუკარგავს თავისი ეროვნული შეგნება და მისი სული დახავსებულ-დაჭაობებულა, შიგ კი ქვეწარმავლებს დაუბუდებია.

— მერე რა გავაკეთოთ ჩემო ჰაიდარბეგ? თუკი დამავალებ, მოვკლავ მაგ ყარალა-ზადეს, საღმე ბნელში დავხვდები და სულს ამოეხდი, — თქვა ყაბალახინმა, რომელსაც მაჭიხელა მხარზე მოეგდო.

— არა ჩემო დურსუნ, ჩვენ ტერორი არ გვიცირდება. მაგრამ უნდა ვიცოდეთ რაში სცრუის ყარალა-ზადე, რა ზიანი მოაქვს ჩვენთვის ხალხის ამ გამყიდველს და არამხადას... და სხვებსაც შევაგნებინოთ სიმართლე, თორებ ათასმა გარეშარმა დაღრღნა, დაპკაწრა ჩვენი ხალხის წმინდა სული და რა წნას ამ საბარალო ხალხმა. ასეთ ოხერთ არ უნდა მივცეთ იმის სა-შუალება, წამლონ ხალხის სული. — თქვა ჰაიდარბეგმა. მერე მე მომიბ-რუნდა და მითხრა: — ახლა ხომ იცი რა უნდა გააკეთო შენ მეჩონგურევ?

კიმეთქი, ვუასაუხე...

და ის დამეც თეთრად გავათენე, საზიზლარ ყარალა-ზადეზე დავწერე ლუქსი. მთლად ლაფში ამოვსვარე, გველად, კონჭოლოზად, ავსულაშ გამოვაცხადე. განა ავსული არ იყო! იმდენი ზიზლი და სიძულვილი ჩავდე ამ ლექსში, რომ თვითონ მიჭირდა ჩემი ხმის მოსმენა. და მოხდა ერთი რამ...

ერთხელ ღამით მოვდიოდი ჰაიდარბეგის სახლიდან. ბევრი მპატიკა, ახლა გვიანია, ნუ წახვალო, მაგრამ მე დამერიდა, უარი ვთქვი, ნათესავი მელოდება, რომელიც აქვე ქალაქის განაპირობა ცხოვრობს-მეთქი. და წამოვედი. ეკლესიასთან რომ მოვალწიე, ვიღაც გამოსტა სიბნელიდან და წინ დამიღვა. უცნობი იყო.

— შენ ქაზიმ მეჩონგურე ხარ? — მრისხანედ მკითხა მან.

— დაახ, რა გნებავს?

— შენი გამონაცვალი და ფული.

— მე ერთი ჩაქურა მაცვია და იმას არც გავიხდი თუნდა ღმერთმა შიბრძანოს. ფული კი არ გამაჩნია, ღარიბი ვარ...

და ამ დროს ვიღაცაშ უკანიდან თავში რაღაც ჩამარტყა და გორებული დავკარგე. მეტი არაფერი მახსოვეს. მეორე დღეს მოვედი გონზე საავად-მყოფოში. ტანზე ჩაქურა შემოეხიათ ჩემთვის. ჩონგური დაელექტა... ალბათ ეგონათ მოვალითო და მიმატოვეს, ზედინ იქ ჩემი ვენერას მა-მას კოჭია ბიძიას გამოუვლია, ვუცნივარ, მხატრონებია. და აი, საავად-მყოფოში ვარ. ჰაიდარბეგმაც მინახულა. ძალიან დაღონებულია ჩემს გამო. „არამზადები!“ — ზიზლით თქვა ჰაიდარბეგმა. ვიდრე ფეხზე არ-დამაყენა, არ მოშშორებია.

4

მე მახსოვეს თურქოფილების ერთი აურზაური ჩვენს ქალაქში ჰა-ლარბეგის წერილის გამო. მაშინ რუსეთი უკვე ომობდა. ბევრი სახელ-მწიფო ომობდა. ესე იგი პირველი მსოფლიო ომი დაწყებული იყო. ოს-მალებმა საღვთო ომი გამოაცხადეს და ყველა მაჰმადიანს მოუწოდეს იარაღი აელში და ებრძოლათ ქრისტიანების წინააღმდეგ, რად-გან ისინი ჩვენ მოსპობით გვემუქრებიანო. ტყუილი, არავინაც არ ემუქ-რებოდა მათ, სხვა გუმანი ჰქონდათ, ზოგიერთი ქვეუნის დაპყრობის გუ-მანი ჰქონდათ... და ჩვენი მხარის მევიდრებსაც უსისინებდნენ — აიღეთ ხელში იარაღი და დაერიეთ ქრისტიანებსო. ოსმალეთის მესვეურთა ამ მოწოდებამ მეტად გაახარა და გამოაცოცხლა ჩვენებური თურქოფილება, შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი, კაციც მოიკლა. ამ დროს ზარბაზანივით გავარდა ჰაიდარბეგის წერილი „ბათუმის გაზეთში“. ამ წერილით მიწაზე გაასწორა ყველა თურქოფილი. „რა შუაში არიან აჭარლები, რომ ეუბნებიან (როგორც გაზეთ „აზრში“ წაიკითხეთ) — „საღმრთო ომი გა-მოცხადდა და თქვენ რას აპირებთო“. აშერაა, რომ ოსმალებმა საღმრთო ომი გამოაცხადეს თავისი ინტერესების დასაცავად და არა. მაჰმადის სარ-წმუნოებისათვის. შათი მიზანი იყო. საღმრთო ომის გამოცხადებით ესარ-გებლათ და ოთხას მოლიონამდე მუსლიმანი, რომლებსაც თავთავისი სამ-შობლო და დედა ენა აქვთ. თავისი ინტერესებისათვის მსხვერპლად შეე-წირათ. მაგრამ ვერ მოახერხეს, თუმცა საწყალი დაბეჩავებული ქართვე-ლი მუსლიმანბა, თურქების წყალობით მაინც კიდევ გაითელა“. რო-გორც ვთქვი, ეს წერილი ზარბაზანივით გავარდა ქალაქში, მერე სოფ-ლებში მოედო ეს ამბავი. ესეც არ იყოს, ჰაიდარბეგის მომხრეებიც გულზე ხელდაკრეფილნი როდი იყვნენ. ჩვენ ჰაიდარბეგი მოვაწოდებდა, ყველა-ფეხი კარგად აგვეხსნა ხალხისათვის. მე რას ვაკეთებდი? მე ლექსი დავ-წერე თურქოფილებზე და ჩონგურზე ვამღერებდი. ამის გამო ყავახანაში ერთი კაცი თავს დამესხა და მოინდომა ჩემი გალახვა, მაგრამ არ მივარ-თვი. შეც მყავდა ამხანაგები და კუდით ქვა ვასროლინეთ.

ჰაიდარბეგ აბაშიძეს ბევრი მტერი გაუჩნდა — რა თქმა უნდა, მტრო-

ბლენი ისინი ვინც ჩვენს ხალხს ღალატობდნენ და უცხოელებს თანამდებო
ძნობდნენ. „ამიტომ იყო, რომ ჰაიდარბეგის ყოველთვის ორი-სამი შეკრძალვა
ლებული კაცი თან ახლდა მცველად.

ისეთი არეულ-დარეული დრო იყო, რომ მამა შვილს არ სცნობდა და
შვილი მამას, ძმას ძმას არ სცნობდა. ჰაიდარბეგი სულ იმის ცდაში იყო,
რომ ჩვენს ხალხში ამაღლებულიყო ეროვნული თვითშეგნება, რომ აჭარა
მტკიცებდ დაკავშირებოდა დედასაქართველოს, რომ საქართველოს გამო-
ჩენილ ადამიანებს უფრო მეტად ეზრუნათ განათლების შემოტანისათვის
ჩვენს კუთხეში, უფრო მეტი ჟკოლები გაეხსნათ. თუმცა ეს ძალიანაც არ
უნდოდათ მეფის მოხელეებს. ამიტომ ამათთანაც ბრძოლა უხდებოდა
ჰაიდარბეგს. ჩვენ კი მას მხარს ვუჭროდით. ცოტანი ვიყავით? მერე რა,
დღითიღლე ვპრავლდებოდით.

აი, ამაზე ლაპარაკობს ჰაიდარბეგი ერთ-ერთ თავის წერილში
„კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“. მე ცხადლივ ესედავდი რა ხდე-
ბოდა ჩვენს კუთხეში, რა გაჭირვება უდგა ჩვენს ხალხს, და ამიტომაც
ჰაიდარბეგის წერილები ტყივისავით ტყულზე მხვდებოდა და მწარე იარებს
მიჩინდა. უჭირდა აჭარას. სოფლავდნენ, ანადგურებდნენ აჭარას თურქე-
ბიც და მხევებიც. ინოხეოდა უდანაშაულოთა სისხლი. „როგორც გხედავთ,
დღეს აჭარის მხარე გათელილია, საუკეთესო ძალა მოისპო და ვინც დარ-
ჩენ. ისინი უკანასკნელ წუთებს ითვლიან. საჭიროა დაუყოვნებლივ დაბ-
მარება, როგორც ნივთეური ისე ზენობრივიც. მხოლოდ კითხვა იმაშია, თუ
ვინ უნდა ითავოს ეს, ვის ადევს კისერზე ამ მძიმე ულლის გაწევა? რასა-
კვირველია, ჩვენს მოძმეებს — ქართველ ქრისტიანებს. მართალია, დღეს
ბატარა საჭრისტიანო საქართველოს დედებიც სტირიან, ბევრ მათგანს
ნივთიერი დახმარებაც სჭირია, მაგრამ შედარებით აჭარასთან, მათ ნაკ-
ლებ სატრიალი აქვთ“, — წერდა ჰაიდარბეგი. მოღი და ეს სტრიქონები
უცრებილოდ წაიკითხე.

პოდა, მე რას ვაკეთებდი ქაზიმ მეჩინგურე? რასაც ჰაიდარბეგი მი-
ბრძანებდა, იმას ვაკეთებდი, არაფერს ვეპუებოდი, მტრებს არ ვუშინდე-
ბოდი, ხან მაჭახელა მეჭირა ხელში და ხან ჩონგური.

ჰაიდარბეგი მეტყოდა ხოლმე: ქაზიმ მეჩინგურევ, შენისთანა ასი
კაცი რომ მყავდეს, მთელ აჭარას ჩემს რჯულზე მოვაქცევო. ესე იგი,
ჩემს მხარეს გადმოვციბირებო.

ძალიან ძნელი დრო იყო. ჩვენს ხალხს უჭირდა თავის შეცნობა და

მლიერად სონ
დევაბატონმუე
მახსუტი. მე უ
მოვისვენდა.

— მაშ აღ

ამყოფოს შენი
ვიდით, გზა მინ
ბატონიშვილი
ნოსო. მერე და

— ერთი თ

პატარა ამბავია.
რომ კარგი გამ
როგორც ვითა
ხსნიერ, არც ჩერ
ლი შეგმები ჩემ
ლის ამ საპატიო
ვით, ეს პატარა
ლოდ რომ არია.

ამიღმ ჩე
აქვე წაითხოვო
ლის „რედაქტორ
ბლოს“ თურქები
საგანგებო
დანართის
საგანგებო
განვითარებას.

მე იქვე და
ვკითხულო
ჩერებდა ხოლმე

ჩეენ მუპაჭირი
იყო, აქარლებს
შზის ამონათება
გვყავდნენ თურქ
სულ მიზეზობას
ივითონ წმინდა
ჰერ თურქები და

ერთი მეჩინგურე რა ჯარისკაცობას ვიზამდი. არა, კი გვეგნენ სხვე-
ც მხარში, მაგრამ ახლა იკითხე რამდენი იყო ჩეენი მტერი! უძრავი.
რც მეტედ აბაშიძე არ იყო აქ, სადღაც გადასახლებინა მეუსი სოხელე-
ბს. ახლა ქალაქში ჰაიდარბეგი და მისი მცირე მომხრენილა ვიყავით
არჩენილი...

1916 წელი იზმორებოდა...

მოულოდნელი იყო ჩეენი იმდამნდელი შესვედრა. თურქე პაიდარ-
ეგი გაუნთავისუფლებიათ გასწავლებლობდან. და უბრძანებიათ, საჩა-
როდ დაეტოვებინა ქალაქი. ვინ გაასახლა? მეუსი ბობოლა მოხელეებმა.
კინ დააბეზრდა? თურქოფილებმა და მოლებმა, ამათი რიცხვი კი დიდი იყო.
ვაუ მიდიოდა? საცხოვრებლად გადასილოდა ჭიათურაში. და მასსოც, მა-
ტარებლადც გავაცილეთ რამდენიმე კაცმა.

— ძერიფას ძმებო, — თვეა ცაგშორების უამს ჰაიდარ აბაშიძემ, —
ჩეენ ვშორებდით ერთმანეთს, ჩეენი მხარე დღეს ტანჯვა-ვაების მოჩევში
დღას და როდის იქნება მისი საშევლი, არავინ იცას. ცოდვაა ჩეენი ხალხი
— გარანჯული, დაიაგრული, დაბექავებული, გაუნათლებელი. ხომ ხე-
დავთ რა დღეშია! ვინ იცის კიდევ რა შავი დღე მოელის! ჰოდა, ჩეენ ხომ
შევფიცეთ ერთმანეთს, ჩეენ ხომ შევფიცეთ დედასაქართველოს, ვიბრძო-
ლებთ, ვიდრე ცოცხალი ვართ, ვიბრძოლებთ აჭარის განთავისუფლები-
სათვის. მოვა დრო, როცა აქარაც ისე განათლება და მოლონიერდება,
როგორც გურია, როგორც ქართლი და კახეთი. ჩემო ქაჩიმ მეჩინგურევ,
არ დაგვიწყდეს ჩეენი ფიცი და ჩეენი გულისთქმა. ჩეენ მხარის გვიპერს
ჩეენი დედაქალაქი, ჩეენი თბილისი. ჩეენ მარტონი არ ვიქნებით.

სამაგიტო რა ვეტარი მე? გზა დავულოცე. კიდევ ის უუთხარი,
რომ... ჩეენო პატრონო ჰაიდარბეგ, სანამ შენ დაგვიბრუნდები, სანამ მე-
შედ აბაშიძე დაგვიბრუნდება, ჩეენს გულში ნაღვერდალს არ ჩავერობთ.
ჩინგური აჭარელი კაცის გულისთქმა, მისი ჭირისა და ვარამის გამომთ-
ქმელი. დღეს კი აქარა დიდ გატირებებაშია, ჰოდა, რაკი ჩინგური ყოველ-
თვის ხალხის გულისთქმა იყო, მე ყოველთვის ხალხის გულისთქმას, შეს
გულისთქმას მიყვებოდი, ჩემი ჩინგური ამ წმინდათაწმინდა გულისთქმას
არ უღალატებს.

უყანასქნელად გადაგვეხვია, თვალზე მომდგარი ცრემლი ცხვირსახო-
ცით მოიწმინდა და ვაგონში შევიდა. მალე მატარებელიც დაიძრა და მას
გაჟყვა ჩეენი იმედი და საფიცარი ადამიანი...

მინაწერი. „ინტურისტში“ ბათუნი იბრაიმი ვინახულე. თავაზიანად
შემიპატიუა ოთაში და სკამი დამიდგა. ვკითხე თუ როგორ ბრძანდებოდა.
რაღაც მოწყენილი მეჩენა. ისიც ვკითხე, როგორის აპირებდა წასკოლას.

— მე ორ დღეში წავალ, — მოიხსა ბატონშა იბრაიმი. — წუხელ
სტამბოლში დავურეე ჩემს მეულლეს. ცუდი ამბავი გადმომცა. ჩემი
შვილისშვილი თერთმეტი წლის თამარი საჭმლით მოწამლულა და ისე

მლიერად, რომ ერთი კვირაა საავაზმყოფოში უწევთ და ბავშვი ჭერები— დევ არ გამოკეთებულა. იცი, რა საყვარელია ბადიში? გეყოლება და ერთონ მისხსენებ. მე უნდა წავიდე, აუცილებლად უნდა წავიდე, თორემ ვერ მოვისვენებ.

— მაშ აღაძ შეგაწუხებ, — ვუთხარი მე, — წავალ. ღმერთმა კარგად ამყოფოს შენი თამარი. პატივი დამდე და ერთი წუთით რესტორანში შევიდეთ, გზა მინდა დაგილოცო.

ბატონშა იბრაიმმა უარი მითხრა და ბოდიში მომიხადა, არ გეწყონსო. შერე დასძინა:

— ერთი თხოვნა მაქეს. რაღაც დავწერე. იგი ჩემი თავგადასავალია. პატარა ამბავია. თუმცა არ ღირს გამოჩენა. მე ხომ მწერალი არა ვარ, რომ კარგი გამომივიდეს. რა ვქნა, ჩემმა გულისტკივილმა მათქმევინა. როგორც გითხარი, ეს ამბავი მე გადამხდა, თუმცა ჩემი სახელი არ მოვიხსენიე, არც ჩემი მიჯნურისა, ესე იგი მერე ჩემი ცოლისა. აქ მოხსენებული მზემზე ჩემი მიჯნური იყო. მე ტარიელი ვარ, თუკი შოთა რუსთაველის ამ საპატიო და ძლიერი გმირის სახელი შემეფერება. ერთი სიტყვით, ეს პატარა რვეული შენ გაიმბობს ჩვენებურების ბეღზე, უსამშობლოდ რომ არიან და საქართველოს ციდა მიწას ნატრულობენ.

ამოიღო ჩემოდნიდან პატარა რვეული და გადმომცა, თან მთხოვა, აქვე წაიკითხეო. და ისიც მთხოვა, თუკი მომეწონებოდა. გაზეთ „სამშობლოს“ ორდაქტორისათვის მიმეტანა, იქნებ ისინი დაბეჭდავენო. „სამშობლოს“ თურმე სტამბოლში ღებულობს, და უყვარს ეს გაზეთი, კარადაში საგანგებოდ ინახავს და ძველია თუ ახალი, ხშირად გამოილებს კარადაზან, წამოწვება ტახტზე, გაკეთებს სათვალეს... და კითხულობს და კითხულობს.

მე იქვე დავიწყე რვეულის კითხვა.

ვკითხულობდი დაბალი ხმით, იბრაიმი კი მისმენდა. გზადაგზა შემაჩერებდა ხოლმე და განმიმარტავდა რაღაცებს.

გზემზეს ნაამაზი

ჩვენ მუპაგირნი ვყოფილვართ, წასული მაჭახელიდან, რა საშინელი დრო იყო, აჭარლებს ვინ არ სდევნიდა! ოლთისი — ჩემი სოფელი, როგორც მზის ამონათება, ძმობაში განუყოფელი, არის სამკვიდრო ქართველთა. გვყავდნენ თურქები მეზობლად, ცოტა სოფელშიც გვერია, ჩვენს შორის სულ მიზეზობას წამი არ გამოელია. გურჯებს გვეძახდნენ საძრახად, თვითონ წმინდანებს ირქმევდნენ, ჩვენ თუმც ვიდექით მხარდამხარ, ზოგჯერ თურქები გვიკლებლნენ. გვძარცვავდნენ ხან ფირალები, არვინ დაგვი-



ცვა მართოლნი, ზოგჯერ მოგვტაცეს ქალები, რადგან სარძლოდ და მუსიკის ტანცით. ჩამოივლიდა მუსტარი, თითქოს გვეტყოდა კეთილად: შეიპყარით ას მუსტარი და განახენი ერთია, — დავკიდებთ სახრჩობელაზე, რომ სხვებმა ვეღარ გაბედონ, სახლები მაგრად შერაზეთ, დამით კარს ნუ გააღებთო. თურქი თურქს თუ გაძარცვაცდა, მის კვალს წახავდნენ მაშინვე, სახრჩობელაზე აჰყავდათ, შეცყრიდნენ სიკვდილს საშინელს... ჩვენ მეტი ბეგარაც გვედო, თუმც მწირი გვქონდა ყანები, ქართველმა ერთი გაბედო — აიმართება დანები. მრავალი გვყავდა ბატონი, ვერ გვეთქვა ჩვენი სათქმელი, თუმც თურქს იცავდა კანონი, მაინც ვცოცხლობდით ქართველნი. ყოველგან თურქი მთავრობდა, გინდ სოფელს და გინდ ვალაეთს, მღიალრის და ფულის მთავრობა გვზვერავდა ფხიზელს, მიძინარეს. ჩვენშიაც იყვნენ გაუკაცნი, დიდება წარბდაუხრელებს! შხალი არ ეგოთ ქარქაშში, მტერთან არ დაიმუხხლებდნენ. ჰე, როცა დაიქუჩხდნენ, ვას შეექლო გზის გადაჭრა! და იღვნენ, როგორც მუსები მუდამ მზარავნი ყაჩალთა... გაუძლებ?! — თვალით ხედავდე, შენს აღვას მიწის პირიდან, და გვალნებდა მეტადრე მთავრობის ცეკვა ირიბად... არ ვიყავ გერ წლის თხუთმეტის, როცა მოდავე გამაჩნდა, გვევაჭრებოდნენ თურქები, როგორც გასაყიდ ხალიჩას. ერთი სახელად ყარათურქ, გვემუქრებოდა ნიადაგ: — მაინც წავიყვან ძალითა გურჩის ოჯახის ია-ვარდს, ცოლად თუ მიმყავს გურჩი მე, ერთა თქვენ უარს გაბეჭდათ?! ზურგზე აგვიდებთ ხურგინებს და გაგასახლებთ აქედან! — დაფიქრდა მამა საბრალო, ერთ ასულს მზრდიდა უდედოს, რაღა ქნას, სად გადამმალოს, უარი ვით გაუბედოს. მაჭანკალს უთხრა: — „რად გინდათ, გურჩი ვერ გიჩამთ რძლობას, თუმც კი ვნატრობდი თავიდან თურქების ძმა-მოყვრობასო. ყარათურქ ვაჭრის შვილია, ბევრი აქვს ოქრო-ლალები, და მისთვის გზები ხსნილია, ირჩიოს თურქი ქალები. ასულს წამართმევს და ვიცი დაიგენს სახლში ხასადა, შეირთავს კვლავ თურქ ქალიშვილს — თავის ტოლსა და დასაღარს“. კვლავ როშავს ენა მაჭანკლის: — წესია შვიდიც შეირთოს, მაინც მოგტაცებს ვაჭრი, თუ ქალს არ მისცემ შენითო. წამოვეშველე მეც მამას, ენა ავხენი დაბჭული: „— მაჭანკალო, ვერ დავმალავ, თქვენს რძლობას არ ვარ ყაბული, იქნებ ის არა, სხვა მიყვარს, ნუ მავნებს ხელის შეხებით, დამხვდება?! ძალით წამიყვანს?! ჩანჩქერში ჩავიჩეხები, მამა დამტჩება ობლადა, ახლაც ვგრძნობ მის სიცოდავეს, ქალი ბევრია სოფლადა, მე რად გამიხდა მოდავედ!“ მაჭანკალი კი მქისობდა: არ გაგიშვებსო უცნებლად, გესლიან სიტყვებს ისროდა, ქალი ჩვეული ცდუნებას. მუქარით მიდის პირშავი, თითქოს საშველი არა ჩანს, უნდა მოგვართვან ნიშანი, უნდა გავარდეს დამბაჩა.. ყარათურქს ვინ არ იცნობდა, თავხელს და ჩხუბის მეთავეს, ეჲ, მამა მიტომ შიშობდა, არ ვიცი რაღა მეღონა, მე ვინც მიყვარდა, იგი ხომ ჩემი სიცოცხლე მეგონა. მე ხომ იმ ჭაბუქს ვუყვარდი, და გულს ის წარ-

მიტანიებს, იყო ვაჟკაცი, გულადი, სახელად ერქვა ტარიელ. რადგან ვუკაცი გარდი გულშრფელად, ჩემი ბედი მას მივანდე, მაგრამ ვიყავით უტესებოდა, ვალად, ვალავდით ჩვენს ხეაშიადებს. ფარულად ვტრობდით, ფარულად, თორემ ტტყოდნენ მოჭორილს, არწივის ფრთებსა უგავდა ტარიელს შავი ქოჩორი. ტანად არ იყო დაბალი, იყო მომხმარე ხმალისა, როცა გაივი ამბავი, ის ყარათურქზე განრისხდა: — ვერაგ ყარათურქს ვანანებ, გზაზე აშკარად დავხვდები, ეგანა რას მიზამს ვაჭარი, ბათუმში გადავსახლდები! — აი, მოგვადგა შავი დღე, ფიქრები გულს მიბორკავლნენ: — ტარიელ, ჟული აიღე, თორემ მამაჩემს მოკლავენ. სჯობს საქმე მშვიდად გადაწყდეს, თორემ სიავე მოგველის, ნუ მიენდობი ხმალს გამჭრელს, მტერი გვყავს დაუზოგველი. მამის უჩუმრად გაგყვები, თუმც ეწყინება მამაჩემს, მტერს შეეცვლება ზრახვები და მშობელს მით გადავარჩენ!.. კარგით, მითხრა ტარიამ, და მითი ცოტა დავმშვიდდი, მაგრამ უეცრად რაც მოხდა, ვამე, როგორ დავშინდი, გაპარვა ვერ მოვასწარი, კარჩე მოგვადგნენ ნიშანით, თავზე დამეცა თავზარი, გველივით გვეძენდა მტრის შარი. მტკიცე უარი ვუთხარით, — ნიშანს ჩვენ არ დავიტოვებთ! — შეგვძახეს რისხვით, მუქარით: — გაჩუმდით, თორემ იგლოვებთ! — მუდარა არ შეისმინეს, შესძლეს გატანა სურვილის, ყარა, რომ ვერ მოვიცალე, ვგმინავდი დაისრულივით. მე ტარიელზე შეფიცულს სხვისი ქმრობა რად მინდოდა, და ვთქვი, გავყვები ვინაც მსურს, თუმც არ მოშელის მშერობა. თუმცა ქალი ვარ, მაგრამა ზოგჯერ შენც უნდა იქცხო, არ შეუშინდე არავის, რაგინდ იმეხოს, იმუხთლოს. თუმც ვხედავ შავ ბედს კარს მომდგარს, სუნთქვასაც რომ არ დამაცლის; როცა არ იყო მამა შან, რჩევით ტარიელ მამაცის, ნიშანი ყარათურქისა უკან გავგზავნე ულირსად, თითქოსადა განვთავისუფლდი, თავი ვიხსენი უღლიდან. ბოლჩა შეცარი დედისა აშ მამის ცელარ გამონემ, და გავყევ ტარიელის გზას, ჩვენ ერთად გავცულით მთა-გორებს. როცა გაიგო მშობელმა, ვაკმე, ბარშეიით იტრია, გაიგო ცცებ სოფელმაც, არ უდარდიათ მითი რა. ნუ იდარდებო ქმაცო, სიძე გვყავს ცველგან საქები, კარგის თურქს რომ დასწრო, შენც დაგიტოვა სათქმელი. სიტყვას გაკვესაც გაჩარხულს: ქალი გაცყვაო თარულად, სხევბიც იტყვიან დანახულს, რომ სძლია ქალს სიყვარულმა. მამა თუმც ასე ამშვიდეს, მოხუცი მაინც დარდობდა: — დღე მომავალი მაშინებს, ყარათურქი და დანდობა? ვიციო მტერის არჩივი, სიბერე მწარედ დასრულდა, თუმც სახლს გადაწვეს, არ ვჩივი, მომიკლაშს სიძეს, სულსაც... ყარათურქს ეთქვა: — ვანანებ, ძალაზე ხასად დავისგამ... მ, ბევრი ცრემლი დაგნამე, მეშინოდა ამ დავისა. ტარიელს ვუთხარ, ამ საქმეს კარგი ბოლო არ მოელის, შენ ლაბარს არვინ დაგარქმევს, დამტოვოთ ჩვენი სოფელი, დაგტოვოთ ჩვენი სოფელი, გაქცევა ნუთუ გეძრახვის, ჩვენ საქართველო მიგვიღებს, ჩვენ საქართველო გვეძანის. არაო, ჩემს ვაჟკაცობას დაძრახვეს ჩემი მეგვარეც, გავტეხვ მტერის მუქარას,

აწ მეც ხმალს ამოვეფარე. აწ გამაგრება გვჭირია, ლაჩრობა არის გვეცევა,
რა ვუყოთ, თუკი ჭერია, დე, იყოს სისხლის დაქცევა... წელს წელი მოშენებული
მშვიდობით, არ მოცყოლია ავჭარი, თავისუფლადაც ვიდოდით, დავბავ-
შვიანდი, დავჭალდი. ყარათურქს მაინც არ ვნდობდით, იყო პირფერიც,
ვერაგც, მე თითქოს აღარ ვდარღობდი, რომ აგვცდა მტრის ფათერავი.
მოსუცი მაჩა გვლოცავდა: — იხარეთ შვილნო, იხარეთ! და მამაჩემი საბ-
რალო ჩვენს სახლში გადმოვიყვანეთ. „მოსიარულეს“ ეძახდნენ ჩემს ნა-
მუსიან მამამთილს, არ თავილობდა ამ სახელს, უყვარდა სჯამასლაათი,
მეც მისმენია პატარას ამბები მისი ნათქვამი, იმან დრო სად არ ატარა,
გადაუვლია ცხრა მთანი. საქართველოშიც უვლია, ჰყოლია ბევრი ნაც-
ნობი, ტარიელისგან თქმულია: — ის იყო ჩემი გამჭროთობა! — მეც მინა-
ხავსო ბათუმი, და კიდევ იქით მივლია, მიყვარსო მიწა ქართული, ჩვენ
საქართველოს შვილნი ვართ! — გიაშობთ ნათქვამს ქმარისას: — მამავ-
თილს სად არ უვლია, უწახავს, ქართლი, კახეთი, იმერეთი და გურია. აქე-
ბდა ვიღაც იქაურ კაიკაციშვილ გულოსა, სმშობლო შემაყვარაო და მტრუ-
ბზე გამაგულისა. ჩვენ საქართველოს შვილნი ვართ, ჩვენი ცაც, მიწაც
ერთია, მაგრამ კი მტრებმა თანდათან აგვწერ-დაგვწერეს ერთიან, ზოვი
იქ დარჩა, ზოვი აქ, იქ მეტობს რუსის ხელმწიფე, აქეთ, ვერაგი სულთანი,
და სული ვეღარ იმწიფებს. რამდენს იქ წასვლა ანატრა, რამდენს აღუძრა
სურვილი, მას საქართველო მამათა უყვარდა გაზაფხულივით, ბოლოს იქ
წასვლა ენება, სურდა და ვერ მიუწია, იმ კეთოს ნეტარ ჩსენება, ძვლები
მიწაში უწყვია. ჩვენს წარსულს ქმარი მაცნობდა, რაც მოესმინა მამი-
გან: — შეხედე ნანგრევს საცოდავს, თურქმათ ფეხით გასრისა. ეგ არის,
ქართველთ ნაგები, ნაგებიათ თავარის, ახლა დგას, როგორც ნანგრევა,
თითქოს დაშლილი მთა არის... ტარიელ რას არ მითხრობდა, და მეტაუ-
დამაფიქრებდა, და რაღაც ძალა მიხმობდა, ენით არ გამოითქმება... ერთ
ხელ იმ ვაჭრის ქონებას დაესხა ჯგუფი ფირალთა, ავნეს ვაჭარი თავნება:
სიმდიდრე გაუნიავდა. ყარათურქს, მტრობის მოსურნეს დრო მიეჩნა
თავისად: — „ბარევ სურვილი შესრულდეს, დაგწევაც გულს გურჯი ქალ-
სას“. თავდასხმის გადაპრალება სურდა ჩემს ქმარზე ონავარს, ამ გუმან
იგი დანებდა, — ეტროოდა თავის მომავალს. მთავრობას ადრე აცნობა
გააგულისა მშობელიც, წაგვიხდა შუაყაცობა, დალონდა ჩვენი სოფე-
ლი... და ბრძანეს ქმარის შეპყრობა, ბნელი დილეგი არ ასცდა, ეს ჯავა-
ლი... და ბრძანეს ქმარის შეპყრობა, ბნელი დილეგი არ ასცდა, ეს ჯავა-
ლი... და ეყოფა?! ასეა ბედი მამაცთა. გოგონა იყო სააკვნე, და ვაჟი იურ
შვიდი წლის, ვფიქრობდი — ქმარი დავკარებე, ჩამიდგა შავი ბინდი წე-
მანუგეშებდნენ: — ნუ დარღობ, ქმრის შინ მოსვლამდე დაგიცავი
ფრთხილად იყავი მუდამა, განა ჩვენს შორის რა გიმაგეს! — დაგუგუნებ-
დნენ ჩვენები: — ქართველს რა უფირალება, მონახეთ ავის მქნელება
მძარცველი არ გვებრალება. გულმართალ ვაკეაცს რად სტანგავთ, მძ-
ლოდ ყარათურქს უჭერით?! ბარემ ავიღებთ ხმალ-ხანგალს, გავფირა-

დებით გურჯებიც! — წელი გაფრინდა ფრთაცქვიტი, შემოიხედა აპრილ
მა. იყო მზიანი ამინდი, გხეიბლავდა ცა ლაპლაპითა. ყვავილი მერცხლება
გულივით ხის ტოტებს თეთრად ეფიხა, და შორცხვად, დანიშნულივით
აძმობდა: „თეთრზე თეთრი ვარ!“ ბალებში ვარდი ვარდობდა, შევნოდა
ეშხი კვირტგამლის, ჩიტი ხალისით გალობდა, თესლი ღვიოდა ბიჭაში,
ჩვენ კი ვიბრძოდით ფიქრებთან და გულში ცეცხლი გვეყარა, ის დღე
ენით არ ითქმება, ტარიელთან რომ შეგვყარა. მოულოდნელად შინ მოს-
ვლა, შინ მოსვლა ტარიელისა, რა სიხარული რამ იყო, ვთქვი, ეს რა ბედი
მერისა! შევევლე სიხარულით და ვარდი დამზრალი, ავყვავდი, და ქმარს
ვლოცავდი გულითადს, ოცნებებს ცაში ავყავდი, მაგრამ გული კი მეტ-
კინა, რომ გვიამბობდა აუგებს, — ყარას არ უნდა მეტი რა, დანა ქარქაშ-
ში ჩავუგე. დავლაპერე, თან მივაძახე: აპა, წადი-თქო, გიაშოს, ლირსი
ვუჟავი საძრახველს, დე, შერცხვენილი იაროს! — ტარიელ, ცუდი გიქნია,
და როგორ გინდათ შერიგდეთ? — მე ეს ხომ არ მიფიქრია, ვნებას მით
არ დავერიდე. იცი რა არის დილეგი?! ეს, კიდევ არაფერია, წელამდე
წყალში ვიღები და თეთრი გამომერია. ბევრჯერ მშიერი მამყოფეს, ათა-
სი ჭოხი გადამკრეს, რას ვუმადლოდე საწუთოს, უარესი რა გადამხდეს!
ბარემ მოვიდეს დღე შავი, ბარემ ეს ხმალიც დავხარჯო, განა ვარ დაუ-
გეშავი?! ჩემს ნამუსს ხმალით გდარაჭობ.

* * *

ყარათურქს არ უჩივლია, არც დადიოდა ვაგლახად, სიჩტბევილი სჭამდა
უინიანს, გურჯმაო როგორ გამლახა. და ტარიელიც მზად იყო, აპრიალე-
ბდა იარალს, ლამის ნათელმა გაგრიყა, ყორანმა გადაგვიარა... ძველმა
ახალ წელს გაასწრო, მშვიდობის იყოს ეს წელიც. არ გვიფიქრია არა-
დროს, ჩვენ ყარათურქი გვწერს წერილს: „— ხმალი ქარქაშში ჩავაგე, და
მტრობა აღარ მწადია, ჭირშიაც გიამხანგებ, და როგორც სხვები დაღიან,
მოდი, შენც ისე იარე, არ ვითვლი წარსულ იარებს, თუ გინდა, აპა, ჩემს
სახლში ძასავით შემოიარე“. ყარათურქი და დანდობა?! ყარათურქი და
შენდობა?! არა, ამ ყარა სატანას ტარიელი არ ენდობა. კაცს შეიყიდის
ოქროთი და ჩაგისაფრებს ბნელ ხევში, ქარსა გაგატანს მოქროლილს, თი-
თქოს ვარდს მოგცემს შენ ხელში.

* * *

მოვადა მაუწყებელი — ქარში წასულა გულჭრელი, იქნებ ჭორს ამბობს
ბებერი, ბებერი ჭორის ჭურჭელი. ტარიელ ამბობს ამაყად: — დე, თუნდ
აქ იყოს თავნება ათნიც მოვიდნენ, დაგევდები, ტყვიებიც ამითავდება...
ახლა ვარ ვეფხვებრ მრისხანე, უხილავ ძალის მომკრები, რა ვუყოთ, ვერ

გავიჩარებ, ჩემს ხმალთან ერთად მოვკვდები! — ქვედს არვის არ მოუხრიან, ასე იციან ჩვენებმა. თუ საჭიროა, სიკვდილიც არარად მოეჩვენებით ვადან და დასაცილებელი გადასახლება.

* * *

თბილი დღე იყო აპტილის, მზე ცას ხატავდა კაშკაშით, შავი ყორანი და-ფურინდა — მამა მომიქვეს ყანაში. ტარიელი ძლივს გადარჩა, მკერლში კოდნავად დაიჭრა, სიმამრს შეპტიცა მამაცმა: — „შენს კუბოს ხმალით დავიცავ. დაეცი შენ ჩემს მაგივრად, გადაეყარა შენ მიწა, არ შევარჩენ თუ გარგივარ, მაგ შენს უშმინდეს ნეშტს ვფიცავ!“ — ჩამოგვიარა მუხ-ტარმა: — მითხარით მკვლელი ვინ არი? შემაკრთო ხმამ საკუთარმა, გავ-ფუზილდი თითქოს მძინარი. — ყარათურქ, სხვა ვინ იქნება, თუმც კი არა ვართ მნახვნი... — არაო, ის არ იქნება, კაცია დაუძრახავი... სოფელიც გაგვეხმიანა, მუხტარი კი უარობდა: — ყარათურქ?! — დაიხრიალა, ჯარ-ში გაგზავნა მთავრობაშ. მკვლელის შეპყრობა არ სურდა, ცრულობდა მი-ტომ მუხტარი, სადღაც სავაჭროდ წასულა დაუნდობელი, მუხთალი. იქ-ნებ წასულა ბათუმში, განა ას სად არ ვაჭრობდა, თუმც შეიყიდა ჯერ თული, რომ ჩაედინა ლაჩრობა. ბევრი ვედავეთ, ვეწვალეთ, ბოლოს იქა-დრეს მონახვა, მაგრამ აზრები შეცვალეს... თურქეთო, ფულის მონა ხარ! ვაჭარმა ფული აფრინა, აფრინდნენ შუაკაცები, განა იქ ყოფნა რად გინ-და, როცა მართალი მარცხდები. მალე გამოძრა ვერაგი, მოსყიდულ კაცს გვისაფრებდა, შუაში ჩადგა ვერავინ, ჩვენს შორის მტრობა მძაფრდება.

* * *

შენელია მეტად ძელია კაცის გუმანის გაგება, ხმალი თუმც მართლის მთქმელია, სჯობდა ქარქაშში ჩაგება. ტარიელს ხშირად ვურჩევდი: — არ ლირს ჩვენი აქ ცხოვრება, მაინც რანი ვართ, მუნჯები, არ გაგვაჩინია ქო-ნება. სჯობს სამშვიდობოს გაეითდეთ მუდამ სიფრთხილეს, თავდაცვას, თავს სანამ მტერს მოარიდებ? შუღლი იზრდება თანდათან. „— ამას მეც არ ვგრძნობ გგონია?! ვიცი მოგველის მწარე დღე, დრო დადგა ჩემო მზემზეო, ჩვენს სამშობლოში წავიდეთ! თუმც მხარში მყვანან ტოლები, ლამის თავიც კი გასწირონ, დავტოვოთ კერა მშობლების, დავტოვოთ და იქ გასწიოთ, სად წინაპარნი, ჩვენები ბუხარს სულ აგიზგზებდნენ, აქვ-ნებს არწევდნენ დედები, ღიმილის ჰქონდათ მიზეზი. აჯობებს, რომ დავუ-ბრუნდეთ ჩვენი ბაბუის კერიას, ამაზე ბევრჯერ ვდარღობდი და გული მწარედ მტკენია. აქ ჩვენ ვინა ვართ, რანი ვართ, აქა-იქ დაფანტულები, რისთვის ვართ, ვის სამსახურში, და ვისთვის გვიძეგრს გულები. მზად ვიყოთ, მალე დრო მოვა, გაზაფხულს ჩვენ იქ შევხვდებით, იზარდე ჩე-მო გოგონავ, ვაუო, შენც ყელზე გეხვევი! —“ შვილებს ყელები უკოცნა,

ჩაპოცნა, ტებილად, სიცილით, გულში კი დარდი ჰკორტნიდა, ვატყობ-
დი, დიახ, ვიცი მე... ვგრძნობდი, ზერავდა ტარიელ იმ ყარათურქის წევ-
გალევს, — თუ შემხვდა, მაშინ ვაი მტერს, ათ ტყვიას აღარ ვაკმარებ!

* * *

ქმარს მოველოდი აღრიან რთველის მთვარიან ღამეში, ეს რა ვეფხვები
დაჭრილან, — ჭიშარს მოაწყდნებ თარეშით! ტარიელი და ორნია: —
„ჩერა, მზად გვყავსო ცენები, მგზავრისთვის წასვლა სჯობია, იქნებ შე-
გაშრეს ცრემლები!..“ ბავშვებით, მცირე ხელბარგით, უცებ გავქროლდით
მთებისკენ, გზაში ვდარდობდი, ვღელავდი; — აქ ვეღარ მოვალთ ჩვენ
ასევ!... დავფარეთ დიდი მანძილი და მივაღწიეთ საზღვართან, შევჩერდით
მაღალ ნაძვის წინ, ცა თეთრზებოლა თანდათან. ტარიელმა თქვა: —
„მშეიღობით, ჩემს კეთილთ დღეს ხომ ვშორდები, მე ხომ ყოფნა იქ მინ-
დოდა, საღაც ძვლებია მშობლების, ესც ხომ ჩვენი მიწაა, ჩვენი მამულის
ზიარი, ვიცი, მამულო, ვინაც შენ გიყო ათასი ზიანი... ხსოვნა ჩამრჩება მე
გულში: სალამი დედებს, გოგონებს. ამას ვთხოვთ, და ჰა, თქვენ უწყით
შემდეგ მაცნობეთ როგორმე. აქნებ გადარჩა ყარათურქ, და ჭულზე ლო-
დი არ ადგვს, ამ სირცეცილს არ დაივიწყებს ვერავი კუბოს კარამდე. ჯვე-
ლგან ჩაგალი კაცია და იცის ყველა გზა-კვალი, მომძებნის, ჩუმად გამწი-
რავს, ყველაფერს შესძლებს მზადვარი, თუკი გადარჩა, ვიცოდე, ფრთხი-
ლად ვიქნები ყოველთვის. მშვიდობით! რად არ ვიწოდე მე მაწყევარი
ყორნების. მშვიდობით! ნუ დაღონდებით, თქვენ გროვებთ, განა სულ
გტოვებთ? კოველ წუთს მომაგონდებით, ჩემს ფიქრს თქვენს დარდებს
ვუტოლებ. მხერა რომ ვერას გაგვთელონ, თუმც ვერაგულად დვიტევენ,
დრო მოვა და საჭართველო იღსდგება ჭიდით-კიდემდე. თან მსდევეს ეს
ფიქრი, სიმტკიცე, რა მიწის ხმალზე მინდობილს, თქვენს ხსოვნას მუდამ
ვიუიცებ, ძვირფასო ძმებო, მშვიდობით!

— დაამთავრე? — მკითხა ბატონშა იბრაიმშა.

— კი... კარგი ხელწერა გაქვს. როგორც ჩანს კარგი მასწავლებელი
ვყოლია. ვინ იყო შენი მასწავლებელი, სად მონახე ასეთი ღვთისნიერი
ასა? — ვკითხე.

— როცა სტამბოლში დავსახლდი. ქართულ ექლესის დავუახლოვ-
დი. ამ ეკლესის მღვდელმა მასწავლა ანბანი, მერე მის წამოეშველა გურამ
ვარამიძე, რომელიც პარიზში ცხოვრობდა, მაგრამ ხშირად ჩამოდიოდა
სტამბოლში. მან ბევრი რამ მასწავლა, აკაცი წერეთლის ლექსების პარიზა
პრებულიც მაჩუქა. მეხვეწებოდა, პარიზში ვადმოდი საცხოვრებლადო,
მაგრამ სტამბოლშიც ხომ ბევრი იყვნენ ქართველები ზა მათი მიტოვება
შენანგებოდა. — თქვა ბატონმა იბრაიმმა და მერე დაუმატა: — ახ, ახლა
ნეტავ სად არას, ცოცხალია თუ არა გურამი! დიდი ხანია მისი წერილი არ
შემიღია.

— ჩევნი საუბრიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შენი ბაბუა ოთხ
მოცდაათიან წლებში წასული მუქაზირად. შაშინ ხომ აქარიდან გამოყენებული
ლტოლვილი მოსკდა. ყოველმხრივ მოტყუებული და შევიწროებული
აქარლები სიმწრის ცრემლებით, გულდათუთქულნი სტოვებდნენ საყვა-
რელ მამა-პაპისეულ მიწა-ჭყალს და სადღაც უცხოეთში ვაი-ვაგლახით
იდებდნენ ბინას, ან არა და გზა-შარაში აღმოხდებოდათ ხოლმე სული. მა-
შასადამე, შენ ბატონი იბრაიმ, უცხოეთში დაიბადე... ას, დრონი, დრონი! შენ ალბათ არ იცნობ ილია ჭავჭავაძის წერილებს ვუჰაჯირობაზე, უცრე-
მლოდ ვერ წაიკითხავ. ილიას წერილებს რომ ვაითხულობ, სული მეტან-
ჭება, გული თითქოს ხანჭლით დამიჩეხეს და სიკვდილს ვებრძვი, ვბორ-
გავ, ვტირი.

— ვერ მიშოვნი ამ წერილებს? — მუდარით შკითხა მან.

— როგორ არა, გიშოვნი და დღესვე მოვიტან. იმდენჯერ მაქვს წა-
კითხული, რომ აზგილები ზეპირადაც მახსოვს და ვიცი. აი, რას ამბობა
ილია:

— „ნუთუ ხალხი სტოვებს — ვიმეორებთ—მამულ-დედულს, სახლ-
კარს, აღგილს საცა დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა;
ძმა, და მიდის სად? ოსმალეთში... რაო, რა ამბავია? მოჩევენებაა, შეშინე-
ბულის გონებისა, თუ მართლა მართალი ამბავია! რათ მირბის ხალხი,
მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ — სულ ყველაფერს სტოვებს, რის-
თვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავისი დღენი, რისთვისაც
ზრუნავს დაბადების დღიდანვე, რისთვისაც იღწვის და ამ წუთისოფლის
ტანგვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრიფის, რასაც შეჭარის, რასაც
დღესასწაულობს, — დიალ, სტოვებს და მიდის სად?“

ბატონი იბრაიმი მისდაუნებურად სტიროლა. შემეცოდა ამხნის კაცა,
ასე გულაჩვილებული. ალბათ, მე არ განმიცდია უსამშობლობა, ან გან-
მიცდია თუ რა ძნელია, სამუდამოდ მოსწყდე შეს ხალხს, შენს კუთხეს,
შენს მამულ-დედულს და ამ კაცის ნოსტალგიით გამოწვეულ ტანგვა-წა-
მებას კერც გავიგებ. მაგრამ თვალდათვალ რომ ვხედავ მის ტანგვას, მეც
გული მაქვს და მეც ვტირი. მერე თავი შევიმაგრე და ცქაფად ვუთხარი:

— კარგი ბატონი, იბრაიმ, ისტორიას ნუღარ ვფურცლავთ, დავუძ
რუნდეთ ისევ ჩვენთვის საინტერესო კითხვას. პო, რა მოხდა ბატონი იბ-
რაიმ, როცა საზღვართან მოხვედით?

— ის მოხდა, რომ მთავრობის მდევრებმა მოგვისწრეს და დაგვაძ
ვეს. მერე რა ტანგვა-წამებაც გადახდა ჩემს თვის, ის ცალკე ამბავად
უნდა დაგწერო. უეჭველად დაგწერ და სტამბოლიდან გამოგიგზავნი. შემ-
მოწმებელსა და დამრიგებელს შენზე უკეთესს ვის ვიშოვი. ისე ატეხილ
ვარ წერად, თორემ რა ჩემი საქმეა წერა, — მითხა ბატონმა იბრაიმმა
და ცხვირსახოცით თვალზე მოწოდილი ცრემლები მოიხოცა.

დიახ, მე შემეცოდა ეს უსამშობლოდ დარჩენილი ჭაცა. ვან იცი

ოოგორ სტეიოდა ჭრილობა. კაცი თურმე ნისტალგიაშ აუ ატანა, მოკამა ჭირი, მის ჭოალობას აღარაფერი ემველება, იქნებ კიდეც გადაცვეული ამ დარღვეულის კაცი ან ჭკუილაზ შეიშალოს. ცოტა ხნის დუშმილის შემდეგ ვუ-თხსრი:

— ბატონო იბრაიმ, თქვენ მთხოვთ, რომ ეს შენი რევული გადაცვეული გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას. კარგი, ამ თხოვნას აგისრულებ, მაგრამ ეს დიდია, საკმაოდ ვრცელია და იმ პატარა გაზეთმა შეიძლება ვერ მოახერხოს ერთბაშად დაბეჭდვა, მითურტებს რომ იგი მთლიანად ლექსა-დაა გაშეყობილი, ნაწყვეტის დაბეჭდვა კი სასურველი არა.

— აბა, რა ვქნათ? — ალალად მკითხა.

— მე დავწერ წიგნი „ჩემი დადულეთი“, რომელიც მალე გამოიცემა თბილისში, თუკი ნებას მომცემ, ამ წიგნში ერთ-ერთ თავად შენს ლირიკულ ამბავს ჩაგურთავ, არაფერს მოგაყლებ, არაფერს ჩაგუმატებ. ცოტას კი ხელს გავკრავ, რომ ტექსტი ქართულად კარგად გაიმართოს, დაიხვეწოს, შემს სახელსაც მოვაწერ, თანახმა ხარ? — ვკითხე მე.

— ო როგორ არა. აგრე ცოს ჩემთ ჯემალ, აგრე იყოს. მეორეჯვერ, როცა ჩამოვალ, მაშინ კიდევ საინტერესო რევულს ჩამოგიტან, რომელ-შიც ისმალეთში მცხოვრებ ქართველებზე მექნება ლაპარაკი, — იქ იქნება ნამდვილი ამბები, — მითხრა და ხელი მხარზე მომითათუნა. მერე ამო-ილო ძვირფასი ავტოკალმისტარი და მისახსოვრა. მეც ჩემი წიგნი ვუსახ-სოვრე ასეთი წარწერით:

ბ ა ტ თ 5 ი ბ რ ა ა შ ს !

ჭეშმარიტ ქართველს, რომელიც საქართველოში არ დაბაჟებულა, მა-გრამ მისმა საყვარელმა დედამ ქართული იავნანათი გაზარდა. შენის-თანა მამულიშვილი ღმერთმა ზუ გამოულიოს საქართველოს დარუბან-დიდან სტამბოლამდე!

დიდება შენ დედას ასეთი საყვარელი მამულიშვილი რომ გაზა-რდა!

ქვემინაშერი: ჭარისკლისას ვკითხე — თქვენს საწარმოებში არ ჩანს, ყარათურქი წუთისოფელს გამოასალმეთ თუ არა. ეს ხომ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგაგდებდათ, შენ და შენ ოჯახსაც კაი როდი მო-ელოდა მტრებისაგან.

— ყარათურქი თურმე მძიმედ დაგჭერი, მაურამ გადარჩა... და ამან გადამარჩინა მეც ალბათ, თორემ მისი მდიდარი მშობლები თულებს შეი-სყიდდნენ და ჩემს ოჯახს ძირფესვიანად ამოაგდებდნენ, — მიპასუხა ბა-ტონმა იბრაიმმა და მწუხარე სახე ფანგრისაკენ მიაბრუნა, საიდანაც გრი-ლი ზღვაური მოესწრაფოდა ჩვენსკენ.

(გაგრძელება იქნება)

კეპლიგაზრდული ხმები

სოსო აბაშიძე.

ლია შერევაშიძე.

ბაზრი თევზაძე.

ამირან ხაბაში.

ეს ახალგაზრდები ახლა გამოღიან ლიტერატურულ სარჩიელზე და მოაქვთ სამხრეთის მზის, ზღვისა და მთების ფერებით ნაჯერი სტრიქონები. მათი ლექსის პირველად ისტამბება. იქნებ პირველი პოეტური რვეულები უკვე აქვთ სათუთად აკინძული და წიგნის გამოცემაზეც ოცნებობენ. ამაში საკვირველი არაფერია: ნამოგილი ლიტერატურული ცხოვრება მწერლისა იწყება მისი ნაწარმოებების გამოქვეყნებით, მკითხველთან შეხვედრით.

დავასახელებთ კიდევ ორ დამწყებ პოეტს, რომლებიც უკვე გაიცნეს ჩენი უურნალის მკითხველებმა.

ჟუუზნა ხაგიშვილი.

ვახტანგ ღლონტი.

საკუთარი ჩმის მოსინჯვის ყველა ცდას მივესალმებით.

როდესაც მკითხველი ლიტერატურაში ახალ სახელს ზედება, ბუნებრივად ებადება კითხვა: რა აღლვებს ახალგაზრდა პოეტსა თუ პროზაიკოსს, რამ ააღებინა ხელში კალამი? პირველი პუბლიკაცია ყოველთვის როდი იძლევა საამისო პასუხს. ორც იმის გარკვევა არის ადვილი — ვისთან გვაქეს საქმე, ნამდვილ ტალანტთან თუ მომავალ გრაფომანთან.

ახალი ლექსის დაჭაშინება ზოგჯერ პოეზიის განახლების მაუწყებელია. ასე იყო ამ ოცდაათი წლის წინათ, როცა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა ანა კალანდაძის ცამეტი ლექსი. საოცარი კდემამოსილებითა და უშუალობით იღებეჭდილი პირველი პოეტური სიტყვა იმისშემდგომი თაობის მშვიდობიანი მისწრაფებების გამომხატველი შეიქნა და ახალგაზრდა შემოქმედი მაშინვე მოექცა ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში.

ასეთი მოვლენა იშვიათობაა და ღმერთმა ქნას, რომ კელავაც განმეორდეს, მით უმეტეს ახლა, ამ პერიოდში, როცა დედამიწაზე

კაცის სულის დაუტეულობას აბრალებენ ბევრ რამეს და ხელოვნებას ახალი სივრცეების მისაკვლევად უხმობენ.

ამბობენ, შემოქმედება დიდი ომია საკუთარ თავთან, ღმერთთან და დროსთან. ვინც დღეს კალამს იღებს, იგი იწყებს ამ ომს, რომლის მთავარი იარაღია სიტყვა; და ფიქრობ — ეს სასწაულმოქმედი იარაღი იმაზე აღრე ზომ არ მოიმარჯვა, ვიდრე სათქმელი მოეძალებოდა.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტები უმაღლესი სასწაულებლებიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, — ლიტერატურიდან შემოღიან ლიტერატურაში, წიგნიერება იქნება არ ყლიათ, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილება არა აქვთ, მათი ხმა ყოფიერების ღრმა შრეებიდან არ მოსულა. სწორედ ამ დროს არის საჭირო მზრუნველი ხელი. ლიტერატურულ დებიუტს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამთავითვე სწორი გზით წარვმართოთ ახალგაზრდების ნიჭი, ხელი შევუწყოთ თითოეული მათგანის უნარის სრულად გამოვლინებას.

ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალზე ზრუნვით არის შთაგონებული სკაპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. ეს დადგენილება ახალგაზრდა შემოქმედებით ძალებს აკისრებს მეტი მონაბებით დაეუფლონ მხატვრული კულტურის საგანძურს, პროფესიულ სტატობას, იდეულობას შეუხამონ ზნეობრივი სიმაღლე, განამტკაცონ კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, დაიჭირონ აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია,

დღეს მშერლობის უპირველესი ფუნქცია ის არის, რომ ადამიანს გაუღვივოს მოვალეობის გრძნობა, მოქმედების სურვილი, განახლების კინი.

გულგრილობა და განურჩევლობა მიუტევებელია.

ზოგს ცუდად ესმის ის უდავო აზრი, რომ უტრადიციონ არ არსებობს მხატვრული ლიტერატურა და სულმთლად აღმოჩნდება ხოლმე ტრადიციის ტყვეობაში, კარგას სამყაროს მისეული აღქმის უნარს. ტრადიციის პატივისცემა ნიშნავს მის ათვისებას შემოქმედებითად და არა მონურ მორჩილებას. ფიცხელ ომშიც არ არის გაბედულება ისე საჭირო, როგორც შემოქმედებაშიო, — ამ აზრს ანვრონარებზა გალაკტიონ ტაბიძე აჭარაში თავის ახალგაზრდა მეგორებთან შეხვედრების დროს. გიორგი ლეონიძე კი ყველას შთაგონებზა — მხოლოდ შენი სათქმელი თქვიო. პოეტ მამია გარშანიძეს წატოვნად უთხრა: ნახევარკაპიკიანის პატრონი იყავი, ოღონდ ის ნახევარკაპიკიანი შენი მოჭრილი იყოსო. მისთვის პოეზია მარადა, ულ სიჭაბუქეს ნიშნავდა, არ სწამდა უცეცხლო, უვნებო, უძარღვო,



შეუნთო სიტყვა და ახალგაზრდებსაც ამ გრძნობას უნერგავდა. ეროვნული გილდიონი
კაცის ნიჭი დიდი წყალბაა ბუნებისა. ჰემბარიტი ნიჭი იშვია-
თად იბაზება, იგი ეროვნული სიმდიდრეა, ითქვა ჩვენი პარტიის
ოცდამეტუთე ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან. ჩვენი საზოგადოებ-
რივი წყობილება თავისი ბუნებით იძლევა იმის შესაძლებლობას,
რომ ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩეს და ფრთხები გაშალოს. ოლონდ
საჭიროა ამ შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენება, ნიჭიერი
ახალგაზრდების დროულად გამოვლინება. დამაფიქრებელია ის ფა-
ქტი, რომ ამჟამად აჭარის მწერალთა ორგანიზაციაში მწერალთა
კავშირის წევრთა შორის ყველაზე ახალგაზრდა არის 37 წლისა.

ლიტერატურული კრიტიკა ნაკლებ ყურადღებას იხენს დამწყე-
ბი მწერლების მიმართ. იშვიათად თუ შეეხება მათ ნაწარმოებებს,
შემოქმედებით გზებსა და მიმართულებებს. საგულისხმოა, რომ
ჩვენი უურნალის ნომრების განხილვისას მხედველობიდან მაინც ცდა-
მაინც ის გამორჩებათ, რაც სერიოზული ლიტერატურული მსჯელო-
ბის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს. ასეთი ბედი ეწია მერაბ აბა-
შიძის მოთხოვნას „პოეზის ხანძრის ქალიშვილს“ და ანზორ კუდ-
ბას „გრძნეულ გამოქვაბულს“. არც სულხან ქეთელაურის „მამალ-
გიოზე“ ჯემულა არმე. ეს მოთხოვნა ყურადღებას იმსახურებს თა-
ვისი სოციალური პრობლემატიკით.

და მაინც უმთავრესი ის არის, რომ შემოქმედებითი ახალგაზრ-
დობა უფრო მკაცრი მომთხოვნი იყოს საკუთარი თავის მიმართ.
დიჭი გზა ამით იწყება.

სოც ებაშიძე

ზ ყ ა ლ გ ა დ მ ა

ასე გახელილი სარქმელი და
ცაზე ნახევარი მოვარეა,
არამი ხატი და სალოცავი,
ღვინო უმიზნო და მწარეა.

მღვრიე თემი და წყაროსთვალი.
ღამე წუხილივით მოვა,

ვაი, თამარელა მეცოდება
უცხო სარეცელის გლოვა.

ვაჟი სხვის უღელში ჩაებმება,
ისე არ აცლიან შეღერებას...
წყალგაღმა ნახევარი სიმღერაა,
ხმამაღლა არასდროს იმღერება.

დ ა მ ე მ ე ლ ი ა ნ

ვინმე ხომ უნდა წიგიდეს შორით,
 რორ გოგის გზისკეთ დარჩეს თვალები,
 უყვარდეს ძლიერ და გულის თრთოლვით
 და მეტე მისაც შეიყვარებენ.
 ვინმე ხომ უნდა იდგეს კარებთან,
 თითქო მეაბჭრე და ბეციხოვნე,
 არათუ ურვა და მწუხარება, —
 მამულისათვის მოკლან და ცხონდეს.
 ერთი სიმღერა ხომ უნდა ითქვას,
 გულის წამლები ითქვას, მარადი,
 უჭირდეს ერთხელ და სწორედ იმ ხანს,
 აგონდებოდეს სიმხნე მარაბდის.
 ვინმე ხომ უნდა იყოს გიუივით,
 დღე და მოსწრება მზეები ხატოს,
 გულით მოსკუდეს რწმენის ჟიუინი,
 თუ ჭირსა შიგან სტოვებენ მარტოს,
 ვინმეს ხომ უნდა ედგას წისქვილი,
 არმ მეზობელმა ხელი გამართოს.
 მომენატურება მზეში კარაცი,
 არა სასხლე მძიმე ურდულით,
 ვიყო ლერწამი მოსაპარავი,
 ყელგამოსტრილი და ხმაბულბული.
 მე უნდა ვიყო, ლმერთო, ყოველი,
 იგი წასული, იგი მისჯილი...
 და თუ მელიან, როგორც მოველა,
 მე საოცარი ვიცი სიკვდილი.
 ჩემი ჭერია ედგები კარებთან,
 თითქო მეაბჭრე, თითქო მხედარი,
 არათუ ურვა და მწუხარება,
 მამულისათვის ბრძოლა მედგარი.

გ ა ზ ა ვ ხ უ ლ ი

ცისქარეთზე შემოქრული ზარი,
 მთებზე ისევ შემოდგმული მთები,
 ამღერდები, როცა დაინახავ,
 დაინახავ, როცა ამღერდები.

ଅନ୍ତର୍ଗୀରୁଲି ଦେଖିବେଳି ଦା ଅଲ୍ପା,
ମନ୍ତ୍ରିଶୂନ୍ଧରୁଲେ ଗ୍ରୀକିରିଲା ଦା ଶ୍ଵରୀ,
ଗାଢିବାଟେଶୁଲି କୋଣ ତୀରେବେଳିତ ମନ୍ତ୍ରିଲି.
(ଅଜାପିର ଅୟତ୍ତବ୍ୟଦେବା ଗ୍ରୀବାନ).

ନାହିଁଲେବେଶି ଗାନ୍ଧେଶୁଲି ଲାମ୍ବେ,
ଶାକନବରିବାସ ଦାରିଶ୍ଚେଶୁଲି ଧନ୍ତିଲି,
ଦେଖିଲେବେଶିତ ମନ୍ତ୍ରିଶୂନ୍ଧରୀ ଫିରିଲି
ଦା ମାନ୍ଦିଶି ରା ଶକନବିଲା ଲାଲିଲିଲି.
ଗୁଲିଲିବେଶିର ଶୁନ୍ଦା ଗାନ୍ଧାବେଶିଲି,
ହାମନ୍ତିଶୂନ୍ଧରୀତ ହାମନ୍ତିଶୂନ୍ଧରୀତ ନାହିଁଲି.
ମିଶାରିନାହିଁଲି ଶୁନ୍ଦା ବିପରୀତିଶୂନ୍ଧରୀ ଦା,
ନାହିଁଲି ବିପରୀତିଶୂନ୍ଧରୀ ଶୁନ୍ଦା ମିଶାରିନାହିଁଲି.

ମଧ୍ୟବିଜ୍ଞାନାରା

ମିଶିଶ୍ଚିବିଜ୍ଞାନା,
ମିଶି ଶ୍ଵିମିଦା ତୁ ଶ୍ଵିମିବା ଶ୍ଵରିଲା,
ଶୁଲି ନ୍ୟାନ ତରିତାଲିବେତ ଶାଶ୍ଵତ,
ମାନ୍ଦି ଶରୀର ପରିଷ
ଦା ଧରି ନ୍ୟାନ ଶୁମାରି ଦା
ଶାରିନାହିଁଲା,
ନାଶିଶ-ନାଶିଶ ଶ୍ଵେତଶ୍ଵର,
ଶାଲି,
ଶୁରି,
ଶାରା.
କରୁ, କରୁ! କରୁ, କରୁ! — ଧାରେଶ୍ବରି
ଶରୀର ମିନ୍ଦ,
ଅଜାପ ଏହା.

ଶ୍ଵେତ ମିନ୍ଦିଯେ, — ଗାଗିଲିଲିଲି,
ମିନ୍ଦିଶୂନ୍ଧରୀ ରାତିନିମ?
ମିଶିଶାତ ଧାରୀଲି ଧାରୀମାତ୍ରା,
ଦିନିପ ଲାହିରା ମାନ୍ତିଲି.
ମିଶିଶ୍ଚିବିଜ୍ଞାନା,
ମିଶି ଶ୍ଵିମିଦା ତୁ ଶ୍ଵିମିବା ଶ୍ଵରିଲା,
ଶାରିନାହିଁଲା,
ଶାଵେମିଲାର୍କ୍ଷେ, ଧାରୀଲାଶୁଶ୍ରଦ୍ଧେ
ରାଗନାର,
ଶୁରିକିଲି କିନ୍ତୁବା ଶୁଲି ଧାରିନିହା,
ଶୁଲି ଶରୀର ପରିଷ
ନାଶିବିଜ୍ଞାନିଶ୍ଚ ମିନ୍ଦିଲି,
ରାଗନାରିପ କିମା ଶାନ୍ତି.

ମଧ୍ୟବିଜ୍ଞାନି

ଅଗିକାନ୍ତପ୍ରଦେବା ମିଶିବାଲାରି
ଶିରୀଲକ୍ଷେରାନ୍ତା...
ଶୁରିବାସ ଦା ମନ୍ତ୍ରିଶୂନ୍ଧରୀ
ପାଲିଶ ଶାତିପ,
କାପର, ଏ, ରାମ କିଶୋବ,
ଅନ୍ତା,
ଶୁରିବାସ ଦା ମନ୍ତ୍ରିଶୂନ୍ଧରୀ
ଶିରୀଲକ୍ଷେରାନ୍ତା...
ଶୁରିବାସ ଦା ମନ୍ତ୍ରିଶୂନ୍ଧରୀ
ପାଲିଶ ଶାତିପ,
କାପର, ଏ, ରାମ କିଶୋବ,

ყვირის თავადი, —

იქაჩება ქამარ-ხანგალი,

აქ შენი პაზრი ვის სკირდება,
ფიქრი არგალი.

ფრანგის აქტრისას

თავგული როდი აკლდება.

ფრანტთა სარეცლებს დაარხევს

და

გროშს დააკვდება.

შენი სიკეთე, რას გიკეთებს,
რაი გაწვალებს.

ირემი რაა,

უხატაული უმანკო თვალებს.

კიბის ქვეშ კვდები,

უცნაური აი, შენა ხარ,

შე კაცო, ისე წახვიდოდი,

და დაგენახა.

გყოლოდა ცოლი საყვარელი,

ჩვილი ბაია.

და ერთხელ მაინც დაგეხატა

პატარა ია.

ეი შეხვეძები

ჩურჩულება ჩემმა

ჩამოდის წვიმის ნიაღვარი,

იცხება სული,

გადარჩენილი გადამიცრენს გულზე

თოლია,

თუ არ დავიხრჩვი, შემოდგომას

გავუძელ თუკი,

შევხდებით მაშინ გაზაფხულზე,

ასე მგონია.

მაგრამ თუ მაინც ასე უღვთოდ

გავიწირები,

წყალი წამილებს და დიდ ზღვაში

ვერ მიპოვნიან,

ასე საბრალო, ასე ცოტა როგორ ვიქნები,

ჩურჩული ჩემი ვერ გასმინო

მაინც შორიდან.

იცოდე მაშინ, მეგობარო, მოვყვები

ქარებს,

მარტის მყლავებში სულ კისკისად

გადავიმსხვრევი,

საღამოობით ნუ დამიხშობ

მოსასკლელ კარებს,
 მოვალ და შენთვის საგალობლად
 გარდავიქმნები.
 და ა მაშინ, თუ გიპოვნა
 ჩურჩულმა ჩემმა,
 შემოამსხვრია სული შენი
 გაღდაყეტილი,
 ასე იფიქრე, მეგობარო,
 ოცნების გემშა
 გამომაბრუნა სიმღერისთვის
 გადარჩენილი.

გოსულება

მოსულხარ... ხედავ, მეცლება ხორცი,
 მეცლება ხორცი და მე ვმაღლდები
 და მეშინია!
 ვაითუ, მართლა ავიჭირე ცაში,
 ვაითუ, მართლა ჩიტად ვიქეცი,
 ვაითუ, ხორცი შემომეცალა
 და გამჭვირვალე, ლურჯი, უჩინო
 ვერ შეშამჩნიო სილაუვარდეში.
 მოსულხარ... ხედავ, მეცლება ხორცი,
 მავჭრინავ მაღლა და მეკარგები...
 და გაფრთხილების სინათლეები
 სულ რიგრიგობით ენთება,
 მიხმობს!

და რადგან არ მსურს ვიხეტიალო
 ასე სიმაღლეს და მიწას შორის,
 მოღი, დამაბი მიწაზე სულით,
 რადგან თანდათან მეცლება ხორცი.

* * *

ვიცი მრავალჭერ განუბანია
 მზეს მეწამული მტკვარში დალალი,
 მხედართა ჯარი გვყოლია მცირე,
 ლექსთა ჯარი კი სხვაზე მრავალი.
 ორვე ლაშქარი იქცა ლომებად,
 და თუ არ დაერჩით ტურის არჩივად,
 დღესაც არ ვაცი მაინც რომელმა,
 რომელმა ჯარმა გადაგვარჩინა.

შეზფოთება

ის აღარ მოდის სისხლის წვიმებით,
 არ ემუქრება ხანძრებით თბილისს,
 დარწმუნდა უკვე რომ ბასრი ხმლებით
 გამარჯვებისკენ ამაოდ ივლის.
 ოქროს ქოშებში ჩამალულ ჩლიქით,
 ზღვარგადასული ვნების ხალისით
 ხმალს სტოვებს მრავალ წრებრუნვის იქით
 და ქართულ სულში ჩნდება კრწანისი.

* * *

როგორც მიზნური, მე ვარ მორწმუნე,
 როგორც პოეტი — შმაგი დემონი,
 მე შემიძლია, რომ შევქმნა ღმერთი,
 ვილოცო მასზე და... არ ვემონო.
 „გიყვარვარ?“ — მკითხავ ეჭვით და
 თრთოლვით,
 „გაღმერთებ“ — გეტყვი წრფელი თვალებით,
 მერე კი წავალ და შენზე ლოცვით
 შენს ბატონობას დავემალები.

* * *

მწვანე სიზმრებმა, ბორგვამ და ბოდვამ
მთელ ჩემს ცხოვრებას დაღი დაასვა,
ჩვენ ერთი ფერის თვალები გვქონდა,
მაგრამ ღიმილი გვქონდა სხვადასხვა.
შენი ღიმილი — არმცოდნე ტანჯვის,
ჩემი ღიმილი — ტანჯვის მფარავი...
და ჩვენ გაფცურეთ სხვადასხვა ნავით,
თან აგვედევნა დრო შემპარავი.
ღიმილი გაქრა ორივ ბაგიდან,
გზა გაეკაფა ყოველმხრივ ნაღველს,
იწყება ჩვენი სიყრმე თავიდან
და დაეძებენ თვალები თვალებს.

* * *

ოცნებავ, ნაჭედ ჩარჩოთა ლაქავ,
რა იქნებოდა, შენთვის დამესწრო,
შენ აგაუღერა მშვენიერ ჰანგად
დარდმა, ყველაზე დიდმა მაესტრომ.
დავალ და გისმენ... და სიჩუმეში
ირჩევა შენი ნატიფი ექო,
და არ მაოცებს სიჭიაბუქეში
რაღ მსურდა შენი სიწმინდე მექო.
ახლა ვიცი, რომ დრო არის ლოცვის
და რომ ამჯერად სხვისთვის ვილოცებ,
რომ სტრიქონივით მახარებ მოსვლით
და სტრიქონივით მიგაქვს სიცოცხლე-

* * *

ღამდება, ჩუმად კვდებიან მთები,
ცა სამარისფერ ქსელში გაება,
ვით სხვის პიჯაკზე საყვარლის თმები,
ღამე შობს იჭვებს და ინაბება.

და სიშავისქენ იღტეის ველები,
 თითქოს ავდარი ერეკებოდეს,
 რაფი ვერავის ვერ ვეშველები,
 მეც იმათ გვერდით უნდა ვკვდებოდე.
 მაგრამ მე ვცოცხლობ და ამ ღამითაც
 რაღაც ამაო სიხარულს ველი,
 და ყველა სიკედილს ალბათ ავიტან...
 ღამეა მწველი... ძალიან მწველი.

ამიჩან ხაგაზი

მთიალი პურაში

მთიალან ჩამოვიდა ჭმუხა კაცი,
 ფეხქვეშ ცხელი ქუჩა შემოენთო,
 ბოლჩა სატანაში გამოკრული
 მხარზე უდარდელად შემოედო.
 ღამე საცხე იყო სურნელებით,
 ქვრივის კაბასავით ჩაღილული,
 მიღიოლა ლიდ მთასავით მოუქნელი,
 და ძველ ციხესავით ჩაჟირული.
 ფანჯრებიდან იღვრებოდა ტალღა-ტალღა,
 ლისტის უნაზესი რაფსოდია,
 კი არ გაეცინა, ტუჩი გაეხია...
 ო, იმ ციცქა გოგოს რა სცოდნია.
 მთას მთის ქარივით მიაშურა,
 ლოგიში შამფურივით იტრიალა,
 იმან ყველაფერი შეიყვარა,
 ქუჩა ფანჯრიანად, ლისტიანად.

ვასვაბი ჩემი

ფესვები ჩემი სწოვენ სიცოცხლეს
 და მიხარია ჩემი სინედლე.
 ღმერთო, ოცნება მარად მიცოცხლე,
 ცავ არ მომაკლო მზე და სინათლე.

პიტალო კლდეზე ამოსულს ვგავარ,
 სიცოცხლის წყურვილს აქ დავუნთივარ,
 ვღელავ ზღვასავით, და თითქოს ზღვა ვარ,
 სურვილს ცისარივით აეუნთივარ.
 ჩამოვიძინებ ცივ პიტალოზე
 და ფერად-ფერადს მე სიზმრებს ვხედავ,
 ხელებს წავიბან მთის ცივ წყაროზე,
 გულში მიხუტებს ადგილის დედა.
 ფესვები ჩემი სწოვენ სიცოცხლეს
 და მიხარია ჩემი სინედლე,
 ღმერთო, ოცნება მარად მიცოცხლე,
 ცავ არ მომაყლო მზე და სინათლე.

ხ ა ნ დ ა ხ ა ხ ა ხ ა ხ

ხანდახან მოვიწყენ, ხანდახან
 სიჩუმეს აღვიქვამ,
 როგორც დიდ საღარდელს,
 წავალ და ჩავივლი კირდაკარ
 ოღონდაც სიჩუმეს არ ვგავდე.

ხ ა ზ ვ ი მ ა რ ი ტ ო ტ ი

შეეზე თბება	თუმცა ახლა არც ქარია,
ნაწვიმარი ტოტი,	აღარც თქეში მოღის,
ცრემლით ავსილ	წვიმის მერე ისევ ჩუმად
ბავშვის თვალებს რომ ჰგავს,	იცრემლება ნაწვიმარი ტოტი.

300806 91683601

სუმიკა და ფილმები

— აბა, ჩითებო, გავდიგართ! — გააფრთხილა კაპიტანმა უფროსი თანაშემწერ და მთავარი მექანიკოსი.

მეზღვაურებმა ცოლ-შვილი და მეგობრები ნავმისადგომშამდე ჩააცილეს.

— ყურადღება! ყურადღება! — გაისმა სანავიგაციო ხიდურიდან. გახტის შტურმანმა აკრალი გამოაკეხათ.

მეზოვაურებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს და მორიგი განკარგულების შესასრულებლად მოემზადნენ.

— წინაურლობზე და კიჩოზე ბაგირები გაათავისუფლეთ! — ბრძანეს ხელახლა.

კალამბრები დატრიალდა. დაიწყო გემის ლასაბჭელი ბაგირების ამონება.

— Յորս լոյթ! — ՀՅԼԱՅ ՔՇԵՏ ՍՊՈՒՐՆՈ.

ბოცმანმა ტერ-აზარიანმა ბრაშვილის სამართავ ბერკეტს ხელი ჩას-
ჭიდა და ღუზის ჯაჭვმაც იმწამსვე ყურადღი წამოები რახრახი მორთო.

თბომავლის ქიმი ნელ-ნელა შორცებოდა ნავმასაფეომს.

ვახტილან თავისუფალი მეზღვაურები კიჩის ზედნაშენის გემბაზე იდგნენ და უკანასკნელ კოცნას უგზავნიდნენ ნაპირზე დარჩენილთ.

სუმიკა გემის ფოკანძის სათვალოვალო ბაქანზე აცოცდა და გულის ფანცქალით შეჰყურებდა ნავმისაღვიმისკენ მომავალ გზას. წითელმურას გამოჩენის მოლოდინში გაყურსული სუმიკა მეგობრის თავამვებულ საქ-ციელს ვერ შერიგებოდა. „განა პირველად იგვიანებს ეს ყურუმსალი წი-თელმურა“, ფიქრობდა სუმიკა და გატრუნული იწვა.

დონკერმანი რეზიუ სატვირთო გემბანზე დაფუსფუსებდა: ნავთობის მისაღები მილების სახელურებზე დამსგრებულ სარქველებს ექაჩებო-

და — თითქოს ამოწმებდა, საიმედოდ იყო თუ არა დაკეტილი. უკვე მერა მღენეჭერ ამოალაგა ხელსაწყოები ყუთიდან და კვლავ ჩაწყო, რაღაც ფაციულობდა, მავრამ მისრაძმის ეტყობოდა, რომ მთელი გულის ყური ხმელეთისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

კაპიტანსაც არ გამოპარვია სუმიკასა და რეზიკოს მღელვარება. სხვა შეზღვაურებსაც აკლდათ თვალში წითელმურა, მაგრამ ჯერ ამისთვის არ ეცალათ. მხოლოდ უფროსმა თანაშემწერმ, ვითომიცდა სხვათაშორის, მაგრამ უფრო კაპიტანის გასაგონად, თქვა: წითელმურა არ ჩანსო. სად უნდა გადავარგულიყო ის ჯამბაზი? კაპიტანს აინუნშიც არ ჩაუგდია უფროსი თანაშემწის ნათქვამი. მერედა რა, ვიდრე ჩვენ მოვბრუნდებით, წითელმურა თავს შეაფარებს სადმე და პურსაც იშოვისო, ფიქრობდა გემის მეთაური.

გემი აიხსნა.

ტანკერსა და ხმელეთს შორის მანძილი უკვე საკმაოდ დიდი იყო. უცებ გამტალებლები აწრიალდნენ ნავმისადგომზე. მერე ვიღაცამ იყვირა: — რეზიკო, წითელმურა მორბის!

ამ მოულოდნელმა ძახილმა ყველა ააფორიაქა. მეზღვაურები აპ-მაჟურდნენ. გამტალებლები ორ ჯგუფად გაიყვნენ. მათ გზა უტიეს წითელმურის. იგი მიწაზე გაურული მიქროზა. ძალი ხედავდა, რომ გემი შორის იყო, მაგრამ წამითაც არ შეყოვნებულა: იგი შურდულივით გადაეშვა ზღვაში და გემისკენ გასცურა.

თბომივალზე ერთი ალიაქოთი ატყუდა.

— აიდა, ყოჩალ!

— ბრუნს მოუმატე, წითელმურავ, ბრუნს!

— რეზიკო, მაშველი რგოლი გადაუგდე, ბიჭო!

მეზღვაურები სუმრობდნენ და თანაც წითელმურას დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს ვერ მაღავლნენ. სუმიკა იმწამსვე ჩამიცოცდა სათვალთვალო ბაქნიდან და რეზიკოს ამოუდგა გვერდში.

გაწუწული, ენაგაღმოებული და თვალებგაბრწყინებული წითელმურა გემბანზე ამოვიდა თუ არა, უკანა თაოებზე შედგა და თავის დახრით მიესალმა მეზღვაურებს...

მერე სუმიკამ და წითელმურამ ხტუნვა-ხტუნვით კამბუზს მიაშურეს, სადაც გემრიელი კერძები ეგულებოდათ...

სუმიკა — ასე მონათლეს მეზღვაურებმა ციმბირული კატა თავიანთი გემის, „სუმი“ რომ ერქვა სახელად, საპატივცემლოდ. იგი ჩვენი ზინას წყალობით მოგვევლინა გემზე. ეს მოლდაველი გოგონა რომ არა, ვინ უწყის, რა ბედი ეწეოდა ამ უპატრონო ფისოს!

წითელმურა კი რუს-წითელ მურიკელას შეარქვა მუდამყამ მხიარულმა დონკერმანმა რეზიკომ.

ჩვენი ტანკერი ტუაფსეში იდგა და ნავთით იცხებდა გაუმაძღარ მუ-

ცულს. რეზიგომ სადისტანციო სარქველების მოძრაობა ვერ აწყო. დგი
კისრისტებით დარბოდა გემიდან ნაპირზე და უკან. დღე უკვე მიაწურავთ
რა. აქა-იქ ახახისახდა ლამპიონები და რეზიგომის შეებით ამოისუნთქა:
ნიაღვარივით წამოვიდა ნავთი ტანკებში. დონკერმანი თამბაქოს მოსაწევ
სადგომში შევიდა, ზედიზედ ორი სიგარეტი მოსწია და გამოვიდა. რეზი-
გომ უცებ ძალის მოპერა თვალი. რუხ-წითელი მურა კუჭზე იჯდა და
თაფლისფერი თვალები დონკერმანისთვის მიეპყრო. მეზღვაური შეჩერდა
და გაიღმა. იგი მურიას მიუახლოვდა და ჩაცუაქდა.

— რა იყო, ჩემო მურიკელა, რას შემომჩერებიარ, ა? — ჰეითხა
ძალის და თავზე გყდაუსვა ხელი. ძალის ალერსი ესიამოვნა და გაინაპა.

— მოდი, დღეიდან შენ გერქვას წითელმურა, კარგი? ხომ მოვეწო-
ნა? ყოჩაღ! აბა, წავიდეთ და საქმეს მივხედოთ, — თქვა რეზიგომ და ძა-
ლის ფეხდაფეხს აედევნა თავის ახალ პატრონს.

წითელმურამ, გემზე ავიდა თუ არა, მყისვე შემოირბინა ყოველი
კუნძული და კამფორტული კაუზტაც მონახა. ეს იყო სუმიკას სადგომი,
რომელიც მეზღვაურებმა საგანგებოდ აშენეს კიჩოს ზედნაშენის გემბან-
ზე საკვამლე მილის ძირში. აქ თბილოდა და ოკეანის ტალღის შეფარ-
ვერ აღწევდა. წითელმურა მასპინძელივით შერჭა ბუნაგში და.... ო, სა-
ოცრებავ! მან აქ თითქოს ნაცნობი სასიამოვნო სუნი იგრძნო, მაგრამ არ
იქნა და ვერ მოიგონა, სად და როდის უყინოსავს იგი. წითელმურა მყისვე
წამოწევა იქვე გაგებულ ჭილოფზე, მოიკუნტა, დრუნები თათებზე დადო და
ჩათვლიმა. სულ მალე სუმიკა გამოცხადდა. მან უკვე მოაგვარა პირადი სა-
ქმედები ქალაქში და მზად იყო რეისში გასასვლელად. ამ ხვად კატას ნამდ-
ვილი ავაზას იერი ჰქონდა. ერთადერთი, რითაც იგი ვეფხვისაგან განსხვა-
ვდებოდა, ეს იყო მისი თოვლივით ქათქათა ბეჭვი. ამ თეთრ მანტაში
გამოპეწენიკებულ სუმიკას პირწავარდნილი არისტოკრატის ელფერი გა-
დაპყრავდა. სუმიკამ მიიხედმიოხედა და თავის სენაკში შევიდა. შევიდა
და გაონგნდა! აქ უკვე ვიღაცა ხერინავდა. მაგრამ ვინ? ვინ გაბედა მის
სამულობელოში შეჭრილიყო? სუმიკა მიუახლოვდა წითელმურას და
როცა მისი დრუნები აათვალიერა-ჩათვალიერა, გაოცებისაგან კინაღამ
შეჰქიდა: ჩემი სიყრმის მეობაძრი ვიცანიო!

ასინი რამდენიმე თვის უკან ერთად იყვნენ. ერთ-ერთი ნავსადგურის
ბუჭისირი იყო მათი სახლ-კარი. ვინ მოთვლის რამდენჯერ უთაშაშნიათ
ერთად, ან როგორ კაწრავდნენ ერთმანეთს, ან რამდენი დაუა-დაკა ჰქონი-
ათ! უსიამოვნებაც განუცდიათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხიარული წუ-
თები სჭარბობდა. მერე ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი შეიცვალა ბუ-
ქსირჩე. ახალი უფროსი თანაშემწე მოვიდა და ორივე კინწისკვრით გააგ-
დო გემიდან...

სუმიკა ჩევნმა ზინამ მოიყვანა. დაბანა, შეამშრალა, ბეჭვი დაუვარცხ-
ნა და დაანაყრა. მალე გემის მოელმა ეკიპაჟშა შეიყვარა კატა. მართალია,

მეზღვაურები სუმიკას თითქმის ყოველთვის ნავსადგურიდან ზღვაში გადასახლდებოდა. მაგრამ მერე რა? გამგზავნება ცუდია? სუმიკას სურათი გადაულეს და მისი აღმატებულება გემის ფრისტენდზე აღმოჩნდა. გადიოდა დრო, იზრდებოდა ფისო, ზღვასა და მეზღვაურულ ცხოვრებას უგუებოდა თანდათან. სუმიკა ნავსადგურში ჩასვლისთანავე, ისევე როგორც სხვა მეზღვაურები, გამოიპორანებოდა, თავის მეურეებს ზინას გემიდან ჩასვლის ნებართვას სთხოვდა და ქალაქის წავიდოდა. ვიდრე გემი ნავსადგურში იდგა, სუმიკა დროს ატარებდა ქალაქში, მაგრამ ზღვაში გმვლისას არასაღროს არ იგვიანებდა.

ერთხელ ჩვენმა კაპიტანმა ეკიპაჟის საერთო კრებაზე ზოგიერთ დაუდევამ მეზღვაურს, რომელსაც მიწიერი სიამოვნება და გემზე შრომის ძირითადი დებულება არ შეუძლია შეუსამის ერთმანეთს, მისაბად პირვენებად სუმიკა დაუსახელა. კაპიტანის ასეთი დიდაქტიზმი იმ „ზოგიერთს“, რა თქმა უნდა, არ მოეწონა, მაგრამ ფაქტი ხომ ყველაფერზე ჭიუტი რამ არის. სეირნობიდან დროზე დაბრუნებული სუმიკა თავის კარუტს მიაშურებდა და სამი დღე და ღმე ჭილოფზე გორაობდა. სიზმარში ხელშეორედ განიცდიდა იმ სათავგადასავლო შეხვედრების სიტყბოებას, რაც მან იმ დღეებში იგემა.

წითელმურას გამოეღვიძა. ფისო რომ დაინახა, უცებ წამოვარდა და სიხარულით აწყავშეუდა:

— ღავ, ღავ! — სალამი, მეგობარო! ამდენ ხანს რომ არ ჩანდი, საღვარისაგად და რას აკეთებდიო, თითქოს ეკითხებოდა წითელმურა მეგობარს.

წითელმურამ ფისო იცნო, შეიგრძნო მისი სიყრმისუამინდელი სუნი. ისინი სიხარულით აღსავსენი კიდევ ერთხანს შესცემოდნენ ერთმანეთს, მერე კი, როგორც უწინ სჩვეოდათ, გვერდიგვერდ წამოწვენენ. სუმიკა და წითელმურას დაიღხანს არ სძინებიათ. ალბათ, ერთიც და პეოლეც საკუთარ ფიქრს მისცემოდა.

ტანკერი ზღვაში გავიდა და ჰავრისკენ აიღო გენერალური კურსი კაპიტანის უფროოსშია თანაშემწერი გემის დათვალიერებისას წითელმურამ მოჰქრა თვალი. იგი ფეხებგაფგიმული იდგა სუმიკას სადგომის შესასვლელთან და სახეალეშილი რისხვის ამოსაფრქვეულდ ეტჩადებოდა. უფრო თანაშემწერს ის-ის იყო უნდა დაეჭირა, მაგრამ წითელმურამ მყისვე იგი ძნო ხიჯათის მოახლოება და ჰექა-ქუხილს დაასწრო. იგი უმალვე შედეს ძნო ხიჯათის მოახლოება და ჰექა-ქუხილს დაასწრო. მერე ლომე გაუდინა თაობზე და მარჯვენა წინა თათით გარისყაცივით მიესალმა უფრო თანაშემწერს. ეს იყო სანახაობა და მერე როგორი! უფროოს თანაშემწერს გაოცებისაგან თვალები გაუფართვდა. მერე ლომილი მოერია.

— ჰაიდა, ყოჩალ! შენ ეგრე ვინ გამოგწაფა, ა? ან აქ საიდან გაჩნდიდ ბოცმან! მოდი აქ! შენ ამას იცნობ, ბოცმან?

— გიცნობ, ჩიფ, — თქვა ბოხი ხმით ბოცმანმა ტერ-აზარიანმა.
 — ვისია?
 — გემისაა.
 — რა ჰქვია?
 — რა ფერისაცაა, ასევე იქნა მირონცხებული: წითელმურას ვეძახით—
 — წითელმურა! მშვერიერი სახელია. აბა, წითელმურა, მოღი ჩემთან!
 ახლოს, ახლოს, ნუ გეშინია. თათი მოშეცი! ყოჩალ! რა გიყო ახლა მე
 შენ, ა?

— იყოს გემშე. კარგი მურიკელაა. ჭიკიანიცაა. გაეგება...
 — ერთი ამას დამიხედვეთ! ბოცმან, შენ რომ ნება დაგროვონ, გემს-
 სულ მაღლე სამხეცედ გადააჭევ.
 — ძალი ადამიანის მეცობარია, მე ასე გამიგია, ჩიფ.
 უფროსი თანაშემწერ ერთხანს დუმდა.
 — კი, ბოცმან, ძალი ხშირად ბევრ ორფეხა მეგობარს სჯობია. და-
 მერწმუნე, მაგრამ...

— მესამს, ჩიფ, ოღონდ „მაგრამ“ არ არის საჭირო...
 უფროსმა თანაშემწერმ იცოდა, რომ ბოცმანის სიტყვა ზა საქმე ერთია.
 წითელმურას ბედი გადააჭედა და მან ეს იგრძნო. გარწმუნებთ ბა-
 ტონებო, რომ იგრძნო. თქვენ იძუამს გენახათ მისი თვალები — გაბრწყი-
 ნებული, კმაყოფილებითა და სიხარულის ცრემლებით სავსე! წითელმურა-
 კვლავ შევიდა სენაში და სულგანაბულ სუმიკას გვერდით მიუწვა. სუ-
 მიკა ყველათვერს ხედავდა და ყველათვერს ისმენდა, მაგრამ ხმა არ ამოუ-
 ღია. არ ცნო საჭიროდ გამოსარჩევებოდა მეგობარს...

ჩვენი მეზღვაურები ხშირად იყრიდნენ თავს კიჩის გემბაზე და საზ-
 ღვაო დომინოს, ნარდის, ჭადრაკის და ძალიან ხშირად ფრენბურთის თა-
 მაში აჩარებდნენ. სუმიკა და წითელმურა ყოველთვის თან ახლონენ მეზ-
 ღვაურებს და ჩუმავდ თვალს ადევნებდნენ ასპარეზიბას. ისინი განსაკუთ-
 რებულ სიამოვნებს გრძნობდნენ, როცა მეზღვაურები ფრენბურთის თა-
 მაშინდნენ. სუმიკა და წითელმურა ფრენბურთის ყველაზე თავგამოდე-
 ბულ გულშემატყიცებული იყვნენ ალიარებული. ისინი უკვე მერამდენე-
 ბი ტებებოდნენ ამ თამაშით, მაგრამ არ იქნა და ვერ გაიგეს ერთი რამ:
 რატომ არ ვარდება ბურთი ზღვაში? წითელმურა არაერთგზის წამომხტა-
 რა და გამოსცევნების ბურთს, როცა იგი წითელმურას ფიქრით ზღვაში
 უნდა ჩაგორებულიყო, მაგრამ რომელიღაც უჩინარი ძალა კვლავ მოედა-
 ნები აბრუნებდა მას. ერთჯერ წითელმურა ბურთის მაგიერ კინაღამ თვა-
 თონ გადაეშვა ზღვაში, მაგრამ დროულად შეიკავა თავი...

მეზღვაურები წრეს შეკრავდნენ ხანდახან. შუაგულ მოედანზე კი
 სუმიკა და წითელმურა ისეთ კრენდელებს აკეთებდნენ, რომ მათი ოინ-
 ბაზობის ენით გადმოცემა შეუძლებლად მიმაჩნია. ეს საკუთარი თვალით
 უნდა ნახოს კაცმა. ისინი ისეთ ნომრებს ასრულებდნენ, რომ მსგავს რა-

მეს მსოფლიოს ვერც ერთ ცირკუმ ვერ ნახავთ! სახელგანთქმულ დურის ვსაც კი შეშურდებოდა. არა გვერათ? მაში მოთმინება იქონიეთ: სუმის უკანა თათებზე დაგება, ტანს აჭიმას, წინა თათებს მალლა ასწევს, წრეს შემოივლის, მერე ცენტრში გადის და იქ სარივით დაერჯობა. ამ დარის წითელმურა რამდენიმე მეტრიდან გამოქანდება, ახტება და უკანა თათებისა შემიყას წინა თათებზე დაგება. ორივე ერთ ფიგურად ჰუცული, ვერტიკალურად აღიმართება და მერე კაბადობს მიაშურებს. წითელმურა კაბადონის დერძს წინა თათებით ჩაეჭიდება, სუმიკასთან ერთად სამჯერ აკეთებს ბრუნს და ორივენი ერთდროულად დაეშვებიან გვემბაზე. სუმიკა და წითელმურა მეზღვაურებს თავს უხრიან და წინა თათებით „ტაშს უკრავენ“. ეს ჯამბაზური ტრიუკი ყველას დიდად მოსწონდა. სუმიკა და წითელმურა თითქოს გრძნობდნენ ჩვენს სუსტ მხარეს და ყოველთვის დიდი მონდომებით ასრულებდნენ ამ ნომერს. სამიგვეროდ: მეზღვაურების მშუქარე ტაში დიდხანს გაისმოდა, მზარეული ზინა კი ყელის ჩასაკუპლზინებელ ნამცხვრებს მიართმევდა ორივე შუშაითს.

რეისი მხიარულად და ჩქარა მიდიოდა. მეცამეტე დღეს ჰავრი გამოჩნდა. მხოლოდ ღამით შეგვიყვანეს ნავსალგურში. ლუმის ამოტეიროვას შევუდექით. მალე გათენდა და ჩვენც ქალაქში გავედით.

უნდა გენახათ, როგორი მიხრა-მოხრითა და გრაციით მისეირნობდნენ სუმიკა და წითელმურა! მეზღვაურები მათ ეპატიუებოდნენ: ერთად წავიდეთო, მაგრამ ვერ მოგაროოთ! სუმიკა და წითელმურას საკუთარი გეგმა და საგანგებო პირადი მოტივები ჰქონდათ.

დღე მიიწურა. ჩვენ ყველანი უკლებლივ დაბრუნდით გემზე.

ღამე გავიდა. ოთხფეხა შეგობრები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ.

— მალე გაფილივართ. სუმიკა და წითელმურა არ მოსულინ? — ერთმეორეს ეკითხებოდნენ მეზღვაურები და რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ღელავდნენ, მაგრამ მოლლოდინს მალე მოელო ბოლო. სუმიკამ ახლაც გაამართლა თავისი პრინციპი: იგი დროზე გამოცხადდა გვემზე. სუმიკას ბევრჯერ უსეირნია უცხო ქვეყნების ქალაქებში, მაგრამ ჰავრიდან დაბრუნდულს ემჩნეოდა, რომ აშერად ბრწყინვალედ გაატარა დრო. მას სრულიად არ ეტყობოდა დაღლა. სუმიკამ წამში შემოირბინა გემი და, როცა დარწმუნდა, წითელმურა ჯერ კიდევ არ მოსულა, იგი, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ფოკ-ანძის სათვალთვალო ბაქაზე აცოცდა და იქ დარჩა დარაჯად.

კაპიტანს მოახსენეს: სუმიკა მობრძანდა, მაგრამ წითელმურას აგვიანდება.

წითელმურას საქციელმა ამჯერად კაპიტანიც ააღელვა: „არა, წითელმურას აქ დარჩენა შეუძლებელია. მარტოვა, უცხო მიწაზე, უცხო ხალხის ამარა! არა, ახლავე უნდა გავგზავნოთ რამდენიმე მეზღვაური ნაპი-

ჩე. შეიძლება სადმე ახლოს ყურყუტებს და გემისჭერა ვერ მოუნაზავს
გზა. უნდა მივემცელოთ!“, ასე ფიქრობდა კაპიტანი.

— ჩივ, ბიჭები აფრინე ნაპირზე! დაუყოვნებლივ! კიდევ გვაქვს
დრო. ჩქარა! — უბრძანა კაპიტანმა უფროს თანაშემწერს.
მწამესვე სამი მოხალისე გავარდა საძებრად.

გემის ამოტევირთვა მთავრდებოდა.

წითელმურა არ ჩანდა და არა.

მეზღვაურები დაბრუნდნენ. ნავსადგურის შემოგარენი მოვიარეთ,
გაგრავ წითელმურას კვალს ვერ წავაშყდით, უპატაკეს კაპიტანს.

გემი დაცარიელდა. უპვე რამდენიმე ბუქსირი მოადგა ტანკერს. ლო-
ცმანი ამოვიდა. დრო არ ითქვდა, მაგრამ კაპიტანმა კიდევ სცადა გასვლა
დაუყოვნებინა. ლოცმანი კაიუტაში შეიძატიუა. შავი ყავა და ბორჯომის-
წყალი ჩამოუსხა. ახლა თითქოს უფრო ჩქარა გადიოდა დრო, წითელმუ-
რა კი არ ჩანდა. ლოცმაშია ერიქსონის ფირმის ძეველებური საათი ამო-
გორა უბის ჯიბიდან და ციფერბლატს რომ დახხდა, მარჯვენა წარბი
ეჟიმია.

— ე-ე, კეპტინ, გვაგვიანდება, — თქვა ლოცმაშია.

— ჲ, მისტერ პაილოტ, წავიდეთ! — უპასუხა კაპიტანმა ლოცმანს
და სწორედ იმშუთას დახსლოებით ორი კაბელტოვის მანძილზე წითელ-
მურა გამოჩენდა. იგი საოცრად ლამაზი კოპწია ძაღლის გვერდით მოსეი-
რნობდა. თასმაზე მიბმული ეს პატარა კუდაბზეკილი ფინია თავისი ქალ-
ბატონის კვალდაკვალ მიცუნცულებდა. ეს იყო რომანტიკული სულით
გამსჭვალული უბადლო სურათი. წითელმურას გამოჩენამ მეზღვაურები
ააფორიაჟა. უცებ მოითაბირეს და შიგრივი აფრინეს კაპიტანთან, —
— წითელმურას ყურადღება გვინდა მივიქციოთ და ნება მოგვეცით გე-
მის საყვირი ავაგუგუნოთო.

კაპიტანმა ფუშფუშა ულვაშებში ჩაიცინა და თავის დაქნევით ანიშნა,
უსიგნალეთო.

ტანკერი აგუგუნდა. წითელმურა მყისვე შეჩერდა, თავი მაღლა ას-
წია, ყურები აწურა, სწრაფად მოტრიალდა ჩვენკენ, მერე იქით, ქალბა-
ტონთან მიმავალ კუდაბზიკას გააყოლა თვალი. კიდევ ერთხანს აქეთ-იქით
იძრუნა თავი და გაიქცა. მორიგე მატროსმა კიდევ ერთხელ ააგუგუნა სა-
შვირი. წითელმურა კვლავ შეყოვნდა წამით, მაგრამ მხოლოდ წამით და-
ფვალს მიეფარა. ფრანგმა ცუგმა წითელმურა საბოლოოდ მონუსხა...

მთელი ამ ხნის განმავლობაში სათვალთვალო ბაქანზე მწოლარე
სუმიკა ადგილზე ტოკავდა, მაგრამ არა მაშინ, როცა ტანკერი გუგუნებდა,
არამედ მაშინ, როცა წითელმურა ადგილიდან მოსწყდებოდა და თავის
ახალ ნაცნობს გამოედევნებოდა...

ჩვენ ზღვაში გავედით. წითელმურა ჰავრში დარჩა. სუმიკამ მოიშყი-
ნა, რეზიკოც ძლიერ განიცდიდა წითელმურას ღალატს. ყველას რაღაცა

დაგვაკლდა ერთბაშად. ამას ისიც დაემატა, რომ ბისკაის ყურე საშინელი შტორმით შეგვევდა.

მეს შემდეგ დაახლოებით სამშა თვეებ განვლო. ტანკერი ბათუმის ნავსაძგურში შედიოდა და მეხუთე ნავმისადგომისკენ შიგწეოდა ნელი სვლით. მოულოდნელად ბოცმაზ ტერ-აზარიანის ხმა გაისმა სანავიგაციო ხილურზე:

— ბიჭებო! ნავმისადგომზე გაიხედეთ! წითელმურა დაბრუნებულა!

წითელმურა დაბრუნებულაო, ამ ახალმა ამბავმა მყისვე შემოიჩინა ტანკერის ყოველი კუთხე. მეზღვაურები გემბაზზე გამოცვივდნენ. წითელმურას თავი ჩაეჭინდრა, ყურები ჩამოჟყარა და ხმაჩამენდილი იჭდა ნაპირზე.

— წითელმურავ, თავი მაღლა ასწი! — გადასძახა ბოცმანმა წინაერ-დოდან, მაგრამ ძალლი არც კი განძრეულა...

წითელმურა თითქოს დამნაშავედ გრძნობდა თავს.

ტანკერი ნავმისადგომს მიადგა თუ არა, ყველაზე ადრე სუმიკამ ჩაირჩინა ტრაპი და პირველი მიესალმა მეგობარს.

შენ, რომელიც დაიბადები

ასი წლის შვემდებ

შენ, რომელიც დაიბადები ასი წლის შემდეგ
 და გერქმევა ჩემი სახელი,
 ჩემი შვილის,
 ჩემი მეგობრის,
 და ჩემს სანალვლოს შენაც ინაღვლებ,
 მოგესურვება გაატარო ზაფხული მარსშე
 ან ვენერაზე
 და იხილო ყველა სიმაღლე.

არ გაგაოცებს,
 როგორა ჰგავს ერთი მეორეს
 ყველა პლანეტის გაზაფხულის ყველა ფურცელი
 და დააფასებ საუკუნეებს,
 რომელმაც შენში გადმონერგა
 მშობლის გული,
 ნიჭი შრომის,
 სიყვარულის — ასე უცვლელი.

შენაც ჩემსავით გეყვარება,
 ჩემსავით იგრძნობ,
 სხვაგვარ კი არა.

მაგრამ გაგიჩენს საუკუნე ახალ სიხარულს,
 ახალ სურვილებს,
 ახალ იარას.

გეცოტავება შიღწეული,
 მოგესურვება:

მზე დედამიწას დააფინო შენი ხელებით,
 მოგესურვება,
 მაგრამ დედას,
 სატრაფოს,
 პირმშოს
 შენაც ჩემებრ მოეფერები!

მიხეილ გორგაძე

სოფელი მთა დაიკურო

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, წყალუხვი ჭოროხი ძალის რომ მოიკრებდა და ხეობას თაეს დააღწევდა, კახაბრის ველზე ისეთი ძალით შეიჭრებოდა, ყველაფერს ანადგურებდა, ნაყოფიერ ადგილებს ქვალორიათ ავსებდა ან ჭაობად აქცევდა. გლეხეცაცს ილაპი გაწყვეტილი ჰქონდა შეუპოვარ სტაქიასთან ბჩდოლაში, მაგრამ ვერაფერს აქლებდა. უთანაბრო ბრძოლაში ადამიანი იძულებული იყო უკან დაეხია. ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში.

ადამიანებს ძალა ახალმა ტექნიკამ შემატა. იქ, სადაც ჭოროხი ხეობას თავს აღწევს და გაივაკებს, მოვიდნენ მუშები, მოიყვანეს მძლავრა მანქანები და ნაბიჯ-ნაბიჯ რკინაბეტონის კედელი აღმართეს. ასე თანდათან მდინარე რკინის სალტებული მოაქციეს. აღარ იყო ახალი წარღვნისა და უბედურების საფრთხე, ამოისუნთქა მიწამაც, ადამიანმაც. ასეულობით ჰქონდა ნაყოფიერი მიწა ასე გამოსტაცეს თავაწყვეტილ მდინარეს.

ვანც გაისაჩია, იმან გაიხარაო, უთქვამს ქართველ კაცს. გლეხეცაცობა კოლექტიურად შეესია ველებს და გარემო ედემის ბალს დაამსგავსა. წინათ ჭოროხის შიშით კახაბრის ველიდან თუ გარბოდნენ, ახლა პირიქით, მაღალმთიანი რაიონებიდან ლაშქარივით მოაწყდნენ და ყველა უბანში ახალმოსახლეობა გაჩაღდა. მიწამაც გაიხარა და ადამიანმაც. გარჩას ბარაქა მოჰყვა. ივებო სოფლის ბეღელი, დედის კალთა და მამის საფულე.

კახაბრის ველზე სოფელი ხელვაჩაური შემდგომში ისე გამრავლდა, დაუსახლებელსა და აუთვისებელს მტკაველ მიწას ვერ ნახავდით. ცხოვრება კი მოითხოვდა მეტ სიუხვეს, მოსავლიანობის გაზრდას, ახალი ფართობების ათვისებას. რა უნდა ექნათ? სოფელს ერთი მხრიდან ჭოროხი ჩატავდა, აღმოსავლეთით მთა ართაზონი ჩასდგომოდა და გასაქანს არ აძლევდა, ჩრდილოეთით მეჯინისწყლის კოლმეურნეობა ესაზღვრებოდა.

სოფლის ბედზე ისევ სოფლის თავკაცებს უნდა ეფიქრათ.  იმხანად ხელვაჩაურის რაიონში ითვა ციტრუსებისა და ჩაის პლატფორმული ებში მთლიანად მოესპონ მეჩეტიანობა. რაიონის პარტიული აქტივის გადაწყვეტილების საფუძველზე სოფელში შეიქმნა მეჩეტიანობის სალიკვიდაციო შტაბი. კომისიამ შეისწავლა ასებული მდგომარეობა და გამოირკვა, რომ პლანტაციების მეჩეტიანობა ექვს პროცენტს აღემატებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეჩეტიანობის ლიკვიდაციით კოლმეურნეობას ათეულობით ჰქონდა ციტრუსი და ჩაი შეემატებოდა.

— ეს მთელი სიმდიდრეა, — სიხარულით წამოიძახა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თამაზ გეგიძემ, მაგრამ უმაღვე მოაგონდა, რომ მეჩეტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის როდი იძლეოდა შვედები. ასეთ თაოსნობას ხან პარტიის რაიონი იჩენდა, ხან კომკავშირი, კოლმეურნეებიც აუბამდნენ მხარს, მაგრამ საქმე ბოლომდე არასდროს მიუყვანიათ: ათასობით ახალდარგული ნერგი მრავალშორის პლანტაციებში ეკალბარდით იხრჩობოდა ან გვალვებით იღუპებოდა. ასე იყო თუ ისე, გაწეული შრომა წყალში უციოდათ.

ნერგ აძუამაზაც ასე მოხდება?

კოლმეურნეობის თავმჯდომარე საგონებელს მიეცა. მას გაგონილი ჰქონდა, რომ ჩაისუბნის კოლმეურნეობამ შარშან მოსპონ მეჩეტიანობა. გამოცდილების გაზიარება ცოტას როდი ნიშნავს. თამაზ გეგიძე უმაღვე ჩაისუბანში უფროს და გამოცდილ კოლეგასთან მამია აბაშიძესთან განდა.

— ჩემო ძმაო, — უთხრა მამიამ, — ხალხური სიბრძნე ხომ გაგიგნია, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. შენც ასე თუ მოიქცევი, გარჯა უქმად არ ჩაგივლის.

· თამაზი მიხვდა, რომ მამია ქარაგმებით ელაპარაკებოდა, რაღაც „საიდუმლო“ ჰქონდა გასამხელი, მაგრამ თუ რა, ვერ ჩაწვდომოდა.

— ოღონდ ხალხი დააინტერესე, შრომა კარგად აუნაზღაურე და თუ გინდა მთას გადადგამენ, — მამიამ „სიიდუმლოებას“ თანდათან ახალა ფარდა. — ჩვენს კოლმეურნეობაში მატერიალური წასალისების წესვა ყველაფერი გადაწყვიტა. თითოეულ გახარებულ ჩაის ბუჩქებები სამ კაპიკ ვუხდით, ხოლო ციტრუსების გაშენებაზე, — დახარჯული თანხის ოც პროცენტს. ეს საქმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ ნუ შეშინდები, სამიოდე წელიწადში სამშაგად ამოიღებ. ერთს კიდევ გიჩჩევ: ჩაის ბუჩქების შესაყიდად კარდაკან ნუ დაიწყებ ხეტიალს, სანერგებში ძვირად ყიდიან. საკუთარი რეზერვი გამოიყენე, პლანტაციებში მილიონობით თვითნაბადი ნერგია, მას ის უპირატესობა აქვს, რომ უფასოა, ადგილობრივ ნიადაგს შეგუებულია და აკლიმატიზაცია აღარ დასჭირდება.

თამაზი ჩაისუბნიდან ისე გახარებული წავიდა, თოთქოს ოქტომბერის საბა-
ჯო აღმოეჩინოს.

სოფელში დაბრუნებულს ერთი სიხარული კიდევ დახვდა. კოლმე-
ურნების კანტორის ეზოში ჟენიშნა, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის
სამსართველოს მთავარი აგრონომი გურამ ცინცაძე კოლმეურნეობის
მთავარ აგრონომის დ. ბაჩამიძეს რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდა. ცი-
ნცაძეს რეზინის ჩემები ეცა და სანადირო თოთქი მხარზე გადაეციდა.

თავმჯდომარე მათ მიუახლოვდა.

— რას იტყვი, თამაზ, მთის დაყრობა რომ დაგვჭირდეს, შესძლებ?

— შეხვედრისთანავე ჰყაოთხა ცინცაძემ.

თავმჯდომარემ მხრები აიჩეხა.

— მიზანი იყოს და...

— მიზანი ორმოცდათი ჰექტარი საპლანტაციო ფართობი და ათასო-
ბით კუბამეტრი შეშა.

— რომელია ასეთი გულუხვი მთა?

— არფაზონი, — ცინცაძემ აღმოსავლეთით წამოჭიმულ მთას აპე-
და, — იქიდან მოვდივარ, თხემი ისეთი სწორია, ფეხბურთის მოედნები
გაიმართება. ნიადაგს არ იტყვი? ნაკელივით შავი და მსუყეა. სიძნელეე-
ბი გზის გაყვანაზე შეგვევლება, დანარჩენი...

— ახლანდელი ტექნიკისათვის გზის გაყვანა არ სათქმელია, მთავა-
რია მიწა ვარგოდეს. არც ტყის მოძირევა გაგვიძნელდება.

ბევრი არ უფიქრიათ, მეორე დღეს განთიადზევე არფაზონის აღ-
მართს შეუდგნენ.

ხელვაჩაურელებმა ერთდროულად ისე დაიწყეს ორი დიდი ბრძოლი-
სათვის შზადება: პლანტაციებში მეჩერიანობის მოსასპობად და არფა-
ზონის მთის დასაპყრობად.

ძალა ერთობაშიაო, ტყუილად როდი უთქვამთ. დიდი თუ პატარა,
კაცი თუ ქალი დაირჩმნენ საბრძოლველად. დაიწყეს ძველი პლანტაცი-
ების დატერასება და ნიადაგის მომზადება. ვაჟკაცები ტრაქტორებს მიჰ-
ყვნენ და არფაზონის ჩაკიდებულ ფერდობებს შეუტიეს. ეს ხდებოდა
იანვარ-თებერვალში. თბილი ამინდები იმის საშუალებას იძლეოდა, რომ
ხალხი ყოველდღე გამოსულიყო დაძახილზე.

მიწურა გაზაფხულიცა და ზაფხულიც.

იმ დღეს რაიონის მდიგნებთან სულიკ ინაშეილთან და ირაკლი
შერვაშიძესთან ერთად მძლავრი ყველგანმავალით არფაზონის აღმართს
შევდევით.

არფაზონის ქვემო კალთაზე ა. ვერძაძის ბრიგადის ჩაის პლანტაცი-
აში შევჩერდით. აქვე ვნახეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გეგიძე.
მთელი რაიონი თავდადებით იბრძოდა, წლიური გეგმა-ვალდებულება ვა-



დამდე შეესრულებია, საქმე უკანასკნელ ტონებზე იყო მისული. ჩქარობა
დნენ, ქვეყნისათვის ეპატაკათ ვალდებულების შესრულება.

რაიკომის მდიგანი ჩაის კრეფის მდგომარეობას გაეცნ. თავმჯდომა-
რებ ჩემთვის რომ მოიცალა, ვკითხე, გაზაფხულზე მეჩერიანობის სალი-
კვიდაციოდ რა გაკეთეს.

— ციტრუსების გამორგვა მთლიანად დაამთავრეს, ნორჩ ნერგებს.
შვილივით ევლებოლნენ, რწყავღნენ და ჩრდილებს უცეობდნენ, ორ-
მოცი ათასი გრძივი მეტრი ჩაის პლანტაციებში გამოვრგით, ყველა ნაკვე-
თი გავამრთელეთ და გავაკულტურეთ, — გვითხრა თავმჯდომარებ.

პირველად მოვისმინე ეს ორი სიტყვა — ნაკვეთის „გამრთელება“
და „გაკულტურება“. ორივე რა ზუსტად გამოხატავს აზრსა და შინაარსს.
ირგვლივ მიმოვიხდე, განაპირა ეკალბარდიანი ადგილი დაუმუშავებიათ
და პლანტაციად გადაუქცევიათ. საითაც არ გაიხედავთ, ყველგან მოჩანს
ასეთი ახალდამუშვებული პატარა ნაკვეთები. ჩემირებით დალინდაგებულ
რიგებში ხარბად წამოზრდილა ნორჩი ბუჩქები. მათს ჯანსაღ მუქ ფო-
თოლს ნათლად ეტყობა, რომ ნიადაგს შესანიშნავად შეგვებიან.

— ხელვაჩაურის კოლმეურნეობაზე აღრე კარგს ვერაფერს გაიგო-
ნებდით, — მითხრა რაიკომის მდივანმა, — ჩამორჩებოლნენ მიწამოქ-
მედებასა და მეცხოველობაში. თავმჯდომარები იცვლებოლნენ, საქმე
წინ არ მიდიოდა. დაბალი იყო გამომუშავება და ანაზღაურება. ბევრს
წინ არ მიდიოდა. დაბალი იყო გამომუშავება და ანაზღაურება. ბევრს
თვალი გარესაქმეზე და შორეული ბაზრისაკენ ეჭირა. ახლა ხელვაჩაუ-
რის რაიონის მშრომელებზე საყვედლურს ვერ იტყვით, ისეთი მთა დაიმორ-
ჩილეს, საღაც წინათ სანალიროდ ასვლა უძნელდებოდათ.

ყველგანმავალი ხენეშით აჰყვა აღმართს, გზის გასაყვანად ბევრგან
კლდისათვის შეუნგრევიათ მეტოდი, ბევრგან ფერდობი ჩამოუკვეთიათ.

რაც უფრო მაღლა მივიწევთ, თვალსაწიერზე ქვეყანა უფრო ფარ-
თოვდება და ფრთებსა შლის.

— ამ მკეთრ დაქანებაზე საუკუნოვანი ცხემლები როგორ ამოძირ-
კვეს! — გამიკვირდა.

— ეს ტრაქტორისტ დოლიძის მოხერხების შედეგია, — გვითხრა
თავმჯდომარემ, — ფოლადის ტროსებით ტრაქტორს ტრაქტორზე აბა-
დნენ და ისეთი მოხერხებით თხრიდნენ ძირიანად, რომ ერთ შეხედვად
ღირდა.

თხემზე ავედით. ა. ვერძაძის, ე. ესებიძის, ი. შაქარაძის ბრიგადების
მშრომელები ნაკვეთებში ტრიალებდნენ და ახალ გაშენებულ პლანტა-
ციებს სარეველებისაგან ასუფთავებდნენ.

მოსულცი კოლმეურნე მოგვიახლოვდა და ბუბუნა ხმით გვითხრა:
— კოლექტივიზაციის პირველი წლების შემდეგ ასეთი ძალით მიწა-

არ შევბმივართ. გავიტანწეთ. მაგრამ აი შედეგიც. ხელისგულივით სწორ თხემსა და გაფულტურებულ ფერდობებს გადაავლო თვალი.

ართაზონის მთის თხემიდან დიდებული სურათი იშლებოდა, აბიბი-ნებული, ამწვანებული, წალკოტად ქცეული ერგეს, მახოს, თხილნარის, ჭარნალის, კახაბრის ველის, ახალშენის სუბტროპიკული ბაღები და პლა-ნტაციები. მთაში, ეტყობა, ავდარია. აზავთებულ, ამღვრეულ ჭოროსს ზღვისთვისაც შეუცვლია ფერი.

თვალი ზღვას გავაყოლე, შემდეგ ჩრდილოეთს. შორს, თვალსაწიერ-ზე მოჩანდა მზით ოქტოსტრად აელვარებული, თოვლიანი კავკასიონი.

ვიდექით და თვალს ვერ ვაშორებდით ჯადოსნური ფუნქით მოხა-ტულ სივრცეს.

პეტრენ პეტრენი და მნიშვნელობა

ამ თი წლის წინათ შეიქმნა საქართველოს საზღვაო სანაოსნო. სულ მოკლე დროში ჩვენი რესტუბლიკა იქცა საზღვაოსნო სახელმწიფოდ. ახლა ბევრი გემი, რომელსაც აქვს საპორტო მიშერა — ბათუმი, სერავს მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანებს.

გამრავლდა და გაიზარდა ქართველ მეზღვაურთა ოჯახი. მეზღვაურთა ცხოვრება ხომ თავძათავად ნიშნავს უძილო ღამეებს, შეუცვალ ბრძოლას მძეონვარე სტიქიასთან, დიდ რისკსა და დაძულ დღეებს. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ქართულ მწერლობას თითქმის უყურადღებოდ დარჩა ჩვენი მეზღვაურების ხილათთა და რომელიც საკისე ცხოვრება. დროა ვიზრუნოთ ამ ხარეზის გამოსასწორებლად.

ამ მიზანს ისახავდა უურნალ „პორონების“ ჩედაქცია, როცა გადაწყვიტა მოეწყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშავებისა და ქართველი მწერლების შეხვედრა.

მაში ასე, ვიწყებთ გულახდილ საუბარს.

კ. ნაკაშიძე (საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივანი): სიმართლე გითხოთ, ჩვენ კარგა ხანია ველოდით თქვენს მოსვლას. გარშემუნებთ, რომ ყველაზერთ, რაც გააკეთეს ქართველის მეზღვაურებმა, და კიდევ რაის გაკეთებასაც პირებენ მეთე ხუთწლედში, უკველად იმსა ხურებს თქვენს უურადღებას. შეიძლება დავიმოწმოთ თუნდაც ანდრო ლომიძის, ფრიდონ ხალვაშისა და როდამ ჩახანიძის წიგნები, რომლებიც ჩვენი მეზღვაურების ცხოვრებას ასახავს. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ფრიდონ ხალვაში და როდამ ჩახანიძე, უფრო ძალუმიდ რომ ეკრძნოთ ზღვის სუნთქვა, თავად გახდნენ მეზღვაურები და კარგახანს მუშაობდნენ ხომილდებზე ჩვენი მატრისების მხარდამხარ. ამან შათ საშუალება მისცა ზღვის თემა თავიანთი შემოქმედების ერთერთ მთავარ ხაზად ეჭციათ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მწერლები მეზღვაურებთან ვალში არიან. სწორედ ამიტომ გულითა-

დად გავიზიარეთ უურნალ „ჭოროხის“ რედაქტორის თაოსნობა — შევხვედროდით მწერლებს, გაგვემართა გულლია, საქმიანი საუბარი. ვიმედოვნებთ, დღევანდვლი შეხვედრა სარეპლობას შორტას როგორც საზღვაო სანაოსნოს, ასევე ქართველ მწერლებს.

ახლა კი მინდა სიტყვა მივცე უურნალ „ჭოროხის“ რედაქტორს აკავი შონის.

პ. შონი: საქმაოდ გაფრცელებულია ის აზრი, რომ ქართველები მეზღვაურნი არასრულო არ ყოფილან და ხშელეთს არ გაშორებანო, ქვეყნებს შორის საზღვაოსნო ურთიერთობაში მონაწილეობას არ ღებულობდნენო. იმიწმებენ მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას: მეზღვაურთა ცხოვრება მას არ აუსახავს და თვით რუსთაველიც ზღვისადმი გულგრილობას იჩენდათ.

ლ. ხელვაზი (საქართველოს მწერალთა კაშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი): რუსთაველზე ამის თქმა ძნელია, ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი ჯერციალურ შეწყველას და გამოკვლევას მოითხოვს.

პ. შონი: პირველი, ვინც ამის თაობაზე ეჭვი გამოთქვა, და ისიც ძალიან ფრთხილად, იყო გალაკტიონ ტაბიძე, რომლის მდივანი პოეტურ მემკვიდრეობაში ზღვის თემას საპატიო აღგილი უჭირავს. დიდი მგოლანი ამბობდა, „ვეფხისტყაოსნის“ თი-

თქმის მესამედი ზღვის ასპარეზზეა გაშლილი და ზღვის მოსამართვა ზეა აგებულიო. წიგნში „ოქტოავარის ლავგარდში“ პოეტმა თავის ლექსებს ეპიგრაფებად წაუმდლვარა რუსთაველის ტაქტები და სტრიფები, რომლებშიც პოემის პერსონაჟთა მოქმედების ასპარეზად ზღვაა განუენილი. ზოგი მათგანი წარმოლგენას გვაძლევს თამარის ეპოქის სანაოსნო ტექნიკაზე, სანაოსნო მეურნეობაზე: „ნავი იყო, გარს ეფარა სამოსელი მრავალეცი“; „საღაცა საღურნი ნავთა სჩენიდეს“ და სხვ.

გალაკტიონისათვის ზღვა იყო უსაზღვრო არენა, რომელზეც ქართველ მწერლებს სასპარეზოდ უხმობდა, ყოველივე ახალს, ყოვლის მძლესა და დიადს ზღვას უკავშირებდა. ახლა, როცა დიდი ოქტომბრის სამოცი წლისთავისათვის ვებზაჟებით, უადგილო არ იქნება გავიხსნოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძემ რევოლუციური პეტროგრადიდან საქართველოში ზღვით ჩამოიტანა „სიმღერა ქვეყნის გადაჩენისა“; „გემი „დალანდი“ ქართულ პოეზიაში ედარებოდა იმ ხომალდს, რომლის ეკაპაქება ახალი კონტინენტი აღმოაჩინა.

პ. გარეზანიძე (პოეტი, უურნალ „ჭოროხის“ პასუხისმგებელი მდივანი): „გემი „დალანდი“ მართლაც აღმოჩენა იყო, ქართულ პოეზიაში მან შემოიტანა ლენინი და ოქტომბერი.

პ. შონი: ქართველ მწერალთაგან ბევრმა მიღიღ დიდი პო-

ეტის გამოწვევა, ზღვის თემაზე დაიწერა ლექსები, მთელი ციკლები, მოთხოვნები, ნარცვევები შეზღვაურთა ცხოვრებაზე, მათ ვაჟაპომაზე. მაგრამ ეს მეტწილად იყო ნაპირიდან დანახული და არა უშუალოდ განცდილი, როგორც იტყვიან, ზედაპირული, უვნებო.

დღეს აქ გვესწრებიან მწერლები, რომლებიც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდებზე მუშაობდნენ. ამას ხაზგასმით ვამბობ იმიტომ, რომ ამ სანაოსნოს არსებობას, მის გასვლას მსოფლიოს მერიდიანებზე დიდი სახელმწიფო ბრიტი მნიშვნელობა აქვს მთელი რესპუბლიკისთვის, კერძოდ, ქართული მარინისტული ხელოვნების განვითარებისთვის.

უჭრნალ „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგიას დიდი სურვილი აქვს სანაოსნოსთან ერთად გამოაცხადოს კონკურსი საუკეთესო შეატვრულ ნაწარმოებზე, რომელშიც აისახება ჩვენი სახელოვანი მეზღვაურების გმირული შრომა, მათი პატრიოტული და ინტერნაციონალური სულიკვეთება.

ქებას იმსახურებს სანაოსნოს გაზრით „მორიაკ გრუზიი“, მაგრამ ყველა ქართველ მკითხველს არა აქვს შესაძლებლობა ამ გაზეთის მეშვეობით გაეცნოს ჩვენი მეზღვაურების ცხოვრებას. სასურველი იქნება, ერთი გვერდი და ეთმოს ქართულ ენაზე დაწერილ მსახურებს. ეს ერთი გვერდი

დიდაღი მკითხველს მიიჩიდავთ. მის გაყეთებაში აქტიურ მონაცემები ლეონას მიღებენ ქართველი მწერლები. ისიც ანგარიშგასწერვაა, რომ ამ გზით ხელს შევუწყობთ ქართული ენის საზღვაოსნო ლექსიკის გამდიდრებას. ამის მოთხოვნა შეიძლება მით უმეტეს ახლა, როცა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში ეგზომ დიდებულად არის ნათქვამი ყოველი ხალხის მშობლიური ენის შემდგომი განვითარების პირობების შესახებ.

უფრო გულდანდობით უნდა ვეძებოთ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მრავალრიცხოვანი კოლექტივასა და ქართველი მწერლების დახლოების გზები და საშუალებები. დღევანდველი შეხვედრა ამ მიზანს ემსახურება.

3. შანტურია (გათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსი); აქ უწორად აღინიშნა, რომ ძალაბან ცოტა იწერება მეზღვაურთა ცხოვრებაზე. მწერლები ნაკლებად იცნობენ ზღვას. უნდა დავეხმაროთ მათ, კარგად გაიცნონ მეზღვაურთა ცხოვრება, კარგი იქნება თუ შორეულ რეისებშიც გაუშვებთ.

მე ახლახან დავბრუნდი შორეული რეისიდან. მოვიარე რამდენიმე გემი, ვეძებდი გამომცემლობა „საბჭოთა აკადემიას“ მიერ საზღვაოსნო თემებზე დაბეჭდილ წიგნებს. სამარცხვინო ამბავი გვშეირს — ეს წიგნები გემებზე არ მოიპოვება. ვისაც ამის მოგვარება ევალება, უფრო მეტი პა-

სუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს მინდობილ საქმეს.

უნდა გავახსენო ერთი ძევლი ამბავი, იმდოროინდელი, როცა საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტი ვიყავი და არა უფროსი. შაშინ ჩენთან მუშაობდა ლიტერატურული წრე, რომელსაც მწერლები ხელმისაწვდობდნენ. იმინი ხშირად მოდიოდნენ ჩევრთან, უსმერდნენ კურსანტებს, ესაუბრებოდნენ. სასწავლებელში ხელნაწერი ლიტერატურული უურნალი გამოიიდა და იქ კურსანტები საუთარ ლექსებსა და წოთხობებს ვაქევენებდით. ეს ტრადიცია რატომღაც შემდეგ დავივრწყეთ. ამასწინათ სასწავლებლის კურსანტებმა — ახალგაზრდა ლიტერატორებმა კვლავ წამოაყენეთ ხელნაწერი უურნალის გამოშეების იდეა და ჩვენც მხარი დავუჭირეთ. შეიძლება იმაზეც გაფიქროთ, რომ საზღვაო სანაოსნოში შეიქმნას ლიტერატურული წრე და მას სათავეში ჩაფიქრენ ჩვენი წერტლები.

როგორც ვიცი, შარშან საქართველოს მწერალთა კაშირთან შეიქმნა მარანისტ მწერალთა სექცია. გაედა დრო, სექციის მუშაობის შესახებ კი ორაფერი ისბის. აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ შარშან, როცა ჩვენთან იმყოფებოდა ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი, ბევრ რამეს დაგვპირდენ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ისმის. სომ არ იქნება საჭირო, შევახსენოთ ეს დაპირებანი, ანდა ჩვენი თაოსნობით

მოწყოს შეხვედრა უფრო დიდი მასტრატით საქართველოს მწერლებთან, თბილისში.

შ. რუსებილი (გემ „ვასილ ერგვიძის“ კაბიტანი): პირველად ვესტერბი ასეთ გულთბილ შეხვედრას. ვგრძიობ, შესანიშნავ საქმეს ეყრება საფუძველი. მეზღვაურის ცხოვრება ძალზე რთულია და სიძნელეებით სავსე. კარგად რომ ჩაშვებე მეზღვაურის სულს, საჭიროა დიდხასს იცხოვრო გემზე. ზოგჯერ ხდება აյ — გადამზღვეული უურნალის ან გაზიდოს, ანდა კაცევ ახალ გამოშეებულ წიგნს მეზღვაურთა ცხოვრებაზე, დიდი სასამოვნებით შეუდგები კათხვეს; გვინია, მოილებ იმას, რაც კარგმა მოთხოვობაში უნდა მოგცეს, აწყდები კი სულ სხეა რამეს: მეზღვაურის ცხოვრება გაშარებულია, დაყვანილია მსეთ უგნურ წვრილმანებამდე, რომლებიც, რასაკვირველია ხდება, ხდება არა მარტო მეზღვაურთა ყოფაში, არამედ ყველგან, საღაც კი ადამიანი დააბიჯებს. მაგრამ სამწუხაროდ მწერლის თვალს ზღვაში მოხვდა ეს და გააზვიადა. ვფიქრობ. ამის მიზეზი მხოლოდ ერთია — ავტორი არ იცნობს მეზღვაურის სულიერ სამყაროს და ხელი მხოლოდ რაღაც „მიშეერსა“ და ნაცნობს შეახო. ამ გზით სიარული არ ვარგა. ჩვენ ნამდვილი კეშმარიტი ჩაწარმოებები გვჰქირდება.

ჯ. გათბაძე (საქართველოს მწერალთა კაშირის აჭარის) განყოფილების პარტიული ლრგანი-

ზარის მდინარი): ახალი კონსტიტუციის პროექტითა ახალი ელფერი, ძალა და ხალისი შემატა თითოეული ადამიანის შრომას. ლეონიდ ილიას ხე ბრეჭნევმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შასის პლენურმზე აღნიშნა, რომ საჭიროა თითოეული საბჭოთა ადამიანმა ნათლად შეიგნოს — საბოლოო ანგარიშით მისი უფლების მთავრი გარანტია სამშობლოს ძლიერება და აყვავება. ამისათვის თითოეული მოქალაქე პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს საზოგადოების წინაშე, კეთილსიზუბისერიად იხდიდეს თავის გალს სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე.

ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სანაოსნოს მუშავებს, რომელთა შრომა, ღირსება იზომება და ფასლება არა მარტო ჩვენში, არამედ ცხრა ზღვას იქითაც, უცხო ცის ქვეშ, უცხო ნაპარებშე, ჩვენთვის უცხო სამყაროში. ყოველიც ეს კარგად აქვთ შეგნებული ჩვენს სახელოვან მეზღვაურებს.

ათობით ტანკერი გადის ბათუმის პორტიდან უცხოეთვი, სხვადასხვა მიმართულებით. შორეულ ოერენებსა და ზღვებში ჩვენი გემები დიდი ქვეყნის პატარა ნაწილს წარმოადგენენ, ეს საამაყოცა და საპასუხისმგებლოც. ჩვენს ბიჭებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ პოეტის სიტყვები: „სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა“. სამწუხაროდ, იშვიათად, მაგრამ აქა-იქ მარც გაი-

გონებთ ჩვენს მეზღვაურებზე/ საყველურს. ზოგი მათგანი უცხოეთვის ლთვის და ყველგან არ დგმა საპრეზიდა მოქალაქების დაღ მორალურ სიმაღლეზე.

ურახალ „ჭორახის“ რედაქტირისა და საარასნოს პარტიული ხელშეღწევენელობის თაოსნობით მეზღვაურებისა და შეზღრულების შეხვედრა უთუოდ სასამაგრებლოდა კარგ წყოფის გამოიღებს. დღეს ჩვენ ერთმანეთს გლობალიზაციად უნდა ვუთხრათ, რა გვაწუხებს, რა გვიხარია, რით გვდებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

უნდა თქვება, რომ ქართველ ზღვაოსნებზე ჯერ კიდევ არ შექმნილა მაღალმხატვრული ტილოები. ქართველი მშერალები კანტრაკუნტად აქვეყნებენ ნარკვეებს, ლექსებსა და მოთხრობებს. ზოგი მათგანი დაიწერა უშუალოდ ზღვაზე შრომის პროცესი, რაც მასასალმებელია.

განსაკუთრებული წინშენელობა ენიჭება ძალი მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც წინაპლანზე იქნება წამოწეული ჩვენი საზღვაოსნოს ახალგაზრდობის აღმრიდის საკითხები, მათ შრომა და მიზანმიწათვა. ასეთი წიგნები ახალგაზრდობის დიდ სიყვარულს დაიმსახურებდა, ჭირსა და ლხინში გამოლებოდა.

ამ უკვე ითქვა და მე კიდევ მინდა შევეხო შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხს. ამის თაობაზე სკუპ ცე-

ნტრალური კომიტეტის ამასწინ-
ნადღელდა, დაგვეხილებამ დადი
პროცესურები დაყენა ჩვენს წი-
ნაშე. უპირველეს ყოვლისა ნიჭი
უნდა მიღეთ გზა ფართო. როცა
გლობარიუმით ტეზლვაურთა ცხო-
ვრების მრატვრული ასახვის შე-
სახებ, უნდა გვასხოვდეს, რომ
თვით მეზღვაურთა შრომა არიან
ნიჭირი შემოქმედი ახალგაზრ-
დები. საჭიროა მათთან დავამყა-
როთ კონტაქტი, დავეხმაროთ,
მივცეთ შემოქმედებით სტიმუ-
ლი, გავაცნოთ ფართო მკით-
ხველს მათ ნაშარმოებები.

პ. ჩხეიძე (დრამატურგი, აქა-
რის თეატრალური საზოგადოე-
ბის თავმჯდომარე): ჩვენ გვპირ-
დება მეზღვაურთა გმირული
შრომის ამსახველი მოსჩრობები
და რომანები, ლექსები და პოე-
მები. უნდა შევქმნათ მძაფრი სი-
უცვებები, ცხოვრებისეულ კონფ-
ლიქტებზე აგებული. სერიოზუ-
ლი კონფლიქტების გარეშე ნაწა-
რმოები ვერ აქცენტი სათანადო
ეფექტის.

მე ვიცი, თუ რა საინტერესო
შრომის ეწვევაზე მეზღვაურები
გამოლილ ზღვებსა და ოცენებში.
სისტემიატურად იზრდება და ძლი-
ერდება სანაოსნოს ფლოტი.

პ. ვორბენბემი (საზღვაო სანა-
ოსნოს მთავარი ინჟინერი): ჩვე-
ნი, საბჭოთა კავშირის ფლოტი
ახლა ერთ-ერთი უძლიერესია
მსოფლიოში. ის თამაშად უწევს
კონკურენციას ძლიერ საზღვაო
სახელმწიფოთა ფლოტებს.

პ. ჩხეიძე: დიახ, სრული ჭეშ-

მარიტებაა. ფლოტის სიმძლავეზე
თავისთვალი მეზღვაურთა სიმძლავეზე
ვლესაც ნიშნავს. ჩვენ მორალუ-
რი უფლება არა გვაქვს უკურა-
ლებობად დავტოვოთ მეზღვაურ-
თა ეს მრავალრიცხვანი კოლექ-
ტივი, უნდა ჩავიხედოთ ჩვენს
სინდისში და უფრო მეტი ხალ-
სითა და ენერგიით მოვიდოთ ხე-
ლი საზღვაო თემებს. ეს ყველა
ქართველი მწერლის ვალია.

პ. ვორბენბემი: ქართველ
კაცი ზღვის სიყვარული ტელთა-
გან მოსდგამდა. ალბათ ამან გა-
ნაპირობა ის, რომ ბევრი შესანი-
შნავი ქართველი კაპიტანი და-
ცურავს საბჭოთა კავშირის სხვა-
სახვა სანაოსნოში. ეს კადრი
რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ძალიან
გავიჰქინდებოდა სანაოსნოს გან-
სხა ბათუმში. სანაოსნოს გახსნა
ეს დღი მოვლენაა. ჩვენს წინაშე
კვლავ და კვლავ დგას მრავალი
პრობლემა, რომლებსაც ახლა თა-
ნდათანობით ვწყვიტოთ. ყველა-
ფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ
თავი არ შევარცხებოთ და ყოვე-
ლთვის მოწინავეთა შორის ვიდ-
გეთ. სიამაყით შემიძლია გთხო-
რათ, რომ გვემას უადაგარბებით
ვასრულებთ და საერთოდ შრო-
მაში კარგი მაჩვენებლები გვაქვს.
ასე რომ, ღიას ქართველმა მწერ-
ლებმა ყურადღება მოგვაწონ.
მე კარგად ვიცნობ ქართულ ლი-
ტერატურას, სისტემატურად ვი-
თულობ ახალ გამოსულ წიგნებს
და გული მწყდება, რომ მეზ-
ღვაურებზე ძალიან ცოტა იწერე-

პ. გამომცემლობებიც ნაკლებ ყურადღებას გვაქვევენ.

პ. ჩხაიძე: მართალი ბრძანდებით, ცოტა იძეშვება შეზღვაურებზე. ამ მხრივ გამომცემლობაც ვერ დატრანსფორმირდება.

პ. ახვლევლიანი (გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორი): ჩვენი გამომცემლობა გვერდზე არ დგას საზღვაო თემებიდან. გამოვეცით ფრიდონ ხალგაშის ლექსებს კრებული ზღვის ოქმაზე, ვოლტერ ჭანტურიას „პოსეიდონი“, გამოვიდა აგრეთვი ა. ჩხაიძის მოთხოვობები საზღვაო თემაზე, საზღვაო სანაოსნოს აარტიული კონტენტის მდივნის ჯემალ ნაკაშიძის წიგნი სანაოსნოს ათი წლის თავთან დაკავშირებით. დაბეჭდა როდამ ჩაჩანიძის რომანის „ლურჯი წიგნი“ პირველი ნაშალი. მალე შეორენ ნაწილსაც გამოვცემთ. ვფიქრობთ, მოკლე დროში ამდენი წიგნი არც ისე ცოტაა...

პ. ჯორგენაშვილი: დიახ, ვეთანხმებით, არც ისე ცოტაა, მაგრამ თქვენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა გამომცემლობებმაც რომ აგიბან მხარი, საქმე ნამდვილად უკეთ წავა.

მივესალმებით მწერლების მოსკლას ჩვენთან. იწყება საინტერესო და ლამაზი შრომის პირველი ეტაპი. ვფიქრობთ, საქმე წინ წავა.

ცრ. ხალვაშვილი: ჭართული მწერლობა ვერ ამჟღავნებს მძაფრისტერებს ზღვის თემისადმი. ეს

კარგა ხანია ასეა. ამასთან ერთად, ის მცირედი, რაც გაკეთდა, ქსელი თურიდ საყურადღებოა და გამომცემის მომცემი. ეტყობა ნელ-ნელა ეს თემა თავის საპატიო ადგილს დაიშვერს ჩვენს შემოქმედებაში.

ყოველ მწერლეს თავისი უარი და თემატიკა აქვს. იგი ამას შეეჩინა, ამაზე იფიქრა, განეწყო, მოემზადა და, შესაძლოა, მთელი თავისი ლიტერატურული ცხოვრება აა, ამ უკვე არჩეულს, მიუძღვნას. ამიტომ ჩვენ მარინისტული მიმართულების ტალანტები ახალგაზრდა ლიტერატორთა შორის უნდა გეძებოთ, თვით მეზღაურთა შორის. აერთოთ მშვენიერი საზღვაოსნო სასწავლებელი გვაქვს, აქ ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდობა სწავლობს. მოდი, გავიცნოთ ისინი კარგად, არ შეიძლება მათ შორის არ იყვნენ ლიტერატურით, მწერლური საქმით გატაცებულნი, მოვყიდოთ ასეთებს ხელი, დავიახლოვოთ. წავხალისოთ. მათი შომავალი ცხოვრება და შემომაზრებელთან ურთიერთობაა. თუ ამ ახალგაზრდებს შორის მოინახება შემოქმედებითი ნიჭით დაჭილდობული, იგი უძირველეს თემად ზღვას გაიხდის.

ეს რომ გაკეთდეს და, აგრეთვე, თვით მეზღვაურთა შორის მყოფი დამწყები ლიტერატორები წახალისდნენ, კარგი იქნება გაზიერმა „მორიას გრუზიამ“ ქვარტალში ერთჯერ ან წელიწადში ოჯერ მაინც, გამოუშვას დამატება — „ლატერატურული ფუ-

რცელი“ ქართულ ენაზე. აქ ამ ია-ლგაწრდების, აგრეთვე ჩვენი ცნობილი მწერლების საზღვაო თეატრ შექმნილი მცირე მოცულობის ნაწარმოებები გამოქვეყნდებოდა.

ამას სერიოზული მიხედვა და საკათეს მაღალაგორიტეტული გადატყვეტა დასჭირდება.

პროფესიონალ მწერალთა დაინტერესება ზღვით, მათი შემოქმედებით შევლინებაში გაგზავნა, რაღაც თქმა უძინა, საჭირო იქნება. ამ რიჩივ მისამალმებელია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ინციდუატივა, როცა იგი იწვევს რამდენიმე მწერალს, დრო და დრო გაყვნენ ეკიპაჟებს ზღვაში და იმშვაონ მათთან დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში.

ამასთან ერთად, მე მიგონია, ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთვის გამოც, საქართველოს მწერალთა კავშირიმა უნდა მიიწვიოს რამდენიმე გამოჩენილი ქართველი კაპიტანი და თვით სანაოსნოს მესვეურები, რათა თბილიში მოეწყოს საქმიანი საუბარი ასეთ თემაზე — „მწერალი და ზღვაოსანი“.

ქართველ მეზღვაურებთან სიახლოვე და მათი მღელვარე, მკაცრი ცხოვრებისა და შრომის ასახვა ჩვენი მწერლობის წმინდა ვალია.

რ. ჩაჩანიძე: სულ მალე ჩვენ აღვნიშნავთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთვის. საქართველოში დიდი ოქტომბრის მონაპოვნად მე საოცეანო თემზე

შერის სამშართველოსა და საზღვაო სანაოსნოს გახსნაც მიმართდა საქართველო კულავ დაპროცედა-საზღვაო სახელმწიფოთა რეგში. ამ ორმა სანაოსნომ დიდი საქმე გააკეთა. ამას რომ ვაშტობ, მხედველობაში მარტო ეკონომიური მხარე როდი მაქეს, ვგულისხმობ სხვა სიკეთესაც. მაგალითად, საზღვარგარეთ ქართული კულტურის გატანის პროცესის გაძლიერებას, ახალ კონტაქტებს და სხვა მრავალს, რჩაც ფლოტი აკეთებს.

ჩვენი დიდებული მწერლობა, შეიძლება ითქვას, კვლავ სუსტად ეხმაურება ამ ახალ საქმეს. მე ვეთანხმები ვოლტერ ჭანტურიას, რომელმაც აღნიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის მარინისტთა სექცია არ აქტიურობსო.

კარგი იქნება თუ საზღვაო სანაოსნოსთან ერთად გამოცხადდება კონკურსი საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებზე. ეს კონკურსი დად საქმეს გააკეთებს. ეჭვი არ მეპარება, მასში აქტიურად ჩაებმებიან მწერლებთ და კარგი საქმეც გაკეთდება.

მხარს ვუჭირ გ. ქათამაძის აზრს, რომ დაღგა დრო ბათუმში უმაღლესი საზღვაოსნო სამწავლებლის გახსნისა. მე რამდენიმე წელი გვატარე მეზღვაურებთან. ასე თუ მე შევისწავლე მათი ცხოვრება და ტეივილები. ვხედავ თუ რა პრობლემები დგას ფლოტის წინაშე. ვფიქრობ, კაზრების პრობლემა ერთ-ერთი რთული და უახლოეს დროში გადასაჭრელია.

თუ ბათუმში უმაღლესი საზღვო-
სწო სასწავლებელი გაიხსნება, ეს
დაბუღაზ შეუწყობს ხელს კადრე-
ბის აღმართას როგორც საზღვო
სანოარის, ისე სათკეარო თევზ-
ჭრის სამმართველოსთვის.

ექ ითქვა, რომ მწერლებს მიე-
ცეთ სამუალება ინაოსნონ მეზ-
ღვაურებთან ერთად, რათა ახლოს
გაეცნონ მათ შეიმასა და ცხოვ-
რებას. ეს აუცილებელი და საჭი-
რო საჭირო.

მეზღვაურის ცხოვრება ძალიე
რთულია. ეს შორიდან ჩანს მარ-
ტივი. შორიდან მხოლოდ რომან-
ტიკული სამყარო ჩანს და მეტი
არაფრი. გემზე ზიფათისა და
ფათურაკის გარდა არის მოწყები-
ლი და ნაღვლიანი დღეები, ნობ-
რალები. ყოველივე ამას უძლებს
და ეპიდეზის მეზღვაური. ექედან
იწყება მისი გაეკაცური საუკი-
ნამი მოყალიბება. წერალმა სწორ-
ედ ეს სულიერი სამყარო უნდა
გახსნას და შეანათოს მეზღვაუ-
რის სამყაროში.

ამიტომაცაა საჭირო ახლოს
კვადრცნოთ მეზღვაურთა ცხოვრე-
ბა და შემდეგ შევბედოთ კალა-
მი.

**ბ. ორაგველიძე (ტანკერ „კი-
კვიძეს“ კაპიტანის პირველი თანა-
შემწე):** თუ კონკურსი გამოცხად-
დება საინტერესო მხატვრულ ნა-
წარმოებზე, ამით კარგი საქმე
გაფეთდება. ვფიქრობ, საჭიროა
კონკურსი გამოცხადდეს ცალკე
უნარების მიხედვით — პოემა,
ლექსი, მოთხრობა, ნოველა. ეს
უფრო მეტ ნაწარმოებებსაც მოგ-

ვცემს და კონკურსიც გაცილებით
სინტერესო იქნება.

მომწოდნს იდეა, რომ მეზღვაუ-
რებთან ერთად რეასში მწერლე-
ბიც გავუშვათ. ეს არმხრივ სა-
სარგებლობა. ჯერ ერთი, მწერალი
შექმნის ახალ ნაწარმოებებს
ზღვის თემაზე და, შეორე, იგი გა-
მოცაცხლებს ლიტერატურულ
ცხოვრებას გემზე. მოგვესენებათ,
ხანგრძლივი რეასები ღლის მეზ-
ღვაურებს, თუ მათ გვერდით
მწერალი იქნება, ეს ღიღდად შეამ-
სუბუქებს მათ შრომას.

შეიძლო ჩვენ გიმოგზაურეთ პჭ-
არის რაიონებში, პროპაგანდა გა-
უწიოთ საზღვო საქმეს. ახლა
ეხებავთ, რომ ჩვენს შრომის მის-
ოდ არ ჩაფლობა, საზღვაო სასწა-
ვლებელს ახალი დიდი კონტინ-
ენტი მოზიდა. საჭიროა ვიზრუ-
ნოვა უმაღლესი საზღვაოსნო სას-
წავლებლის გახსნაზეც.

მინდა კიდევ ერთი რამ აღნი-
შონ. ჩემი დაკარიცვებათ ვალე-
ულ მეზღვაურებზე წერა კარგია,
მაგრამ მეზღვაურთა შრომა უპი-
რესეს ყოვლისა კოლექტიურია,
ამდენად მეტი უნდა დაიწეროს
მათ კოლექტიურ შრომაშვე, კო-
ლექტიურ სულისკვეთებაზე.

**კ. ჩანთურია (სანაოსნოს კო-
მისამართის კომიტეტის მდივანი):**
გემების ეკიპაჟის დიდი ნაწილი
ახალგაზრდებია. მათ მეტი ყურა-
დლება და დახმარება სჭირდებათ.
ვფიქრობ, მწერლების თემად უნ-
და იქცეს ახალგაზრდა მეზღვაუ-
რი, მისი ხასიათის ჩამოყალიბება,
დიდი ცხოვრების გზაზე გამოსვ-

ლა, სხვათა მსგალითზე უნდა ვა-
სწავლოთ მორალური სიმტკიცე
და სწრმინდე. მათა ცხოვრება გა-
ეხადოთ უფრო სასტერესო და
მიმზიდველი. ამაში ჩვენ მურ-
ლების სიტყვასა და დახმარებას
ვიღით.

ასლა ვამზადებთ წიგნს ახალგვა-
ზრდა მეზღვაურთა თაოსნობაზე
და სიქმებზე. ეს ერთგვარად მა-
თი შრომის მატიანეც იქნება. მზა-
დება აურეოდე საქართველოს
საზღვაო სანაოსნოს მეზღვაურთა
სამკერდე ნიშანი.

საყვედლური უნდა ვთქვა იმ რა-
ონების მშრომელთა მისამარ-
თით, რომელთა სახელსაც ჰემები
ატარებენ. ძველი ტრადიციით
ასეთი რაიონები შეფობას უწე-
ვენ გემებს. მაგრამ ზოგიც დაივი-
წყა ეს კარგი საქმე და თითქმის
არაფერი აღარ კეთდება.

ვფიქრობ ჩვენი გულახრილი
საუბარი სარგებლობას მოგვი-
ტანს.

დ. პელიქ (საზღვაო სანაოს-
ნოს პარტიული კომიტეტის მდივ-
ნის მოაღილე): მეტად საქმიანი
და საინტერესო შეხვედრა გვაქვს.
კარგი იქნება თუ ასეთი შეხვედ-
რები ხშირად მოეწყობა და მკა-
ფიოდ გამოვკვეთავთ ჩვენს წინა-
დადებებს. ზოგჯერ ბათუმის პო-
რტში ერთდროულად თავს იყრის
რამდენიმე გემი. შეიძლება ასეთი
სახის შეხვედრები ამ გემების
შეიძებთან მოვაწყოთ. ეს გაა-
ღამაზებს როგორც თქვენს, ისე
ჩვენს საქმიანობას.

ვფიქრობ, მომწიფდა გამოიცეს

კრებულები: „ქართველი პოეტე-
ბი — ზღვას“ და „ქართველი
მურლები — ზღვას“. 

ქართველმა მწერლებმა უფრო
ნათლად უძლა დაინახონ მეზღვა-
ზრები, რათი მამაცური შრომა
და შემართება. ჩვენ თქვენგან
ველით ახალ-ახალ ზარამოებებს.
კარგი იქნება რამდენიმე ხნის შე-
მდეგ კლავ შევხვდეთ ერთმა-
ნეთს და შევაჯიოთ თუ რა გა-
კეთლა, რა ვერ გავაკეთეთ და რის
გაკეთებას ვაძირებთ.

პ. პელიქიანი: ურიგო არ
იქნება თუ გემების სახელწოდე-
ბის შერჩევაში მონაშილეობას
მიიღებენ ჩვენი მწერლები.

ლ. ჭველიძე: ეს არ არის ძნელი
საქმე.

პ. პელიქიანი: მითუმეტეს.

პ. ლაგებელიძე: ამასთან სა-
კიროა მეაცრად დავიცვათ წესი,
ერთი ტიპის გემებს ერთი სერიუ-
ლი სახელი ერქვას.

ბ. ჭილია (ტანკერ „სოსუმის“
კაპიტნის პირველი თანაშემწე):
მე დიდი ხანია ვცურავ და ვთანა-
მშრომლობ სხვადასხვა უურნალ-
გაზეთებში. ჩემი ლიტერატურუ-
ლი თემა ზღვა და მეზღვაურებია.
ამით ვარ გატაცებული და ამაზე
ვმუშაობ.

ასლახან გამოვიდა ჩემი წიგნი
მეზღვაურებზე, პირველი ნაწილი,
მეორე წიგნი გაისად გამოვა. გა-
რდა ამისა გამოვეცი ლექსების
კრებული.

სასიამოვნოა, რომ აქ მწერ-
ლებს შევცედი. მათ ამდენხანს
წიგნებით ვიცნობდი. ასლა პირა-



გვარ ფათერაქეს შორეული ცენტრული გულებრძე

დადაც გავიცანი, რაც ძლიერ მა-
ხარებს. ეჭვი არ მეპარება, ჩვენი
მწერლებისა და საზღვაო სანაოს-
ნოს მუშაქთა ასეთი ახლო კონ-
ტაქტი კარგ შედეგს გამოიღებს.

8. ვარშანიშვი: აქ ერთმა ჩემ-
მა კოლეგამ თქვა, მეზღვაუროთა
ცხოვრების ღრმად შესწავლა
მხოლოდ პროზაიკულებს სჭირდე-
ბათ. ამ აზრს კორექტივი უნდა.
მე ვფიქრობ, პროზაიკულიც და
პოეტიც კარგად უნდა იცნობდეს
მეზღვაურთა ყოფა-ცხოვრებას,
ზღვის რომანტიკულ სამყაროს.
მხოლოდ ასე შეიძლება დაიწე-
როს კარგი მოთხოვნა, მეზნებარე
ლექსი თუ ლირიკული პოემა.

მე ზღვა და მეზღვაურები მიყ-
ვარს. მყავს მეზღვაური მეგობრე-
ბი. ჩემი შვალიც მეზღვაურია.
და ბუნებრივია, დიდია ჩემი
ლტოლვა ზღვისადმი, მეზღვაურ-
თა რომანტიკული ყოფისადმი.
შევეცალე დამეშვერა ერთი წიგნი
ამ მოტივზე და კრდეც გამოვაქ-
ვეყნე ბევრი ლექსი და ლირიკუ-
ლი პოემა. ამათგან უფრო მიყ-
ვარს ლირიკულ-პეროიკული ნაწა-
როებები — „კაპიტანი“ და „ჩე-
მი ხომალდი“. დაწერილი მაქს
ლირიკულ - პეროიკული პოემა
„კაპიტანი-მხატვარი“, რომელ-
შიც მოთხოვნალია ერთი მეზღ-
ვაურის სიყვარული და გმირობა.
კვლავც შევქმნი ლექსებს, ლი-
რიკულ პოემებს ზღვის ცხოვრე-
ბიდან... და ვფიქრობ, პროზაუ-
ლი ქმნილებებითაც გამოვეხმაუ-
რო ზღვას და ზღვის აზამიანებს,
ასე გმირულად რომ იტანე ათას-

გვარ ფათერაქეს შორეული ცენტრული გულებრძე.
მაში, ამხანაგებო, გვეძახის-
ზღვა... და ჩვენ მწერლება და
პოეტება ამ ხმას მთელი გულით
უნდა მივყვეთ, კიდევ უფრო
ცხოველმყოფელი გავხადოთ ჩვე-
ნი კოსტაქტები.

8. ურანაოზვილი (საზღვაოს-
ნოს გერთიანებული პროფესი-
შირების თაერწილომარე): საზღვაო
სანაოსნომ გაიარა უმაშვილობის
წლები და ახლა უკვე ვაჟაცლე-
ბა. ჩვენს ზღვის თემაზე შექმნილ
წიგნებსაც თუ ასე შევხედავთ,
ისიც წლითიწლობით უფრო საი-
ნტერესო და მიმზიდველი უნდა
ხდებოდეს. სამწუხაროა, რომ სა-
ზღვაო თემაზე გამოცემული ბევ-
რი წიგნი ვერც აღწევს ყველა გე-
მის ბიბლიოთეკამდე. ამაზე უნდა
ვიზრუნოთ და არცერთმა წიგნმა
უბრალოდ ვერ უნდა ჩაგვიაროს
გვერდზე.

ამ. ა. შონიამ დააყენა საკით-
ხი საზღვაოსნო ლექსიკონის შექ-
მნის თაობაზე. ამ საქმეს ყველამ
ენერგიულად უნდა მოკიდოს ხე-
ლი, ყველა ღონე უნდა ვიზმაროთ,
რომ მდიდარი ქართული ენა ვი-
თარდებოდეს ზღვაოსნობის დარ-
გშიც.

აქ ლაპარაკი იყო საუკეთესო
მხატვრულ ნაწარმოებებზე. კონ-
კურსის გამოცხადების შესახებ.
ეს კარგი საქმეა და ჩვენ სამია-
სოდ ყველა საშუალება გვაქვს.
ძალიან კარგი იქნება თუ ამ კონ-
კურსის დღევანდელი ჩვენი შექ-
რების თაობის „ჭოროხის“ რე-

დაქციასთან ერთად მოვაწყობთ. ეს საშუალებას მოგვცემს კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოები გამოვაჩვენოთ.

პ. ნაჩაზია: ჩვენ დღეს ტურილად არ დაგვიყარებავს ის რამდენიმე საათი, რომელიც აქ გავატარეთ. ძალიან ბევრ პრობლემაზე ვილაპარაკეთ, რაც დაკავშირებულია ზღვაოსნობასთან და მწერლების იმ ჯგუფთან, რომლებიც ზღვის თემებზე ჭრენ. ბევრი საინტერესო აზრი გამოითქვა. მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია. ყველა იმ იდეას, რომლებიც აქ გამოითქვა და საზღვაო სანაოსნოს ეხება, მხარი დავუჭირო და მსვლელობა მივცე.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი ფლოტის შესახებ. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მესვეურებმა ფლოტის შენება რომ დაიწყეს, თითქმის არაფერი გავვაჩნდა. მათ ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდათ, ბევრი ოფლი დაიღვარა სანამ ქართული ფლოტი ფეხზე დადგებოდა.

დღეს ჩვენი საზღვაო სანაოსნო 47 გვეს ითვლის. ეს გემები დაცურავენ ევროპის, ამჟრიესა და აფრიკის ქვეყნებში. მიაქვთ და მოაქვთ სხვადასხვა კატეგორიის ტვირთი. ამჟამად ფლოტში 2208 ძაცი მუშაობს. ეს საკმაოდ დიდი რიცხვია და მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენი სანაოსნო სოლიდური ორგანიზაციაა მთელს რესპუბლიკაში.

მომავალში გათვალისწინებულია ჩვენი ფლოტის უფროობაზე რდა. მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს გემთა რაოდენობა 54-ს მიაღწევს. შესაბამისად გაიზრდება მეზღვაურთა კონტინენტიც.

დიდია ფინანსური შემოსავალი, რომელსაც საზღვაო სანაოსნო ჩვენს ქვეყანას აძლევს. შორს ნუ წავალთ, გადავხედოთ ქ. ბათუმს, რამდენი ახალი დღიდი შენობა ააგო ქალაქში სანაოსნომ, სასტუმრო მეზღვაურებისათვის, მთელი საცხოვრებელი კვარტალები და კიდევ ბევრი სხვა შენობა, რომლებმაც დაამშვენეს ჩვენი ქალაქი.

აქ იყო ლაპარაკი მეზღვაურთა გმირულ შრომაზე, მათ ფათერავიან, ხიფათით საესე გზებზე. მე ამას აღარ გავიმეორებ, მაგრამ იმას კი ვატყეო, რომ ახლა როცა ჩვენი ქართული მწერლობა ნამდვილად ჩაღვა რესპუბლიკის შენებისა და ცხოვრების ცენტრში, როცა მათ ნაწარმოებებში მსუყელ გამოჩნდა მუშათა კლასი და მხენელ-მთებსველი, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მეზღვაურებს. მე შესმის, მეზღვაურებზე რომ კარგი ნაწარმოები შექმნა, როგორც იტყვიან, ტონობით ზღვის წყალი უნდა შესვა, კარგად უნდა გაეცნო მათ ყოფას. ჩვენ მზად ვართ ამაში ხელი შევუწყოთ მწერლებს. მათთვის მწვანე ქუჩა ყველგანაა და არც ფლოტია გამნაკლისი.



რაც შეეხება კონკურსს საუკეთესო ლიტერატურულ წარმოებზე, ჩვენ თანახმა ვართ მივიღოთ ეს კარგი წინადაღება. ამის საშუალება გვაქვს. ეფიქტობ, ურნალ „ჭოროხის“ რედაქციასთან ერთად მოგვიწევს კონკურსის პირობების შემუშავება.

აქ კიდევ სხვა მრავალი საქმიანი წინადაღება შემოვიდა. ჩვენ შევისწავლით ყველა ამ წინადაღებას და უყურაღლებოდ არც-

ერთს არ დავტოვებთ. ვფიქტურობ, დღეიდან საფუძველი ჩაეყარა შერლებისა და მეზღვაურების დიდ მეგობრობას, რაც გარკვეულ ურთიერთვალდებულებებსაც განაპირობებს. ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი გულახლილი საუბარი ხშირად უნდა მოეწყოს. როგორც აქ ითქვა, თქვენც ეს აზრი გაქვთ, მაშ ხელს რა გვიშლის? არაფერი. მოდით ერთად ვაკეთოთ ეს დიდი საქმე.

ბ. შეგეღამვილი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

ქართული სალიტერატურო ენის ფორმათა უნიფიკაცია

ენის სიწმინდის დაცვა, ნაირ-
ხარ ფორმათა უნიფიკაცია, გამა-
რტივებისაკენ მისწრაფება მეტ-
ნაკლებად ყოველთვის შეიმჩნე-
ოდა ქართული სალიტერატურო
ენის ისტორიის ვრცელ გზაზე.
საქართველოს ისტორიდან ცნო-
ბილია ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვე-
ყანას სხვადასხვა დროს მრავალ
სახელმწიფოსთან ჰქონდა პოლი-
ტიკური, ეკონომიკური და კულ-
ტურული ურთიერთობა. ეს გა-
რემობა, ბუნებრივია, იწვევდა
ჩვენი ენის ორგანიზმში უცხოუ-
რი და ახალი სიტყვების შეჭ-
რას. ენაში სხვა ენის ლექსიკის
შემოტანისა და დამკვიდ-
რების მიზეზია ე. წ. ენათა კონ-
ტაქტი. სწორედ ენათა ურთი-
ერთშეხება იწვევს მათს ურთი-
ერთშერევას; „წმინდა, შეურევე-

ლი ენა საერთოდ არ არსებობს.
არ არსებობს დედამიწის ზურგზე
ერთი ენა, რომელსაც მეტ-ნაკ-
ლები ოდენობით სხვა ენის სიტ-
ყვები არ ჰქონდეს შეთვისებუ-
ლი... წმინდა ენა, ენა მხოლოდ
„თვისი“ მარაგით, სხვა ენის მა-
სალისაგან თავისუფალი, არ არ-
სებობს“ (პროფ. არნოლდ
ჩიქობავა, ზოგადი ენათმე-
ცნიერება, I, პროპედევტიკული
ნაწილი, II შევსებული გამოცე-
მა, თბ., 1939, გვ. 11). სალიტერა-
ტურო ენისათვის ისევე საზიანოა
გადაჭარბებული პურიზმი, რო-
გორც კარის გაღება და განუკი-
თხავად შემოტანა უცხოური ლე-
ქსიკური ერთეულებისა.

ცნობილია, რომ „მოცილე ფო-
რმები ახალ სალიტერატურო ქა-
რთულს იმთავითვე დაჰყვა. ამას-

მხრივოდ ერთ მაგალითს მოვიყენ
ვანთ:

„ზოგი ვაგონში სცემს დინჭად
ბოლობას,

ზოგი ილვიძებს ძალიან გვიან.
ვილაც ბრუნდება ბავშვობის თოვლითან
და დედისათვის დიდი მზე მოავეს“
(ლ. სულაბერიძე).

სამაგიეროდ მისი ხმარება ხში-
რია პროზაში, განსაკუთრებით
პუბლიცისტიკაში; მაგ., „მატარე-
ბელი უკვე მიპქროდა ჟემოთევნ.
ცოტა ხნის შემდეგ ვაგონში
შემოვიდა კონდუქტორი, რომე-
ლსაც ღამის ფარანი ხელში ეჭი-
რა“ (გ. წერეთელი).

სალიტერატურო ენაში ვა-
გონი დამკვიდრდა საქართვე-
ლოში რეანიგზის გაყვანასთან
დაკავშირებით. სწორედ ამ პე-
რიოდში შემოდის აგრეთვე სარ-
კინიგზო ტერმინები, როგორიცაა:
ორთქლმავალი, მატარებელი, რე-
ლისი, ვეირაბი, ვაზზალი, ლოკო-
მოტივი, სადგური, ლიანდაგი და
სხვ. ამათგან მხოლოდ ვაგონს
გამოუჩინდა მოცილე, მაგრამ არა
დამკვიდრებისთანავე, არამედ და-
დი ოქტომბრის სოციალისტური
რევოლუციის გამარჯვების შემ-
დეგ. ერთხანს ვაგონის ნაცვლად
შემოლებულ იქნა ხელოვნური სი-
ტუმა რონიდა.

ვაგონი წარმოშობით ინგ-
ლისური სიტყვაა, ქართულში და-
მკვიდრდა რუსული ენის მეშვე
ობით ჭერ კიდევ გასული საუკუ-
ნის მეორე ნახევარში. ეს სიტყვა
გეხვდება, მაგალითად, გ. წერეუ-
ლის „პირველ ნაბიჯში“, ებ. ნი-
ლის „პირველ ნაბიჯში“, ებ.

თან, უკანასკნელი სამი-ოთხი ით-
ეული წლის განმევლობაში ქარ-
თული სალიტერატურო ენის არა-
ჩეცულებრივად ინტენსიურ ა და
ზოგისა და მოსახლეობის უფარ-
თოვს ფრენებში მისი სულ უფრო
და უფრო გავრცელების შედე-
ვად მრავალი ახალი საცილობელი
ფორმა წარმოშვა“ (ი. ვ. გიგო-
ნე იშვილი, წინასიტყვაობა.
იხ. ვ. თოფური ია და ივ-
გიგინე იშვილი. ქართუ-
ლი ენის ორთოგრაფიული ლექ-
სიკონი, ვარლამ თოფურიას რე-
დაქციით, თბ., 1968, გვ. 006).

სწორედ ამის გამო საჭირო გახ-
და ამ საკითხის მოგვარება, მოწე-
რიგება, გადაჭრა.

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს ამასტრინანდელი დადგენი-
ლება თანამედროვე სალიტერა-
ტურო ენის უნიფიცირებული
ნორმების დანერგვის ღონისძიე-
ბათა შესახებ გვავალებს, კიდევ
უფრო მეტი ენერგიით და მონ-
ღომებით ვიბრძოლოთ დედაქნის
სიშმინდისათვოს; არ დაუშვათ
ენაში ფორმათა სიჭრელე.

მოცილე ფორმები დღესაც
გვხვდება თანამედროვე სალიტე-
რატურო ენაში; მაგ., რომელია
სწორი ვაგონი თუ რონიდა,
პროსპექტი თუ გამზირი, ელსმე-
ნი თუ ტელეფონი, შოთერი თუ
მძღოლი... სწორედ ამათ შესახებ
გესურს მსჯელობა წინამდებარე
წერილში.

ვაგონი თუ რონიდა?

ქართულ პოეზიაში სიტყვა ვა-
გონი იშვიათად გეხვდება. ჩევენ

ნოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდში“ და სხვ.

ერთხანობას, როცა სალიტერატურო ენის ნორმები ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ ჩამოყალიბებული, პურისტული ტენდენციების გამო ვაგონის ნაცვლად ენაში შემოვიდა რონოდა.

ვაგონისაგან არც ნაწარმოები ფორმები: ვაგონ - აბანო (ჩეინიგზის მატარებლის შემადგენლობაში სავანგებო ვაგონი, რომელშიც მოწყობილია აბანი); ვაგონ-ბაქანი (უსახურავო და დაბალკედლებიანი ვაგონი ტვირთის გადასაზიდად); ვაგონ-ეტი (ურანგული სიტყვაა, ქართულში დამკვიდრდა რუსული ენის მეშვეობით — პატარა, თავღლია ვაგონი ტვირთის მიმონაზიდად მაღაროებში, საწარმოებში...); ვაგონშენებელი, ვაგონ-რესტორანი (სამგზავრო მატარებლის შემაღლენლობაში სპეციალური ვაგონი, რომელშიც მოწყობილია რესტორანი მგზავრებისათვის); ვაგონ - საათი (დავონების მიხედვით გაანგარიშებული დროის საათობრივი მონაცემი); ვაგონ - საყინულებელი (სატვირთო მატარებლის შემადგენლობაში სპეციალური ვაგონი, რომელშიც მოწყობილია საყინულებისათვის) შესანახავად, რაც მალე ფუჭდება; ვაგონ - სახელოსნო (მატარებლის შემადგენლობაში სპეციალური ვაგონი, რომელშიც მოწყობილია სახელოსნო გზაში სახელდახელო რემონტისათვის);

ვაგონ - ცისტერნი (ვაგონ-ბაქანზე დადგმული ცისტერნისაგან ნავთის, ბენზინის, მაზუთის, წყლისა და მისთ. გადასაზიდად) და სხვ. მაგრამ რონოდისაგან სხვა ფორმები არც კი უწარმოებიათ. მიუხედავად ამ სიტყვის ხელოვნურობისა, რონოდა მ მხატვრულ ლიტერატურაშიც კი ამოყო თავი; მაგ., „რონოდის ფანჯრებში თავგამოყოფილი მგზავრები ღიმილით შიაყოლებდნენ თვალს მიქროლავ ბავშვებს“ (ნ. ლორთქ.). მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართული ენის ნორმები საბოლოოდ დაიხვეწა, ჩამოყალიბდა, ენის სიწმინდისათვის ბრძოლა სახელმწიფო ფონდი მნიშვნელობის საქმედ გადაიქცა, სიტყვა ვაგონი ისევ აღდგა თავის უფლებებში. მიუხედავად ამისა, პრესასა და ფირნიშებზე დღესაც გვხვდება რონოდას ხმარების შემთხვევები. მაგალითად, ჩეინიგზის ქუთაისის სადგურში ბილეთების წინასწარი გაყიდვის სალაროსთან გაკრულ განცხადებაში ამასწინათ ამოვიკითხე: „29-30-31 ივნისს ბილეთები გაყიდულია. გაყიდვაში არის საერთო რონოდის ბილეთები“ (ენა და სტილი განცხადებისა დაცულია, ხაზგამა ჩვენია — რ. შ.).

ვ. თოფურიას და იუ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით სალიტერატურო ენაში სახმარებელ ერთადერთ სწორ ფორმად სრულიად სამართლიანად მი-



ჩნეულია ვაკონი და არა ო-
ნოდა. ამიტომ ეს ნორმა და-
ცული უნდა იქნეს ყველგან და
ყოველთვის.

პროსპექტი თუ გამზირი?

სალიტერატურო ქართულში
პროსპექტი ც იხდარება და
გამზირიც (ასეა ცოცხალ
შეტყველებაშიც). აქედან პირვე-
ლი დიდი ხნის შემოსულია ჩვენს
ენაში, ხოლო მეორეს რამდენიმე
ათეული წლის ისტორია აქვს. პა-
რელი უცხოური წარმოშობისაა,
ნასესხებია, მეორე კი ქართულია.
ორივე სიტყვა ერთსა და იმავე
ცნებას აღნიშნავს, ამიტომ, ბუ-
ნებრივია, ვიკითხოთ: ორივე უნ-
და დარჩეს ენაში თუ ერთ-ერთზე
ხელი ავიღოთ.

ორიოდე ცნობა ისტორიული
ხასიათისა: ქართულ ენაში
პროსპექტი მე-19 საუკუ-
ნის მეორე ნახევრიდან გვხდება.
1867 წლისათვის საქართველოს
დედაქალაქში იყო 108 ქუჩა, 2
პროსპექტი, 14 მოედანი, 22 შე-
სახვევი, 2 აღმართი და ერთი გა-
დასასვლელი (შ. ჩ ხ ტ ი ა,
ტფილისის ისტორიიდან: ენიმეის
მოამბე, მე-5-6, გვ. 185).

სიტყვა პროსპექტი ქარ-
თულში რამდენიმე გაგებით იხ-
მარება. ამ შემთხვევაში ჩვენ გვა-
ინტერესებს ის მნიშვნელობა,
რომელიც დაკავშირებულია ქუ-
ჩის ცნებასთან. ამ გაგებით
პროსპექტი ლათინური წა-
რმოშობის სიტყვაა და ნიშნავს
ქალაქის დიდ, ჩვეულებრივ განი-
ერ და სწორ ქუჩას. შეიძლება

დაბეჭითებით ითქვას, რომ უფრო დიდი დაბეჭითების ჩვენს ენაში დამკიდრე-
ბა ქალაქების, უპირველეს ყოვ-
ლისა, თბილისის დაწინაურებას-
თან, აღორძინებასთან, განვითა-
რებასთან უნდა იყოს დაკავშირე-
ბული.

თბილისში რევოლუციამდე არ-
სებობდა გოლოვინის პროსპექტი.
რევოლუციის შემდეგ კი, 1918-
წელს, ერთ-ერთ შიტინგზე პოეტ
პ. იაშვილის წინადაღებით მას
დაერქვა რუსთაველის პროსპექ-
ტი, პროსპექტის მოცილედ ენაში
გაჩნდა ხელოვნურად შეთხული
სიტყვა გამზირი; ქართული ენის
განმარტებით ლექსიკონში ვკით-
ხულობთ: გამზირი იგივეა,
რაც პროსპექტი. აქვე მითითებუ-
ლია, რომ ლიტერატურულად უპ-
ირატესია პროსპექტი (ქა-
რთული ენის განმარტებითი ლექ-
სიკონი, ტ. II, სვეტი 671).

უნდა ითქვას, რომ გამზირი
ზუსტად ვერ გადმოსცემს იმ ში-
ნაარსს, რომელიც პროსპექტის
ცნებასთანაა დაკავშირე-
ბული. სიტყვა გამზირი, რო-
მელიც სემანტიკურად მზე რა-
სთან არის დაკავშირებული,
ვერაფრით ვერ გახდა ქართველი
კაცის აქტიურ სიტყვათა მარაგის
კუთვნილებად. ცოცხალ სასაუბრ-
ო ენაშიც და მწერლობაშიც
პროსპექტი მა შეავიწროვა
გამზირი და თითქმის სრულიადაც
გამოდევნა.

მიუხედავად ამისა, ამჟამად
თბილისში რატომღაც უპირატე-
სობას ანიჭებენ გამზირს.

ცნობისათვის დარეკეთ ტელე-
ფონით 5-58-31, 5-82-66, 5-82-36.
მისამართი: ქ. ქუთაისი, მაიაკოვს-
კის № 8“. ამ განცხადებაში ჩვენ
გვაინტერესებს სიტყვები — ე ლ-
ს მ ე ნ ი და ტ ე ლ ე ფ ი ნ ი,
რომლებიც პარალელურად გვხვ-
დება (ჯერ კიდევ ს. ხ უ ნ დ ა ძ ე
წერდა, რომ „დღესაც ამაოდ იხ-
არჯება ზოგიერთების ენერგია
იმისათვის, რომ ქართულად სთა-
რგმნონ ისეთი უცხო ტერმინები,
როგორიც არის, მაგალ., ე ლ ე პ-
ტ რ ი ნ ი (ელსმენი-ო!), ვ ა გ ო-
ნ ი (რონდა-ო!) და სხვ. ამგვა-
რი ტერმინების თარგმნა არც მი-
ზანშეწონილია და ცხოვრებაშიც
არ ტარდება“ (სილოვან ხუნდაძე,
ქართული მართლწერისა და სწო-
რების ძირითადი საფუძვლები.
ქუთაისი, 1927, გვ. 77). კანონიე-
რია ორივეს ხმარება თუ ერთ-
ერთზე ხელი უნდა ავილოთ? სა-
ნამ ამ კითხვას პასუხს გავცემ-
დეთ, შევიზნავთ, რომ ტელეფო-
ნის ნაცვლად ელსმენი მარტო გა-
ზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე არ
გვხვდება. მაგ., ჭავჭავაძის პროს-
პექტზე სადარბაზო შესასვლელე-
ბთან ქუთაისის საბინაო სამარ-
თველოს № 4 საბინაო საექსპლო-
ატაციო კანტორის მუშაკებმა მი-
აჰედეს ქუთაისის თანამშრომელ-
თა მიერ დამზადებული თუნქვის
პატარა სტანდარტული ნაკრები
წარწერით: „გაზის სუნის შემჩნე-
ვისას დარეკეთ 0-4 ე ლ ს მ ე-
ნ ი თ“.

გვხვდება წარწერები: რუსთავე-
ლის გამზირი, პლეხანოვის გამ-
ზირი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, ვა-
ჟა-ცჟაველას გამზირი და სხვ.
უნდა ითქვას, რომ ქუთაისში,
გორში, ბათუმში, სოხუმში... ჩვე-
ულებრივ პროსპექტი იხ-
მარება და წარწერებშიც ეს ფო-
რმა დამკვიდრებული (იშვიათად
გამზირსაც ვაწყდებით).

ენის სიწმინდის დაცვის დიდი
სახელმწიფო ორგანიზაციის საქმე გვავი-
ლებს ამ შემთხვევაში ორი მოცი-
ლე ფორმიდან დარჩეს ერთ-ერ-
თი, სახელდობრ პროსპექტი, რადგან
იგი შეეგუა ჩვენს ენას, შეისისხლხორცა მან და დი-
დი ხანია ქართველი ხალხის აქ-
ტიურ სიტყვა-ხმარებაში გადავი-
და.

ელსმენი თუ ტელეფონი?

ამ ერთი წლის წინათ გაზეთ
„ქუთაისში“ (17.III.1971, გვ. 4)
წავიკითხე ასეთი განცხადება:
„მოქალაქეთა საყურადღებოდ!
თუ თქვენ მიღიხაროთ მივლინება-
ში, შვებულებაში ან რაიმე საქ-
მის გამო დროებით ტოვებთ ბი-
ნას, შეგიძლიათ იმუშაოთ ნაყო-
ფიერად, დაისვენოთ მშვიდად,
დარწმუნებული იმაში, რომ
თქვენი ბინა საიმედო — დაცვის
ქვეშ იქნება.“

გარდა ამისა, ბინაში ყოფნის
დროს როგორც ე ლ ს მ ე ნ ი თ,
ასევე ე ლ ს მ ე ნ ი ს გარეშე ვა-
წარმოებთ ბინების, სარდაფების,
საკუჭნაოებისა და ავტოსადგუ-
რების ელსიგნალიზაციის დაწერგ-

საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პურისტული ტერმინები იმდენად ძლიერი იყო, ტელეფონიც კი თარგმნებს. ამის შესახებ მწერალი - აკადემიკოსი კ. გამსახურდია ერთ თავის სადისკუსიო წერილში შენიშვნავდა, რომ გერმანელები იმდენად იცავენ გერმანული ენის სიწმინდეს, რომ ტელეფონიც კი თარგმნეს გერმანულ ენაზეო. აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა, უპასუხებს რა კ. გამსახურდის სადისკუსიო წერილში აღმრულ საკითხებს, მიუთითებს: „კ. გამსახურდია ამ საკითხთან დაკავშირებით ეკამათება იმათ, ვინც ყველა უცხო სიტყვას თარგმნის, ამას ცრუპატრიოტიზმის გამოვლინება და თვლის (და სამართლიანადაც). როგორც მაგალითი მოჰყავს: გერმანელებმა ტელეფონი თარგმნესო. ეს ყველაფერი სწორია და უდაო. მაგრამ განა ჩვენში ენათმეცნიერები როდისმე მოითხოვდნენ: ტელეფონი (და მსგავსი სიტყვები) ეთარგმნათ? მაშრავ დასჭირდა ავტორს ეს ექსურსი ცრუპატრიოტიზმის შესახებ? გერმანელებმა რომ ტელეფონი თარგმნონ, ამისათვის პასუხი განა ქართველ ენათმეცნიერებს მოეთხოვებათ?“ (ა. რ. ჩიქობავა, ობიექტური საზომისათვის ქართული ენის ნორმათა დადგენისას: „ლიტერატურული გაზეთი“, 3.8.1956).

ტელეფონი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა. იგი შედგება ორი ნაწილისაგან („ტელე“ ნიშ-

ნავს შორს, ხოლო „ფონე“ ბერძნული ტერმინისას). ტელე ფონი ნიშანების საშუალებით შორ მანძილზე ბერძნის გასაცემად იმდენი ენის სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ.მ“-ნ, სვეტი 1271).

ტელე ფონი ბოლოვდება ონ მარცვლით. მსგავსი დაბოლოების სიტყვა საკმაოდ ბევრია ქართულში. სახელდახელოდ დავასახელებთ რამდენიმეს: პატეფონი, გრიფონი, შიფონი, გრამაფონი, მიკროფონი, მაგნიტოფონი, დიქტოფონი და სხვ. ოვით სიტყვა ტელეფონის პირველი ნაწილი „ტელე“ მრავალი წარმოქმნალი თუ რთული სიტყვები შემადგენლობაშია; მაგ, ტელეფონიზაცია, ტელეფონიზებული, ტელეფონირება, ტელეფონისტი, ტელეფონნოგრამა, ტელეცენტრი, ტელეხედვა, ტელეხილვა, ტელეგადაცემა, ტელეგრაფი, ტელესადგური, ტელეტექნიკა. ის სიტყვები, რომელთა შემადგენლობაში შედას ტელე ფონი (ტელე ფონიზაცია, ტელეფონიზებული, ტელეფონირება, ტელეფონისტი, ტელეფონნოგრამა...), არ შეიძლება შეიცვალოს ელს მენით.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა პურისტულ ტენდენციებს. იყო მისწრაფება ყველა ინტერნაციონა-

ლური და რუსული საზოგადოებრივ - პოლიტიკური ტერმინები ეთარგმნათ მშობლიურ ენაზე, მათვის მოქებანათ შესატყვისი ქართული ლექსიური ერთეული. ამ მიზნით სიტყვებს თხზავდნენ ისე, რომ ანგარიშს არ უწევდნენ ჩვენი ენის ბუნებას და თვისებას. ამის შედეგად გაჩნდა ხელოვნური სიტყვები, მათ შორის ე ლსმენიც.

როგორც პრესის ენაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ზოგიერთი დღეშაც დაყინებით ცდილობს სალიტერატურო ქართულში ტელეფონის ნაცვლად ეს ხელოვნურად შეთხშული სიტყვა დაამკვიდროს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ენის ბუნებრივი განვითარების ტენცენციებს.

ასანიშნავია, რომ ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ე ლსმენიც ცალკე სახმარებელ ერთეულად არ არის შეტანილი. ტელეფონთან დაკავშირებით კი აღნიშნულია: „ტელეფონი (და არა ელსმენი)“ (ვ. თოფურია და ივ. გიგინ ე იშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968, გვ. 702). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც მხარს უჭერს ამ ნორმას. აქ პირდაპირ მითითებულია: „ელსმენი (ელსმენის)“ უმართებულოა: ლიტერატურულია ტელეფონი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, სვეტი 1339). ტელეფონის მართლწერაზე მითითებულია (თანამედროვე სალიტერატურო ენ-

ის წორმების პირველ კრებულში (1970, გვ. 42), სადაც ლაპარაკიანი ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობის შესახებ ქართულში.

ამგვარად, ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად თანამედროვე ქართულში ხმარებული ორი სიტყვიდან (ტელეფონი და ელსმენი) კანონიერად ითვლება ტელეფონი, რომელიც მართალია, უცხოური წარმოშობისაა, მაგრამ უფრო გავრცელებულია პრესის ენაში, ტექნიკურ ლიტერატურაში და ენის ბუნების შესაბამისად კარგა ხანია დამკვიდრებულია ქართულ საერთო ლექსიკურ ფონდში. ამიტომ ჩვენი პრესა ვალდებულია მტკიცედ დაიცვას ეს ენობრივი ნორმა და კარი არ გაუღოს ხელოვნურად შედგენილ მეორე სიტყვას (ე ლსმენი), რომელიც სიტყვა-ხმარებაში დაუშვებელ ბარალელიზმს იწვევს.

შოთერი თუ მძღოლი?

რომელი ფორმაა მისაღები შოთერი თუ მძღოლი?

როგორც ცნობილია, სიტყვა შოთერი ფრანგულია. იგი რუსულში შემოდის მე-20 საუკუნის დასაშუალებიში, აქედან კი მცირდრდება ქართულშიც. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ კვითხულობთ: „შოთერი აეტომობილის მმართველი — მძღოლი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. მე-7, სვეტი 1433). აქედან ნათლად ჩანს, რომ ეს ორი სიტყვა (შოთერი, მძღოლი) სინონიმადაა გავე-

ბული, ხოლო მძღოლის შესახებ წერია: I. ის, ვინც უძღვის, მიუძღვის, — მოწინავე, მეთაური; 2. ავტოტრანსპორტის მართვის სპეციალისტი: შოთერი, ვატმანი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. მე-5, სვეტი 1216) და სხვ. თავდაპირველად ქართულში შოთერი იხმარებოდა. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ამის მოცილედ გამოდის. მ ძ ღ ო ლ ი ს, ვისაც მიჰყავს, ვინც მართავს მოძრავს ტრანსპორტს. ამის ნიადაგზე გაჩნდა სინტაგმები: მანქანის მძღოლი. ტრაქტორის მძღოლი (გვხვდება ტრაქტორისტიც), ტანკის მძღოლი (ზოგჯერ იხმარება ტანკისტიც). მ ძ ღ ო ლ ი ამჟამად საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა. იგი გვესმის ცოცხალ სასაუბრო ენაშიც და რადიოსა და ტელევიზორშიც, გვხვდება უურნალ - გაზეთების ფურცლებზეც და წიგნებშიც. საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: 1950 წელს სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა ა. რიბაკოვას რომანს „მძღოლები“. ამ შემთხვევაში ქართული მ ძ ღ ო ლ ი შოთრის თარგმანი კი არ არის, არამედ რუსული სიტყვის ვოდი-თელის შესატყვისია. ხშირად სიტყვა მ ძ ღ ო ლ ი ატარებს განსაკუთრებულ სტილისტიკურ ელფერს უმეტესად მხატვრულ ლიტერატურაში, სტატიებსა და ნარკევებში. შეიმჩნევა, ისიც, რომ ეს სიტყვა არც თუ ისე იშვიათად სახეობრივ ცნებას გამოხატავს, ხოლო შოთრი იხ-

მარება უფრო ვიწრო და განსაზღვრული მნიშვნელობით. ყოველ დღიურში სასაუბრო მეტყველებაში უმტკივნეულოდ ხერხდება შოთრისა და მძღოლის მონაცვლეობა (მანქანის მძღოლი და მანქანის შოთერი; ავტობუსის მძღოლი და ავტობუსის შოთერი), ოფიციალურ საქმიან მეტყველებაში კა ავტომანქანის წამყვანი შოთრი ად იწოდება, ხოლო ტროლეიბუსებისა და მოტოციკლებისა — მ ძ ღ ო ლ ე ბ ა დ.

ცნობილია, რომ ყოველ ენაში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ერთიმეორის ტოლფარდად მივიჩნიოთ. ამგვარ ეჭვივალენტურ ფორმებად ჩაითვლება შოთრები — მ ძ ღ ო ლ ი. ესენი ენაში ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ, ეკვივალენტურნი არიან. ეს ორი ბგერობრივად განსხვავებული ფორმა ფუნქციურად ტოლფარდია.

სემანტიკურად ტოლფარდორი ფორმა სტილისტიკური თვალსაზრისით შეიძლება არაეკვივალენტური იყოს. ამგვარ შემთხვევაშიც ცდა ენიდან ერთ-ერთის განდევნისა და მეორის გაბატონებისა ხელს შეუწყობს სალიტერატურო ენის ნორმალიზაციას.

ზ. ჭუმბურიძის ამასთან დაკავშირებით წერს, რომ „ზოგიერთები ამჟამად დაუინებით ცდილობენ სალიტერატურო ქართულში დამკვიდრონ სიტყვა მ ძ ღ ო ლ ი შოთრის მეგიერ. შეიძლება ვიწინასწარმეტყველ-

ოთ, რომ ეს ცდა სასურველ შედებს ვერასოდეს გამოიღებას“ (ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისადა სტილის საკითხები, თბ., 1956, გვ. 20).

ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ.

ჩვენთვის საინტერესო სიტყვასთან დაკავშირებით საგსებით სწორი მოსაზრება გამოიქვა მ. ჯაყულმა. მან მიუთითა, რომ შოთერი საერთაშორისო სიტყვაა. იგი ბარბარიზმი სულაც არ არის და ბევრი ერი ხმარობს. ჩვენს ენაში მისი შესატყვისი არა გვაქვს და ამიტომაც უცვლელად ვტოვებთ. მადლოლი, — დასძენს იგი, — სრულიად შეუფერებელია შოთერის შესატყვისად. საქმე ის არის, რომ მძღოლი ტრანსპორტში კი არ ზის და კი არ მართავს, არამედ მიუძღვის წინ (უძღვება), მაგ., ურემს მეურმე როცა წინ მიუძღვის, მას მძღოლს ეძახიან, ხოლო როცა კოფორტე ზის, მძღოლი უკვე აღარ ეთქმის. ამრიგად, მადლოლი არ გამოიგება შოთერის მნიშვნელობის გადმოსაცემად (მ. ჯაყელი, აი, ვინ ამაზინგებს ქართულ ენას! გაზეთი „თბილისი“, 1971, 19 მარტი, გვ. 3).

„ქართული ენის განმარტებით დექსიკონში“ ფიქსირებულია აშოთერი და შოთერობა. ეს უკანასკნელი ახსნილია ასე: შოთრად ყოფნა, შოთრის ხელობა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. მე-7, სვეტი

1433). ქართულში ერზე დამოლებულ სრტყვათა ანალოგიური მატერიალი (მტერი, მწყერი, კისერი, მეწყერი, ოხერი, საცერი, დედაბერი...) შოთერიც იყუბშება მხ. რიცხვის სამ ბრუნვასა (შოთრის, შოთრით, შოთრად და ე ბ-იან მრავლობითში (შოთრები, შოთრება, შოთრებს...)). გრძა ამისა, სიტყვა შოთერი ადვილად ემორჩილება ქართული ენის წარმოქმნის წესებს. იგი ირთავს როგორც სუურქებს (შოთრული, შოთრ-ობა), ისე პრეფექტურულებს (უ-შოთრ-ო, სა-შოთრ-ო, ნა-შოთრალ-ი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემელ რუსულ-ქართული ლექსიკონის მესამე ტომში რუსული სიტყვა-შიფრებ ახსნილია ასე: „შოთერი: შიფრებ ტრაქტორისტ — შოთერი ტრაქტორისტი“ (რუსულ - ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1959, გვ. 675). აქ მოცილე ფორმის (მძღოლი) ხსენებაც კი არ არის.

ამგვარად, მადლოლი დაშოთერი, მართალია, ერთსა და იმავე ცნებას გამოხატავს, მაგრამ არა სინონიმური სემანტიკისა. პირველი ქართულია წარმოშობით. მეორე — უცხოური. ამათგან ერთ-ერთზე ხელი უნდა ავიღოთ. რომელზე? თუ გავითვალისწინებთ ამ სიტყვების ხმარების სიხშირეს, ტრადიციას, მაშინ უდავოდ ხელი უნდა ავიღოთ მადლოლის ხმარებაზე და და-

ვამკვიდროთ შოთერი, რომელიც ისე შეეგუა ქართულ ენას, რომ არავის ახსოვს მისი უცხოურობა, ძირეული ქართული სიტყვა გვგონია.

„შუხართი, შუხარტი, შუხხარდტი, შუხარდტი

ქართულ სალიტერატურო ენაში სხვადასხვანაირად იწერება გრაცის უნივერსიტეტის პროფესორის, უცხოეთის რამდენმე აკადემიის საპატიო წევრისა და რევოლუციამდელი საზღვარგარეთელი ქართველობობის ერთერთი სახელმოხვეჭილი წარმომადგენლის ჰუგო შუხართის გვარი. სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც საქართველოში ქართულ ენაზეა დაბეჭდილი, ჩვენთვის საინტერესო გვარი ოთხი ფორმით გვხვდება: შუხართი, შუხარტი, შუხხარდტი, შუხარდტი. რა თქმა უნდა, ასეთი სიჭრელე ერთი და იმავე სიტყვის მართლწერაში დაუშევებელია და ეს ხელს უშლის ერთიანი ორთოგრაფიული რევიმის ქართველ ჩალხში დამკვიდრება - განმტკიცების დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს. ამიტომ, ბუნებრივია, დაისვას საკითხი — რომელი ფორმაა სწორი, მისაღები და პრაქტიკაში დასანერგი?

ჩვენ მიერ აღნიშნული ფორმებიდან პრაქტიკაში დასანერგია მხოლოდ და მხოლოდ პირველი ფორმა — შუხართი. სანამ ამის დამადასტურებელ საბუთს მოვიყვანდეთ, მანამ მივუთითებ იმ ავტორებზე, რომლებიც იყენებენ

შუხართის მართლწერის სტაილს სხვა ფორმას. ასე, მაგალითად კუვანიშვილი წიგნში „ქართული და ქავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და წათესაობა“ (1937) ფიქსირებულია ფორმა ჰუგო შუხარდტი (გვ. 8, 9, 87, 439), ეგვე ფორმა გამოყენებული არნ. ჩიქობავასა და გ. აბგლედიანის შრომებში (იხ. არნ. ჩიქობავი, იბერიულ - კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 6, 13, 14, 262-274, 280; გ. ახვლე დიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 363).

ასლახან გამოქვეყნებულ უ. ვოზალიშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები“ (თბ., 1973) იყითხება ჰუგო შუხხარდტი (გვ. 34-57), ხოლო ცნობილი გერმანელი მწერალი, მეცნიერი, „შორეული თვისიანი“, როგორც დიდი ილია იტყოდა, ქართველი ხალხის გულშრფელი მეგობარი არტურ ლაისტი თავის წიგნში „საქართველოს გული“ წერს ფორმას — „ჰუგო შუხარტი“ (თბ., 1963, გვ. 161).

ვ. თოფურია პირველ ხანებში წერდა ასე: „შუხარდტი“ (იხ. მასი „სვანური ენა“, ზმნა, 1930, წინასიტყვაობა), მაგრამ შემდეგ უპირატესობა მიანიჭა ფორმას შუხართი (იხ. ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, გვ. 32). სწორედ ეს უკანასკნელი ფორმაა გაბატონებული თანამე-

დროვე სალიტერატურო ქართულში. ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (1953) ამავე ფორმას იყენებს (იხ. გვ. 141, 419. 655).

ამ შემთხვევაში ჩვენ განხრას ვუვლით გვერდს იმას, თუ როგორ ხმარობლენ საანალიზო სიტყვას ილია, აკა კი, ვაუ და სხვა კლასიკოსები, რაღაც მათი მოღვაწეობის პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დადგენილი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და, ამდენად, მათთან ამ საკითხზე მსხველობის საჭიროება იხსნება. როგორც აღნიშნა, შუხართი ავსტრიელი იყო. ავსტრიაში კი სახელმწიფო ენას წარმოადგენდა და ამჟამადაც წარმოადგენს გერმანული ენა. გერმანულად შუხართი ასე იწერება: Schuchardt, რუსულად კი ასე: Шухардт. ცნობილია, რომ ქართული ენა ვერ ეგუება ე. წ. გრაფიკულ პრინციპს, ე. ი. სახელი ისე დაიწეროს, როგორც იწერება უცხო ენაზე, ბმის გამო, რომ ქართული დამწერლობა მსოფლიო დამწერლობას შორის მეტად თავისებურია და თვითმყოფი. გარდა ამისა, ქართულში სიტყვა როგორც იწერება, ისე წარმოითქმის. სწორედ ენის ამ ბუნებიდან გამომდინარეობს ის, რომ უცხოური სახელები ვწეროთ არა ისე, როგორც წერია დედაენაში, არამედ ისე, როგორც გამოითქმება უცხოელთა მიერ. სწორედ ამას ეწოდება ლინგვისტიკაში ფონეტიკური პრინციპი.

როგორ გამოთქვამენ თვით გერმანულები ამ დიდი ქართველობაზე ლოგის გვარს? ამ შემთხვევაში ზუსტად ისე, როგორც სწერია გერმანულად „შუხარდტ“. მაგრამ ამით როდი მთავრდება საანალიზო სიტყვის მართლწერის საკითხი. ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მართლწერის საკითხს გაკვრით შეეხო აკა კი შანიძე ერთ თავის ნაშრომში „ხანმეტი ლექციონარის“ წინასიტყვაობაში (თბ., 1944). აკა კი შანიძე სქოლიოში მიუთითება: „შუხართი (და არა შუხარდტი), რაღაც H. Schuchardt-ი თვითონ ასე აწერს ქართულად ხელს Über das Georgische გამოკვლევის მიძღვნილობაში: „ნიშნად მაღლობისა ვუძღვნი ჩემს საყვარელ მეგობარს პროფესორს პ. მელიქიშვილს. გ. შუხართი (გ.-გვო-ჭუგო?)“ (იხ. გვ. 07). ა შანიძემ იცის, თუ როგორ უნდა დაიწეროს ქართულად შუხართის გვარი, მაგრამ ანგარიშს უწევს თვით მეცნიერის სურვილსა და მისეულ მართლწერას, ამიტომაც იცავს ფორმას „შუხართი“. აქ დაახლოებით ისეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორც გალაკტიონთან (სწორია გალაკტიონი), მაგრამ რაღაც პოეტი ასე წერდა, თითქმის დაკანონდა გალაკტიონი).

ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მართლწერასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, აღვნიშნავთ შემდეგს: 1968 წელს არნ. ჩიქობავაშ გამოაქვეყნა წერილი „ქართული ზმის ულვლილების სისტემის

„საკითხები“ (იხ. იქე, ტ. 16), რო-
მელშიც გაკვრით გაკრიტიკებუ-
ლია ა. შანიძის მოსაზრება. სულ
მაღვე ა. შანიძე გამოიხმაურა არნ.
ჩიქობავას კრიტიკას და უურნალ
„დროშის“ 1969 წლის იანვრის
ნომერში დაბეჭდა „იძულებითი
განმარტება“, სადაც მკვლევარი
ნახევრად ირონიული კილოთი
წერს: „ჩემი ნაწერებიდან ზემოთ
მოყვანილ ნაწყვეტში ბროსეც
არის ნახსენები და ყიფიანიც...
არ ჩაწე, მართალია, ბ. შუხარდ-
ტი, მაგრამ კარგად ჩანს ჰუგო
შუხარდი, როგორც თვითონ
წერდა გრაცელი ენათმეცნიერი

თავის გვარს“ (ხაზი ავტორისა და
რ. შ.).

ამჟამად, როგორც დაკვირვებულ
გვიჩვენებს, ქართული საენათმე-
ცნიერო ლიტერატურა მხარს
უჭერს შუხარდი ფორმას და
ტენდენცია არის ის დარჩეს გა-
მარჯვებული ლიტერატურულ ენ-
აში.

ამგვარად, ყოველივე ზემო-
თქმულს თუ მივიღებთ მხედველ-
ობაში. პარალელური ფორმები-
დან: შუხართი, შუხარტი, შუხა-
რდტი, შუხარდტი უპირატესობა
უნდა მიენიჭოს და საბოლოოდ
უნდა გაბატონდეს ლიტერატუ-
რულ ენაში შუხარდი.

1929 შაგამიძე

პეტრე მეტვიძე

ბათუმში მოღვაწე არაერთმა მხატვარმა თავისი ხალასი შემოქმედებით უკვე მოიპოვა აღიარება. მათ რიცხვშია აჭარის ასსრ დამსახურებული მხატვარი შოთა ზამთარაძე. მას ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე, ხოლო ჩვენს ქალაქში, ჭერ არ ყოფილა შემთხვევა, თავისი მოღვაწეობის მანძილზე (1955 წლიდან მოყოლებული) რომელიმე გამოფენა გამოეტოვებინოს, ახალი ნაწარმოებებით არ გაეხარებინოს ხელოვნების მოყვარულები.

შ. ზამთარაძე დაიბადა 1926 წლს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში, რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. მამა—ორთქლმავლის მემანქანე, არანორმირებული შრომითი საქმიანობით იყო დაკავებული და ოჯახის მთელი სიმძიმე ძირითადად დედას აწვა შერებზე, დედას, რომელიც რვა წავშეს ზრდიდა. შოთა ნაბოლარა

იყო და უფროსი ძმების შემყურე, მათგან სწავლობდა ყველაფერს. უფროსი ძმები გატაცებული იყვნენ ხატვით. ყველაზე უფროსი ლევანი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. შოთა თავიდანვე ფიქრობდა, რომ ხატვის ცოდნა ისევე აუცილებელია მოსწავლისათვის, როგორც სხვა სასკოლო საგნებისა.

ზამთარაძების ოჯახში შოთას ძმები ხშირად ასრულებდნენ სკოლის ღირექციისა თუ კომპავშირული ორგანიზაციის დაღვეუბებს, ხატავდნენ და წერდნენ ლოზუნებს, პლაკატებს. შოთა პირველ ხანებში შორიდან ცერით კმაყოფილდებოდა, ხოლო შემდეგ თვითონაც ისურვა ამ საქმეში ჩაბმულიყო. იგი ფანქრით ხატავდა საგნებს. ცოტა ხანიც და ძმებმა მოუწონეს მიამიტური ნახატები, რომელთა ავტორი აშკარად ამუღავნებდა ხატვისადმი გამორჩეულ მიღრეკილებას. მისი

მებსიერებიდან არასოდეს არ წა-
იშლება ბავშვობის წლებში ოჯა-
ხში გამართული ერთი კამათი-
საუბარი. უფროსმა ძმამ ლევანმა
ფერებში დახატა ბებია, როდესაც
იგი ბუხართან ფუსფუსებდა. ბე-
ბიავ თავის პორტრეტს რომ შე-
ხედა, გაოცდა, თვალს არ დაუჭე-
რა, ფერადი პორტრეტები მას
მხოლოდ ეკლესიაში ეგულებოდა.
ლევანს შეეკითხა: „ეკლესიაში
რომ ხატები ჰქიდია, ისიც ასე
კაცის ნახელავია?!“. დადგებითი
პასუხი რომ მიიღო, გაიღიმა. ამ
ღიმილს გაკვირვება არ გამოუწ-
ვევია, რადგან ყველამ იცოდა,
რომ ზამთარაძეების ბებია და
ბაბუა ეკლესიაში არ დადიოდნენ,
ისინი არასოდეს არ ასრულებდ-
ნენ რელიგიურ რიტუალებს. ლე-
ვანის მიერ დახატული ბებიას
პორტრეტით ყველა მოიხიბლა.

ასეთ ოჯახურ ატმოსფეროში
იზრდებოდა შოთა და საშუალო
სკოლის დამთავრების შემდეგ
არავინ წინ არ აღუდგა მის გადა-
წყვეტილებას — მხატვარი გამხ-
დარცყო და პროფესიული ცოდნა
იძღლისის სამხატვრო აკადემიაში
მიეღო.

ის მეტად კმაყოფილი იყო —
აკადემიის რექტორის, სახელგან-
უძლილი მხატვრის პოლონ ქუ-
თათელაძის კლასში ჩაირიცხა.
წავლის პერიოდში იგი თავმდა-
სლობითა და შრომისმოყვარეო-
ბით გამოიჩინდა. სასწავლო
პროგრამით გათვალისწინებულ
დავალებებს ყოველთვის თავის
დროზე, პირნათლად, აკადემიური

წარჩინებით ასრულებდა. მაგრავ
მომავალი მხატვარი არ გადასულდა
აკადემიის კედლებით.
არდადეგების დროს ხშირად მო-
გზაურობდა საქართველოს კუთ-
ხეებში და ბლენერზე ასრულებ-
და ჩანახატებს. ამ პერიოდის და-
მოუკიდებელი ნამუშევრებიდან
დღესაც მოწონებას იმსახურებს.
პეიზაჟების სერია, რომლებზეც
აღმოჩენილია თბილისის შემოგა-
რენი, განსაკუთრებით საგურა-
ძის, მცხეთისა და ქართლის უბ-
ნების ლამაზი ხედები.

აკადემიის დამთავრების შემ-
დეგ ყოველი მხატვრის წინაშე
რთული ალტერნატივა წამოიჭ-
რება ხოლმე. სად წავიდეს, სად
უფრო გამოაჩენს თავის შემოქმე-
დებით მიღრეკილებას, რა სარგე-
ბლობას მოუტანს საზოგადოებას,
როგორ მოიხდის თავის პატრიო-
ტულ მოვალეობას? მან გადაწყ-
ვიტა ბათუმში ჩამოსულიყო, რაც
ორი ფაქტორით იყო ნაკარნახვი.
პირველი და უმთავრესი ჩვენი ქა-
ლაქისა და მისი შემოგარენის ბუ-
ნების განუმეორებელი სილამაზე
გახლდათ. საქმე ის არის, რომ
მხატვარი თავისი შემოქმედების
ძირითად ლაიტმოტივად თავიდან-
ცე პეიზაჟურ ხელოვნებას მიიჩ-
ნებდა, ჩვენი მხარე კი სწორედ
სამისოა. მეორეც ის, რომ თავის
მშობლიურ სოფელთან ახლოს
იქნებოდა.

ყოველი მხატვარი დიდი ხელო-
ვნების გზას თავისებურად გაიკვ-
ლებს. ზოგი თავისი ნივიერების
გამოვლინებას, ცოდნისა და გა-

მოცდილების შეძენას ხანგრძლივ დროს ამარს და მოულოდნელად კერძონივით გამოანათებს. არის მხატვარი. რომელიც დასაწყისში უპრეტენზიო. მოქარძალებული ნიმუშებით გვაცნობს თავს, შემდეგ კი ყოველ გამოფენაზე ცდილობს მაყურებელს აგრძნობინოს, სსტატობის დაუფლების გზაზე რა გააკეთა, რას მიაღწია, როგორ ჩამოყალიბდა საკუთარი ხელშერის სატატად.

რომელია ამ გზებიდან უკეთესი? ორივე მისაღებია და გამართლებული. შ. ზამთარაძემ მეორე გზა აირჩია და საწადელსაც მიაღწია.

მხატვრის პალიტრაზე პირველ ხანებში მომცრო ზომის, ეტიუდური ხასიათის, მოქარძალებული, სასურათო ამოცანებით ნაკლებად დატვირთული ნაწარმოებები იძალებოდა. ეს იყო ინდუსტრიული ბათუმის, განსაკუთრებით კი ნავსადგურის თემებზე შესრულებული ნიმუშები. ჩვენს ქალაქში, გამოფენებზე ასეთი ტიპის ფერწერული ნაწარმოების გამოჩენა, გადაუჭიარბებლად შეიძლება ითვეს, შ. ზამთარაძის სახელთანაა დაკავშირებული. ბათუმში ჩამოსვლისთანვე შექმნილი მომცრო ზომის ფერწერულ ტილოებზე მან აღბეჭდა ნავსადგურის ერთი კუთხე, სადაც სათევზაოდ მხადმყოფი სეინერები დგანან. მხატვარმა იმავე წელს შექმნა „სატვირთო ნავსადგურის ამწევები“, „ვაგონიდან ხომალდში ჩატვირთვა“. მომდევნო წლებშია

შექმნილი „სალამო ბათუმის ნავსადგურში“, „ძეთევზეთა სადგლობის ში“, „ზამთარი ხავსადგურში“, „სეინერები“, „გზა მეთევზეთა დაბისაკენ“ და სხვა ტილოები.

მხატვრის პირველი სერიოზული გამოცდა იყო 1957 წელი, როდესაც თბილისში მოეწყო აჭარის ასარ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ფოიეში გამართულმა გამოფენამ ცხადყო ჩვენი მხატვრების შემოქმედებითი სიმწიფე. შ. ზამთარაძე გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე ნიმუშით, რომელთავა საშუალო ზომის ფერწერული ტილო „ბათუმის ნავსადგური“ მაღალმხატვრული ღირსების ნაწარმოებად იქნა აღიარებული. გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ ხელოვნებათმცოდნე ი. ურუშაძე წერდა: „სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ახალგაზრდა მხატვრის შ. ზამთარაძის პეიზაჟური ნამუშევრები. მათ კარგი მაგალითის მნიშვნელობა ენიჭებათ ისეთი რთული ამოცანის ფერწერის გაგებაში, როგორიცაა ინდუსტრიული პეიზაჟის შექმნა ნაწარმოებებში „ნავსადგური“, „ცისტერნების დატვირთვა“. „ამწევნავსადგურში“, „ტანკერების დატვირთვა“ და სხვა. ახალგაზრდა მხატვარმა შესძლო დამაჯერებლად გადმოეცა აჭარის ლამაზი ბუნების არა მარტო დამახასიათებელი სახე, ბუნების სურათები მან გავსო ქმედითობით, მჩქეფარე ცხოვრებით. იგი გვაგრძნობი-

ნებს ადამიანის „შემოქმედებითი შრომის ნაყოფს“.

მაშინ კურნალ „მნათობში“ და-იძეჭდა ხელოვნებათმცოდნე ო. ფირალიშვილის სტატია „აჭარის მხატვრები“, რომელშიც ვკითხულობთ: „შოთა ზამთარაძის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მოზრდილი ტილო, რომელზედაც ბათუმის ნავსადგურის ერთ-ერთი კუთხეა წარმოდგენილი. მზის ჩასვლის დროს შეწითლებული პორჩიონტი და გემის ზედა ნაწილები გამოცდილი ოსტატის ტაქტითაა ამეტყველებული ჩრდილში მოქცეულა საგნების სილუეტებთან შეფარდებით. ზამთარაძის ნაწარმოებთა საერთო ღირსებას ნავსადგურის ინდუსტრიული ცხოვრების ჩვენება და ფერწერულობა წარმოადგენს“.

თბილისის გამოფენაზე მოპოვებულმა წარმატებამ მხატვარს ფართოდ გაუღლო კარები საკავშირო სარბიელზე. 1957-1958 წლებში ზედიზედ შ. ზამთარაძის ბათუმის ნავსადგურის თემებზე შესრულებული ნამუშევრები მოსკოვის გამოფენებზე გამოჩნდა. ერთი მათგანი „სატვირთო ნავსადგური“ გამოფენის დახურვის შემდეგ სსრკ კულტურის სამინისტრომ შეიძინა და საკავშირო მოძრავი გამოფენის ექსპონატის ფუნქცია დაეკისრა. ამ გამოფენამ წარმატებით მოიარა საბჭოთა კავშირის ქალაქები. ზოგიერთი ექსპონატის, მათ შორის შ. ზამთარაძის ზემოაღნიშნული ნაწარმო-

ების ფერადი რეპროდუქცია გამოქვეყნა საკავშირო უურნარელმა „სოვეტსკი ხუდოვნიკმა“.

1959 წელს ბაქოში მოეწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების მხატვართა ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა. აქ მოხვედრა ძნელი იყო, მიუხედავად ამისა შ. ზამთარაძის ინდუსტრიული პეიზაჟის რამდენიმე ფერწერულმა ნიმუშმა მაღალი შეფასება მიიღო და მხატვარს აღიარება მოუპოვა.

ყოველი მხატვარი რთულსიუჟეტიან თემებზე მუშაობისას სერიოზული ამოცანის წინაშე დგას; ღრმად უნდა ჩაწვდეს მის შინაარსს, პოეტურად აამღეროს ნაწარმოების ფერადოვნება, მხატვრული დამაჯერებლობით აჩვენოს თავისი ჩანაფიქრი. უამისოდ შეუძლებელია ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა. სამწუხაროდ ზოგი მხატვარი ამოჩემებული თემის აქტუალურობას ანიჭებს პრიორიტეტს და ნაკლებად ზრუნავს მხატვრულ ღირსებაზე. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ზერელე ილუსტრირებასთან და ვღებულობთ მშრალ, არაფრის მოქმედესკიზურ ნახატს.

შ. ზამთარაძის სამრეწველო პეიზაჟები სულიერი მოთხოვნილებითაა შექმნილი, ისეა გადაწყვეტილი, როგორც ამას სინამდვილისადმი მხატვრის შეგნებული დამოკიდებულება ითვალისწინებს, უმრავლესობას სურათოვნების ნაღდი ბეჭედი აზის.

შ. ზამთარაძე მარტო სამრეწ-



წინგაღადგმული ნაბიჭია.

ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკური მახება დაწერილი „დაიდი განთიადი“. იგი ყურადღებას იქცევს კომპოზიციის ექსპრესიულობით, ისეთ ფერთა გამით, რომელიც ერთბაშად იკყრობს დამთვალიერებელს. ცოცხალი, მოძრავი, მტკიცე რწმენის ადამიანების დახატვით მხატვარი კარგად გვაგრძნობინებს განზრახული თემის სიუჟეტს. ეს ადამიანები — მეზღვაურები იმ ისტორიული შტურმის მონაწილენი არიან, რომელმაც მსოფლიოს ახალი ერის დასაწყისი აუწყა (ამ ნაწარმოებთა ჩერიოდუქცია მოთავსებულია შიგნიში „ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება“, 1973).

მოწონება დამისახურა მხატვრის ფერწერულმა ტილომ „ჩადრის ახდა“. ეს მუქ ფერებში გადაწყვეტილი კომპოზიცია ხასიათდება ღრმა ფსიქოლოგიური განწყობილების ოსტატური გადმოცემით. ცნობილია, რომ უცხოელ დამპყრობთა სამსაუკუნოვანი ბატონობის დროს ჩვენი კუთხის მოსახლეობას თავს მოახვიეს მუსულმანური სარწმუნოება, ქალი ჩადრში გახვიეს და ოჯახს მიაჭაჭვეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქარა მკვეთრად დაადგა კულტურული განვითარების, მძიმე ულლისაგან ქალთა განთავისუფლების გზას. მაგრამ ძალით დანერგილი უცხო ჩვევებისაგან თავის დაღწევა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

ტილოზე ქალების 3 ჯგუფია წა-

ველო პეიზაჟებით როდი იფარგლება. მის შემოქმედებაში ფართოდ არის ძალული რევოლუციური თუ აჭარის ისტორიული, სამამულო ომისა თუ სოციალური თემები. ამ სიუჟეტებზე მხატვარს შექმნილი აქვს მრავალფაზურიანი, თემატური კომპოზიციები.

სამამულო ომის დამთავრების 30 წლისთვის შოთა ზამთარაძე ორი ფერწერული, საკმაოდ რთული თემატური კომპოზიციით გამოქვეყნდა.

...ომის უმძიმეს წლებში ზურგი ფრონტს არა მარტო ტყვია-წამლითა და სურსათ-სანოვაგით ამარავებდა, ხელოვნების მუშაკები, განსაკუთრებით საესტრადო მუსიკის ოსტატები, ხშირად მიზიდულნენ ფრონტზე და დალლილ მეომრებს შესვენებისას მუსიკალური ჰანგებით უნერგავდნენ სულიერ სიმტკიცეს. ასეთი სიუჟეტია გადმოცემული მრავალფაზურიან კომპოზიციაში „გაფრინდი შავო მერცხალო“. მოთეთრო-მონაცრისფერო, მომწვანო-მოლურჯო ფერების შერწყმით მხატვარმა შექმნა თავისებურად გაზრებული მოსაწონი კომპოზიცია.

მეორე სურათის თემად აღმულია ისტორიული ფაქტი — ჩვენი თანამემამულის ფორე მოსულიშვილის გმირობა იტალიაში. კომპოზიციური წყობისა და ფერწერული ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით ორივე სურათი მხატვრის შემოქმედებაში

რმოდგენილი. პირველ პლანზე, ცენტრში წარმოსახული ახალგაზრდები კატეგორიულად გმობენ ჩადრს და ადვილად თავისუფლდებიან მისაგან. გვერდით საშუალო ასაკის ქალები ჭერხნობით ვერ ბედავენ გულის ნადების აშენებაზე გაძოხატებას. მეორე პლანზე დახატული მოხუცი ქალები კი ვერ ელევიან ჩადრს. მოსაწონია შესრულების მანერა, მუქისა და ყავისფერის შეხამების შედეგად მიღწეული კოლორიტი. მხატვრის სასახლოდ უნდა ითქვეს, რომ იგი მთელი სიღრმით ჩაწვდა თემას და გამარჯვებასაც მიაღწია.

ზემო აჭარის სოფელ ხიხანთან დაკავშირებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისეთი ეტაპები, რომლებმაც საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. დიდებითაა მოსილი პატრიოტული იდეებისათვის მტკიცე მებრძოლის სელიმ ხიმშიაშვილის სახელი. იგი ვაკეაცური შემართებით იბრძოდა სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლებისა და დედა-სამშობლო საქართველოსთან დაბრუნებისათვის. მტრები მას თავს კვეთენ 1815 წელს. სიკედლის წინ თანამემამულეების დასამშვიდებლად და მტრების გასაგონად მან ხმამალლა განაცხადა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტივით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ მარწ არ შერჩება. ამის სისოფანას მე ჩემ შვილებსაც დავუტოვებო“.

სელიმ ხიმშიაშვილის სახელთან

დაკავშირებული ბრძოლის ფრინველი ძლიერ გაიტაცა მხატვარი. ამწმობს ჩანახატები, ესკიზები, ეტიუდები, რომელთა საფუძველზე შემდეგ შექმნა საკმაოდ დიდი ზომის მრავალფიგურიანი კომპოზიცია — „ხიხანის ბრძოლა“. ყურადღებას იქცევს კომპოზიციის ექსპრესიული მანერა. იქ ყოველი მებრძოლის ფიგურა ვაკეაცური შემართებით არის აღმოჩენილი და ერთმანეთთან პარმონიულადაა შერწყმული. ეს ტილო ფერთა შშვენიერი შეხამების ნიმუშია.

როდესაც ზამთარადის ფერწერულ ტილოებზე ვსაუბრობთ, ცალებ უნდა გამოვყოთ „მამის პორტრეტი“. მხატვრის შემოქმედებაში იგი უნდა მივიჩნიოთ პორტრეტული უანრის შესანიშნავი ნიმუშად. მხატვარმა უარი თქვაცალკეული დეტალების დამუშავებაზე და მთელი აქცენტი პირისახის გამომეტყველებაზე გაამახვილა. ჩვენს წინაშერ საკმაოდ ხანდაზმული ადამიანი, რომელიც მკლავმოულელი შრომით არ მოხრილა, არ გატეხილა. პირიკით, ასეთმა შრომაზ მას სიმტკიცისა და გამძლეობის რწმენა შესძინა. მხატვარი ჩასწვდა პორტრეტული ხელოვნების საიდუმლოებას და მსგავსებასთან ერთად გადმოსცა საყვარელი შრობლის სულიერი სამყარო. იგი განერიდა მოყიაფე ფერებით დატვირთვის და წყნარი, ზომიერი ფერთა გამით მიმზიდველ გამომსახველობას მიაღწია.

აკადემიაში სწავლის დროს ჭ.

ზამთარაძის მასწავლებელი ა. ქუთათელაძე სტუდენტებს, ფერწერული ამოცანების გადაწყვეტისას, განსაკუთრებით კომპოზიციის აგების მნიშვნელობაზე უმახვილებდა ყურადღებას. შ. ზამთარაძეს მისი მასწავლებლის ჩაონებისათვის არასოდეს უღალატნია. იგი მუდამყამ მიიღოტვის აცდეს კომპოზიციის აგების ტრაფარეტს და მიაღწიოს ისეთ ჰარმონიულობას, როდესაც ყველა კომპონენტი ერთმანეთთან ორგანულად იქნება დაკავშირებული.

შ. ზამთარაძე ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას კარგად უხამებს საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი ოცი წელია ბათუმის სამხატვრო სკოლას ხელმძღვანელობს. აქ ბევრმა ჩვენმა მხატვარმა მიიღო პირველი ნათლობა.

მიუხედავად განვლილი საქმაოდ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გზისა, შ. ზამთარაძე კვლავ აქტიური ძიების პოზიციაზე დგას, რაც ჰეშმარიტი ხელოვანის განუყრელ თვისებას წარმოადგენს. მას ღრმად სწამს, რომ ფუნქციის ოსტატი უნდა მოღიოდეს ცხოვრებიდან, ტრადიციებიდან,

დღენიადაგ ელტვოდეს სიახლეს. ჩვენ დადებითად მივიჩნიათ მხატვრის დიდი სიყვარული ნატურისადმი, რაც უწინარესად პეიზაჟებშია აღმოჩნდილი, მაგრამ ხანდახან იგი ნატურის პასიური ტყვეობისაგან ვერ თავისუფლდება. ისიც აღვნიშნეთ, რომ პეიზაჟების ნიმუშებში ავტორი ცდილობს განზოგადებას მიაღწიოს, ფერწერული და სასურათო ამოცანებით დატვირთოს, მაგრამ ამ პრინციპს ყოველთვის ვერ ახორციელებს. პეიზაჟების ერთი ნაწილი ვიწრო ეტიუდური ხასიათისაა, ნაკლებად გააზრებული, ყოველთვის არ არის გამოკვეთილი მისი დამოკიდებულება რეალური სინამდვილისადმი.

ჩვენს ნიჭიერ მხატვარს ისიც გვიჩდა ვუჩჩიოთ, რომ კომპოზიციური ქმნილებები ნატურის უშუალო გამოყენებით, მრავალფეროვანი ეტიუდების, ჩანახატების გზით წარმოქმნას. მაშინ მისი ჩანაფიქრი თემის მოქალაქეობრივ ულერადობას უკეთ მიაღწევს. ასეთი გზით უფრო გამოჩნდება მკაფიო კოლორიტული გადაწყვეტის მისეული მანერა.

ეავით ჩიასამიძე

ჩვენი დღეების დიდი პროგრემის ზოგიერთი თავისებურების უსახელ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რე-
ვოლუცია და პროლეტარიატის დიქტა-
ტურის სახელშიციფოს შექმნა საუკუნის
უმნიშვნელოვანების მოვლენაა. აქედან
მკიდებული, საბჭოთა ხალხმა კომუნი-
სტური პარტიის ხელმძღვანელობით პო-
ლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ
განვითარებაში გადადგა ისეთი ნაბიჯები,
რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიო-
ბის ისტორიას. საბჭოთა ხალხის თვედა-
დებული შრომის უმნიშვნელოვანების
შედეგია ჩვენს ქვეყანაში აშენებული გა-
ნვითარებული სოციალიზმის საზოგა-
დოება.¹

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე
საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი
სისტემა დიდად მოწიფებული ხდება;
იქმნება ინტენსიური მეთოდებით ეკრ-
ნომიკის განვითარების მიზეულური პი-
რობები. წარმოების ოვისებრივად ახალი

1 დიდი ოქტომბრის სოციალისტური
რევოლუციის მე-60 წლისთვის შესა-
ხებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის
1977 წლის 31 იანვრის დადგენილება,
თბ., 1977, გვ. 9

დონე და მასტაბები საშუალებას გვა-
ძლევს უშუალოდ გადაწყვეტოთ კომუ-
ნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის
შექმნის ამოცანები, უზრუნველყოთ
მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვე-
რელი გაუმჯობესება.

სკკპ XXV ყრილობასა და სკკპ ცენ-
ტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქ-
ტომბრის პლენურზე განისაზღვრა მეოთე
ხუთწლედის მთავარი ამოცანა — განვა-
ხორციელოთ კურსი, რათა საზოგადოე-
ბრივი წარმოების დინამიკური და პრო-
პორციული განვითარების და მისი ეფ-
ექტივურობის ამაღლების, მეცნიერულ-
ექტივურობის პროგრესის დაწესების,
შრომის ნაყოფერების ზრდის, სახა-
ლხო მეურნეობის კველ-
რგოლში მუშაობის ხარის-
ხის კოველმხრივი გაუმჯობესების და
განვითარების მიზანის მიზანის მიზანის
ლოგიკური დონე.²

2 სკკპ XXV ყრილობის მასალები,
თბ., 1976, გვ. 159-160

ამიტომაა, რომ მეათე სუთშლედს ეფექტუანობისა და ხაიისაის სუთშლედი აქვთ. პარტიის კ. კ. ყრილობაზ სახელ-შიცო საბერენეო ორგანოებს მისცა სწორი ორიესტირი — ეფექტუანობისა და ხარისხისათვის ბრძოლა აძარად მოიცავს შთელი ჩვენი საქმიანობის ყველა შრაოებს.³ და ასეთი ეკონომიური სტრატეგია არა შეძითხვევითი.

ერშომის ხარჯს სიარივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის პარტიი ყოველთვის ზრუხავდა. მაგრამ დღეს რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა უნდა გარეიხილოთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სიმაღლიდან. ქვეყნის ინდუსტრიული სიძლიერის ზრდისა და საჭარმოო ძალთა აღმავლობის საფუძველზე მთელი სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაცია სულ უფრო შეტაც იქცევა ეკონომიკის ზრდის მთავარ ფაქტორად.

სოციალისტური წარმოების ეფექტუანობის კრიტერიუმი — უმცირესი დანახარჯებით უდიდესი შედეგების მიღება — მთელი საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება და ასახავს მას. იგი საშუალებას იძლევა ავარიალოთ ხალხის ცხოვრების დონე.

მეათე სუთშლედში ფრიად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიური ზრდის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ეს იმიტომ, რომ ეფექტუანობისა და ხარისხის სუთშლედში შეუძლებელია ეკონომიკის ზრდის ასებითი დაწერება, თუ განვითარებას წარმოების რესურსების რაოდენობრივი მატების საფუძველზე თან არ ახლავს ეკონომიკის ზრდა უპირატესად ასებული რესურსების უკეთ გამოყენების ნიადაგზე. საზოგადოების ეკონომიური განვითარების ინტენსიურა ფაქტორებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ.

წარმოების ეფექტუანობას მრავალი პარამეტრი აქვს — წარმოების ეფექტუანობისა ნობა დამოკიდებულია დანახარჯით სისტემაში შემავალი ცველი შემადგენელი ელემენტის გაუმჯობესებულ ფუნქციონირებაზე; წარმოების ხარჯებში უმნიშვნელოვანესია შრომით, მატერიალური და ფულადი დანახარჯები. შრომითი დანახარჯების, იქნება ეს ციცხალი თუ გაზიოვებული შრომა, შემცირებას მივუკერთ წარმოების ეფექტუანობის ზრდისაჲნ. ასევე წარმოების ეფექტუანობა იზრდება მასალების მომჭირნეობით, რაციონალურად გამოყენების მეშვეობით. იგივე ითქმის კაპიტალურ დაბანდურებათა რაციონალური გამოყენების მიმართაც.

მიმდინარე სუთშლედში წარმოების ეფექტუანობის ზრდაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის. მაგრამ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თაოქოს ეფექტუანობა და ხარისხი თრი სკვადასხვა ზოგადობა იყოს. პირიქით, ისინი მთელის მომენტებია, სადაც ეფექტუანობა ხარისხს გულისხმობს და პირიქითაც, ხარისხი ნიშავს ეფექტუანობას. სკპ კ. კ. ყრილობაზე იღნიშნა: „ხარისხის პრობლემა ჩვენ ძალიან ფართოდ გვესმის. იგი მოიცავს სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს. მაღალი ხარისხი — ეს არის შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვა, საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდა, ხოლო საბოლოო ანგარიშით საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ, უფრო სრულად დამაყოფილება. სწორედ ამიტომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზანს უნდა ემსახურებოდეს დაგეგმვისა და მართვის მთელი მექანიზმი, მატერიალური და მორალური წახალისების მთელი სისტემა...“⁴

უნდა აღნიშნოს, რომ ამასთან ერთად ეფექტუანობა და ხარისხი აბსოლუტურად იღენტური არ არიან. მართალია,

3 ლ. ი. ბრექნევი, სიტყვა სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენურზე 1976 წლის 25 ოქტომბერს, თბ., 1976, 83-12-13.

4 სკპ კ. კ. ყრილობის მასალები, 83-60

ჰარისის ეფექტიანობას აუცილებლად ჩიშნავს, მაგრამ ეფექტიანობა მთოლოდ ჰარისზე არ დაიყვახება.

რა რიგის ურთიერთობაა ეფექტიანობას და ხარისხს შორის? ამ კითხვას პასუხი რომ გაცემ, საჭიროა ეფექტიანობის არტეგორიის მოქლე ანალიზი შაინც.

პოლიტიკური ეფონომიის კატეგორიათა შორის ეფექტიანობის სისტემატური და სერიოზული შესწავლა უკანასკნელ ათწლეულში დაიწყო. ამ გარემოებას აქვს თავისი ახსნა: კურსი წარმოების ინტენსიური განვითარებისაკენ ჩვენმა პარტიის აილო მეცხრე ხუთწლელში, კურსი, რომელიც ახლაც გრძელდება და გულისხმობს კვლავწარმოებას. ფაქტორთა არა მარტო რაოდენობრივ გადაიდებას, არამაღ პირველ რიგში, თვისებრივ გაუმჯობესებას.

პოლიტიკონომიაში ეფექტიანობის ცნება (ლათინური effectus — მოქმედება) შედევგანობის ცნებასთანაა დაკავშირებული და ის უნდა გავიგოთ, როგორც რაიმე მოქმედების, მოღვაწეობის შედევი. ამ მხრივ ეფექტიანობისა და შედევგანობის ცნებები პოლიტიკურ ეკონომიაში გამოიყენება ორმაგი აზრით.

ერთი მხრით, ეფექტიანობა ესმით როგორც თანაურადობა წარსულში დაზიანებული და ახლადშეერთებული შრომისა პროდუქტების მასასთან, რომელიც ამ შრომათა შეერთებით მიიღება. წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრას ამ სიდიდეთა შეფარდებით დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

მეორე მხრით, ეფექტიანობაში გულასხმობენ განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმის მეურნეობრიობის შედევგანობას იმ კრიტიკუმების გათვალისწინებით, რომელიც გამომდინარეობს წარმოებით ურთიერთობათა ხასიათიდან, წარმოების მიზნის ხასიათდან და იმ დანახარჯებიდან, რომლის განხორციელებაც გვიხდება სასურველი შედევის მიღების მოლოდინში.

ვევგარად, ეფექტიანობის კრიტერიუმი წარმოების ყოველი წესისათვის უკუნის ციფრულია. ის განკირხბებულია განკუნილი რიგში, წარმოებით ურთიერთობათა გაბატონებული სისტემით, რომელიც განსაზღვრას როგორც მეურნეობრიობის სუბიექტს, ასევე მეურნეობრიობის მეორებისაც.

კაპიტალისტური წარმოების მიზანი არის მოვაბის მიღება (ზედმეტი ღირებულების გარღვევის ფორმა), ამიტომ კაპიტალისტური მეურნეობრიობის ეფექტიანობა განისაზღვრება მონოპოლისტური მოვაბის ნორმით. ეფექტიანობის სხვა არავითარი კრიტერიუმი კაპიტალიზმის დროს არ არის და არც შეიძლება იყოს.

სულ სხვა მდგომარეობაა სოციალიზმის დროს. სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი, ალებული საზოგადოების მასშტაბით, მთლიანად განისაზღვრება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონით.

აქედან გამომდინარე სოციალისტური წარმოების ეფექტიანობა, როგორც მეურნეობრიობის ეფექტიანობა საზოგადოების მასშტაბით, სავსებით სპეციალისტურია; ამ ასპექტში სოციალისტური წარმოების მიზანია არა ღირებულების ზღდა, არამედ განსაზღვრული სტრუქტურის ერთობლივი პროდუქციის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა შევრის კეთილდღეობის ამაღლებასა და ყოველმხრივ განვითარებას.

რა გზით შეიძლება ამ მიზანის მიღწევა — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება? წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას მივაღწევთ ტექნიკური პროგრესის, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების სრულყოფის, საწარმოო ფონდებისა და კაპიტალური დაბანდებების გამოყენების გაუმჯობესების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, უმცაცრესი ეკონომიური რეების განხორციელების, ქვეყნის ეკონომიკისაღმი ხელმძღვანელობის, წარმოების ეკონომიური სტიმულირებისა და დაგე-

მშვიდ სრულყოფის, საწარმოთა სამეუ-
ძნეო დამოუკიდებლადისა და ინიცია-
ტივის გაფართოების, მშრომელთა მა-
ტერიალური და მორალური დაინტე-
რესების მაღლების საფუძველზე და
სხვა.

მიმღინარე ხუთწლედის ერთ-ერთი
მთავარი გაფართოების ეფექტიანო-
ბის ამაღლებაში მთავარი სიმძიმის გა-
დატანა პროდუქციის ხარისხის ძირეულ
გაუმჯობესებაში. სახალხო მეურნეობის
ჩველა დარგი მოწოდებულია გამოუშ-
ვას პროდუქცია ტექნიკურად მოწინავე,
მაღალი ხარისხის მიერნებლებით.
მაღლება მანქანების, ხელსაწყობისა
და მოწყობილობების ნაყოფიერება, ხან-
გამძლეობა და სამეცნობა. მატულობს
მანქანა-ძრავების სიმძლავრე, მცირდება
მათი წინა სიმძლავრის ერთეულზე. მა-
ღლება იმ ნედლეულისა და მასალების
ხარისხი, რომელსაც მომპოვებელი მრე-
წყელობა დამშუშავებელი მრეწყელობას
აწევდის. ფართოვდება სახალხო მოხმა-
რების საქონელთა ასორტიმენტი და
უზრობესუება მათი ხარისხი.

ჩველა სახის პროდუქციის ხარისხის
ამაღლებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშ-
ვნელობა აქვს სახელმწიფო სტანდარ-
ტების მარეგულირებელ და მაკონტრო-
ლებელ როლს; იმას, რომ ისინი შეესა-
ბამებოდნენ მცირდებულ - ტექნიკური
პროგრესის მოთხოვნებს. პროდუქციას
ხარისხის ამაღლებაში დიდ გავლენას
აქდენს საზოგადარეთის ქვეყნების მო-
წინავე სამეცნიერო და ტექნიკური მი-
წვევების ყოველმხრივი გამოყენება. ამ
შინობ ვითარდება საერთაშორისო სა-
მეცნიერო და ტექნიკური თანამშრომ-
ლობის სხვადასხვაგარი ფორმები.⁵

ჩასავირცელია, ხარისხისათვის ბრძო-
ლა უპირველეს ყოვლისა ნიშანებს ყვე-
ლა სახის სასაქონლო პროდუქციის ხა-
რისხის ამაღლებას. ეს იმიტომ, რომ ხა-
რისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვან-

წილად ცვლის გამოშვებული პროდუქ-
ციის თვისებრიობას და საბოლოო ანგარიშების
რიშით უფრო მაღალხარისხოვანი პრო-
დუქციის მცირე ნაწილი შედარებით
დაბალი ხარისხის მეტი რაოდენობის
საქონელს უთანატოლდება.

ნათებამის საილუსტრაციოდ მოვიკ-
ვანთ მაგალითს: მოსკოვის ელნათურე-
ბის ქარხნის ელნათურების მომსახურე-
ბის ვადა ნორმით 1000 საათია, ფაქტი-
ურად კი ისინი 600-800 საათს სდლებენ.
ქარხნამ ნორმით გათვალისწინებული
ელნათურები რომ გამოუშვას, ეს იქნე-
ბოდა 30-40%-ით მეტი ელნათურების
გამოშვების ტოლფასოვანი რაოდენობა.

XV ყრილობაში აღინიშნა, რომ
„უზარმაზარ ჩენერვებს შეიცავს პრო-
დუქციის ხარისხისა და სორტიმენტის
გაუმჯობესება. შარშან, მაგალითად,
ტყავის ფეხსაცმელი გამოვიდა დაახლო-
ებით 700 მილიონი წყვილი, თითქმის 3
წყვილი ერთ კაცზე. და ოუ ჯერ ვერ
ვამაყოფილებთ მოთხოვნას ფეხსაცმე-
ლზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვაკელია
მაღალხარისხოვანი, მოღური ფეხსაცმე-
ლი. დაახლოებით ასეთივეა მრავალი სა-
ხეობის ქსოვილების, შეკერილი და სა-
გალანტერიო ნაწარმის, საყოფაცხოვრე-
ბო ტექნიკის, ავეჯისა და სხვა პროდუ-
ქციის გამოშვების საქმე“.⁶

მაგრამ მიმღინარე ხუთწლედის თავი-
სებურება მარტო პროდუქციის ხარის-
ხის ძირეული გაუმჯობესებით არ ამოი-
წურება. მართალია, წარმოების ეფექ-
ტიანობის ზრდაში, რადგან მეოთე ხუთ-
წლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუ-
თწლედია, მთავარი ყურადღება ხარის-
ხზე უნდა იქნას ვაღატანილი, მაგრამ
ხარისხის პრობლემა მხოლოდ გამოშვე-
ბული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობე-
სებაში არ დაიყვანება. ყრილობის მასა-
ლებში ონიშნულია: „ი გ ი (ხარისხი,
— დ. დ.) მ ო ი ც ა გ ს ს ა მ ე უ რ-
ნ ე ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ც ვ ე ლ ა
მ ხ ა რ ე ს (ხაზი ჩვენია — დ. დ.). მა-

5 სკეპ XXV ყრილობის მასალები,
გვ. 76.

6 იქვე, გვ. 75.

ლალი ხარისხი — ეს არის შრომისა და მატერიალური რესურსების დაზოგვა, საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდა, ხოლო საბოლოო ანგარიშით საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ, უფრო სრულად დაყმაყოფილება.⁷

ამგვარად, მეათე ხუთწლედში წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების პრობლემა შეიძლება განვიხილოთ შხოლოდ პროდუქციის ხარისხის, მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის მკვეთრი ამაღლების პრობლემასთან განუყოფელ კავშირში. ხარისხი ერთდროულად არის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საშუალებაც და შედეგიც. საშუალება იმიტომ, რომ მხოლოდ მთელი სამეცნიერო მუშაობის მაღალ ხარისხს შეუძლია უზრუნველყოს დიდი ეფექტიანობა, შედეგი — იმიტომ, რომ მხოლოდ ეფექტიან წარმოებას შეუძლია უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი ხარისხი და უფრო სრულად დააქმაყოფილოს საზოგადოებრივი და პირადი მოთხოვნილებები.

მაშასადამე, საკითხი დგას ასე: მიზანი — წარმოების ეფექტიანობის გადაღება ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად; საშუალება — ინტენსიური ფექტორების, სადაც განსაკუთრებული ყურადღება სამეცნიერო საჭმიანობის უკელა დარგში ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას ეყრდნობა, ამოქმედება. პარტია განსაკუთრებული დაბეჭითებით უჩინეს უკელას რაციონალურად და მომშიორენობით იყენებდნენ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, ეწეოდნენ მომშიორენობისა და ყაირათოანობის რეემს, ეფექტიანად იყენებდნენ თითოეულ მანეთს, თითოეულ სამუშაო საათს, თითოეულ ტონა პროდუქციას. და ყველა ამ ოპერაციას საფუძვლად ედოს ხარისხის გაუმჯობესება. ასე რომ, ჩვენი ეკონომიკის განვითარების უმთავრესი გზაა უკვე შექმნილი პოტენცია-

ლის უფრო სრული გამოყენება.⁸

მეათე ხუთწლედში იმ პროცესში მოულობა, რომელიც შეესატყისება ხარისხის უმაღლეს მსოფლიო მოთხოვნებს, რამდენჯერმე გაიზრდება, ჩვენი ეროვნული სიმდიდრე სულ უფრო მეტად მომიატებს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხარჯზე.

ცნობილია, რომ ხარისხის პრობლემა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი უკელობები მწვავე პრობლემა.

გასული ხუთწლედის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის არაერთ საწარმოს დაუბრუნდა (ნაწილი — საწარმოო დეფექტების გასასწორებლად, ნაწილი — როგორც სრულიად უვარებისი) საერთო რაოდენობის 15-32 პროცენტი საქონელი. ამასთან არადამაყმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციის ხედაში ილიდან წლამდე იზრდება (1970 წელს ივი მთელი შემოწმებული პროდუქციის საერთო რაოდენობის 17 პროცენტი იყო, ხოლო 1975 წელს — 29,5).⁹

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უხარისხო ნაწარმს უშვებდა ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყო“ და სხვა. საწარმოებმა დეფექტების გასწორებისათვის ათასობით მანეთის დამატებითი ხარები გასწიეს.

ხარისხობრივი მაჩვენებლების გასარელად ხუთწლედის პირველ წელს დადი მუშაობა ჩაატარა საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ. ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის ხედრითმა წონამ 1976 წელს 15,7 პროცენტი შეადგინა, რაც ორჯერ აღმატება საერთო-საკავშირო და 3,5-ჯერ რესპუბლიკურ მაჩვენებელს. ამავმად ქ. ბათუმის სამრეწველო პროდუქ-

8 იბ. ა. გაბისონია, ხარისხი, მოგება-რეტაბელობა, თბ., 1976, გვ. 19-20.

ციის 20 პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. ცალკეულ საწარმოებში ეს პროცენტი უფრო მაღალია; მაგალითად ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში — 45, ელექტრომექანიკურში — 40.

წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების რეზერვების ძიება რესპუბლიკის მშრომელთა უურადღების ყენრტში დგას.

ავტონომიური რესპუბლიკის პარტი-

ულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აკადემიურის მშრომელებმა გადაწყვიტეს კლიფრისა და მეტობრის საიუბილეო წელს წარმოების საერთო მოცულობაში ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხევდრითი წილი გაზარდონ 23 პროცენტზე. ამით გარკვეული ნაბიჯი გადაიღმება სახალხო მეურნეობაში საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ინტენსიური, ხარისხობრივი ფაქტორების უპირატესი გამოყენების გზაზე.

მიხეილ მავრებაძე

კირველი ნაბიჯი

გამომცემლობა „საბჭოთა აწეა-
რამ“ მკითხველს მიაწოდა ახალ-
გაზრდა პოეტის დავით თელორა-
ძის ლექსების პირველი კრებუ-
ლი „ბეჭვის ხიდი“. ამ ლექსებ-
ის „ბეჭვის ხიდი“.

მინდა შეუმჩინეველი მამულს მეც არ ვყვალე,
ამ დალოცვილ მიწაზე მინდა არვის ვავდე.

თამამი განცხადება და სურვი-
ლია ახალგაზრდა კაცისა, რომე-
ლიც ეს-ესაა გამოვიდა სამწერ-
ლო ასპარეზზე და თავისი პირვე-
ლი ნაფიქტ-ნააზრი გაანდო მკით-
ხველს. „ამ დალოცვილ მიწაზე მი-
ნდა არვის ვგავდეო“, ამბობს
იგი, ვინც თხუთმეტსაუკუნოვანი
უძლიდღესი ტრადიციების მქონე
ქართულ ლიტერატურაში შემო-
დის.

ში გადმოცემულია სიხარული და
ტკივილები ადამიანისა, რომელ
საც აღელვებს თანამედროვეობა
და მასთან უარსულიც.

კრებულიდან მართლაც ჩანს,
რომ ავტორი ეძებს საკუთარ პო-
ეტურ ხმას. იგი უმღერის ჩვენს
დიალ ეპოქას, რომელმაც მის პა-
ტარა, უგზო-უკვლო მიყრუებულ
სოფელში არნახული, არგავნი-
ლი სასწაული მოახდინა — ძირ-
ფესვიანად უცვალა მას იერსახე.
პოეტი ამაყობს ამ ცვლილებე-
ბით, ამ დიდი გარდაქმნებით:

წასულან წლები,
ბოროტს ხდია კეთილმა — ვიცით,
სულ სხვა ცხოვრებამ აიტაცა აწლა სოფელი,
მე ისე მატყბობს გაზაფხული მშობელი მიწის,
როცა ვუცემერი გზებს და სახლებს შუქით მოფენილს,
მაღლობელი ვარ, ვამბობ ჩემთვის და მთა მიბრუნებს,
მაღლობელი ვარ, მაღლობელი, ექოს გუგუნით
და მიხარია
უმაღური არავინ არის
ახალ ცხოვრების, ახალი გზის და საუკუნის.

დ. თელორაძისათვის საერთოდ
დამახასიათებელია საკუთ არი
ოდა-სახლიდან, ეზო - მიდამოდან,
საკუთარი სოფლიდან ჩვენი დია-
დი სამშობლოს წინსვლისა და
აყვავების დანახვა. იგი გატაცე-
ბით უმღერის შშობელ მხარეს,

მის მთა-გორებსა და მინდორ-ვე-
ლებს. ამ თემაზე რამდენი კარგი და და-
ლექსი დაწერილა, მაგრამ ახალ-
გაზრდა პოეტი ცდილობს სამშო-
ბლოს სიყვარულის გრძნობა ახა-
ლი ინტონაციებითა და ფერებით
გადმოგვცეს:

შენ ცას მზე და სითბო არ აკლია,
სიყვარულს — ოცნება და ხმა ფაცლურის...
მე მტკივა შენი ანაკლია,
გულში დარდა გაფანტული.
ბობოქარი სული არ იღლება,
ვიცი სიყვარული უდიდესი,
სამოთხის კარი გაიღება —
საქართველოა უწმინდესი.

შეიძლება ვინმემ თქვას: სამო-
თხესთან საქართველოს შედარე-
ბა არ ახალია, ძველიაო. მაგრამ
ეს მაიაკოვსკისეული მეტაფორა
პოეტს კარგად აქვს მომარკვებუ-
ლი ყველა პატრიოტისათვის ახ-
ლობელი და გასაგები ძველი
ტკივილის განსაცდელად, ამ ფო-
ნზე ახალი საქართველოს ბედი-
ერი დღევანდელობის ნათელი
სურათის წარმოსახენად.

პოეტისათვის სამშობლოს დღე-
ვანდელობა გულწრფელი აღტა-
ცებისა და აღზევების სიმბოლოა,
მაგრამ საქართველოზე საუბრი-
სას მას მუდამ ეძალება სევდა.
წინაპართა ოფლით, სისხლითა და

ძვლებით გაპოხიერებული მშობ-
ლიური მიწა ყოველ მამული-
შვილს ისეთ გრძნობას აღუძრავს,
რომელიც შესანიშნავად გადმოს-
ცა აღრე წასულმა ნიჭიერმა პო-
ეტმა შალვა ლორთქითანიძემ: „მე
მეშინა თამარის საფლავს, რომ
საღმე ფეხი არ დავაბიჯო“. და-
ვით თელორაძე ამ მოტივს ავითა-
რებს; თვითმფრინავიდან მშობელ
მიწაზე რომ დგამს ფეხს და მოკ-
რძალებით იღებს ამ მიწას, თით-
ქოს პირად განწყობას გადმოვგ-
ცებს, სინამდვილეში კი განაზო-
გადებს ამ კონკრეტულ ფაქტს და
შთამბეჭდავ მხატვრულ სახეს-
ქმნის:

დაბრუნებოდეს ყველა შვილი სალოცავ ადგილს,
დაბრუნებოდეს,
ვისაც უყვარს წინაპრის ლანდი,
ვინც სანთელს უნთებს,
ხსოვნის სანთელს, ლომებს კრწანისის,
ვინც ცოტნესავით სულს ამხებს ძმების გულისოვის,
ვისაც გული აქვს და სიყვარულს ვინაც განიცდის...

პოეტს ღრმად სწამს სამშობლოს უკეთესი მომავალი და ხოტბას ასხამს იმათ, ვინც ამ მომავლის საკეთილდღეოდ შრომობს და იღწვის. უცხოეთში მოგზაურობის დროსაც მისი ფიქრები

მამულს დასტრიალებს. სწორედ ამ ფიქრით, უშუალო შთაბეჭდზე მომენტითა და ასოციაციებითა შექმნილი უსათაურო ლექსი, რომელიც პოეტს მონღლოეთის დედაქალაქში ყოფნამ შთააგონა:

თეთრ ცათამბჯენთან შევჩერდი წუთით,
ვიგრძენი სუნთქვა სუხე-ბატორის,
ასე მეგონა, ძევლი სისხლისთვის
ბოდის მიხდიდა ულან-ბატორი.

ახალგაზრდა პოეტი ფილოსოფიური ჩაფიქრებით მსჯელობს სიკვდილ-სიცოცხლის მარადი-ულ პრობლემებზე და მიაჩინა, რომ კაცური კაცის, ნამდვილი მამულიშვილის თვისება ამ ქვეყნიდან განრიდება და განდგომა კი არ არის, არამედ ცხოვრებაში აქტიური შეჭრა და მის პროცესებზე კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა.

პოეტმა იცის, რომ „არ არია ქვეყნად ყოფნა მარტივი“, მაგრამ აღამიანმა ბოლომდე ცისფერი გზებით უნდა იაროს, ესე იგი, ყოველდღიურობის მოჩვენებით ერთფეროვნებაში ამაღლებული, პოეტური ეძიოს და ჰპოვოს. თვითონ იგი ყველაფერში ეძებს სიცოცხლეს, ეძებს დიადს და გასაკვირს. ამიტომ არ ჩანს არაბუნებრივი ცხოვრებასთან მისი გასაუბრება:

დღე ჩვეულებრივ გაიარს,
დღლა, შუადღე, საღამო...

სიცოცხლე ისე კაია,
დამტოვე დაუსაბამოდ.

სხვა ლექსში ნათქვამია: „რა ვენა, ვერასდროს ვერ წარმოვიდგენ იმ დღეს, როდესაც მე არ ვაკენები“. რა მაღლა დგას ეს აზრი კაცომოძულე ნიპილიშმის ფილოსოფიაზე: ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე დადუღებულო.

მაგრამ სიკვდილი საშიში არ არის, სიკვდილი უკვდავებაა, თუ კაცმა მამულიშვილური ვალი კეთილსინდისერად მოიხადა და თვისი არსებობით სამშობლოს, ხალხს რაიმე არგო. ეს აზრი აცისკროვნებს ორ ლექსს — „მამულის ცაზე ვარსკვლავები მუდამინათებს“ და „მეორედ მოსვლა ამაღლ არ მწამს“, რომელთაც ეპიგრაფად ეპიტაფიების სტრიქონები უძღვის. მათში ვალმოხდილი აღამიანები გვესაუბრებიან. მათი საქმეები მათი ხსოვნის მარადისობაზე ღალადებენ:

რადგან ჩვენ მოკვდით საქართველოს გადასარჩენად,
ჩვენი სიკვდილი სიცოცხლეს ნიშნავს.

ეს სტრიქონები აფორისტულად უღერს!

ერთ-ერთ ლექსში დავით თელორაძე ამბობს: „მიწაში ფესვი

ისე გამიდგამს, რომ სიყვარული ჰარობდეს მხოლოდ“ სიყვარული არა მხოლოდ ქვეყნისა და ხალხისა, არამედ ზღვისფერთვალა ასულისაც. ეს გრძნობა აშალებს და


აკეთილშობილებს ადამიანს. ჩვეულების ნი პოეტიც კარგად გრძნობს სიყვარულის ძალას და ამ მარადიულ გრძნობას გულწრფელ სტრიქონებს უძრენს:

სულ ცოტაც და გაზაფხული მოვა,
ატმის კვირთი იბუტება როგორ?!
გაზაფხული სიყვარულის დროა,
გული გქონდეს,
გული გქონდეს ოლონდ.

კაცი მუდამ სიყვარულისაკენ მიისწრაფვის, ხოლო როცა გულწრფელად უყვარს, საფიქრალი და საზრუნვი ემატება. ეს ფიჭრი და ზრუნვა ადამიანური ცხოვრების სილამაზეს ქმნის. სიყვარული პოეტისათვის მუდმივი, მარადიული გრძნობაა. იგი ვერ იტანს მისდამი ზერელე, ქარაფუტულ დამოკიდებულებას, როცა „დღეს ერთი უნდის, ხვალე სხვა“.

დავით თედორაძეს ეხერხება ჸალხური პოეზიის ინტინაციების

უნარიანი მომარჯვება და მათი მოშველიებით ისეთი სახეების პოვნა, რომლებიც ლექსებს მარტო მხატვრულობას და ფერწერულ სილამაზეს კი არ ანიჭებს, არამედ იდეურ სიმძაფრესაც.

პოეტს ეხერხება კალმის ერთი მოსმით შთამბეჭდავი სახეების შექმნა. ეს ჩანს თუნდაც პატარა ლექსებშიც. ერთი მათგანი უსათაუროა, მაგრამ ჩვენ „გალაკტიონს“ დავარქმევდით, ლექსის პოეტური აქსესუარი სწორედ დიდ პოეტს მიგვანიშნებს:

დაღლილ მედუქნეს უკანასკნელ გროვებს ჩაუყრის,
აჟვევბა კიბეს,
გარეთ ისევ ბარდის და ბარდის,
უჩინარება მერე უცებ ქუჩის ხმაურში
მთა — მოხეთქილი პოეზიად, ფიქრი და დარდი.
მერე ატყდება ყრუ ჩიჩქოლი, რაზე ვინ იცის...
შეწყდა თოვა და მთაწმინდაზე მთვარე მიცოცავს,
გახარებულა პირველ თოვლით მთელი თბილისი,
ისიფრ თოვლის საიდუმლო ერთმა იცოდა.

ახლა ცალკეული მეტაფორები და ეპითეტები ავიღოთ. უდავოდ მოსაწონი მხატვრული სახეებია „დავიმორჩილე ურა კვიცივით და ცერზე მიზის ჩემი ასაკი“, „ვიზრე შევკრავდე დღეებს სატივედ...“, „ნაბახუსევი მთვარე ბან-

ცალებს“, „იქ ახლა ცისფერ ხალათით ქვაზე ჩემი ბავშვობის დღეები სხედან“, „ყანწის წვერზე გატყდა ღამე“, „სიცოცხლით მთვრალს იქნებ ყვავილებში ჩაგთვლიმა, იქნებ მორცხვმა კესანემ თავი მოგანათვლინა“ და ა. შ.

სარეცენზიო კრებულის ყველა
ნაწარმოები თანაბარი სიძლიერი-
სა როდია. ჭეშმარიტი ნიჭით აღ-
ბეჭდილ ლექსებთან ერთად ზე-

თუ გინდა იყო შენი ხალხის ბრდვალა შულთან,
გიდრე იცოცხლებ, მამულისთვის იზრუნე მუდამ.

ორჯერ ხმარობს იგი „სემირა-
მიდას ბაღს“ თითქმის ერთმანე-
თის გვერდით მოთავსებულ ლექ-
სებში (გვ. 32, 34). ნაცნობი ინ-
ტონაციები გამოსჭვივის სტრიქო-
ნებში „ამ გულივით ხალასი სიყ-
ვარული მინდა“ და „მე ძლიერ
მიყვარს ზაფხულში მთები“ (გვ.
33, 35). პრიმიტივიზმი იგრძნობა

ველარ გამიგვ და ეს არც მიკვირს,
შენთვის ციხეა გრემიც, ბაგრატიც.
ისე ძუნწი გაქვს სული და გრძნობა,
ვით ორი რიცხვის ჭამის კვალრატი.

5

როცა სივიუს ზარი დარეკავს,
აიზღაულება საწუთრო შეფოთი,
ავსილი ჩემი ფიქრის ჩარექა
აგდია, როგორც მოჭრილი ტოტი.

(„ახლა კი დროა, დრო საღი განსჯის“)

ამ წიგნს „ბეჭვის ხიდი“ ჰქვია. სახელწოდების მიზანმიმართებას მიგვანიშნებს ერთი უსათაურო ლექსის სტრიქონები:

რა იქნებოდნენ არაველები
უშეშვისსიდოდ
და უკრწანისოდ.

სახელწოდების გამამართლებე-

ლაპირული, ზოგჯერ ცივი, გულული
ბაჭვრეტითი სტრიქონი თუ ლექ-
სი გვევდება.

რითმაში „კარტივით — მარტი-
ვი“ (გვ. 32), რითმას ეჭირება
სწორი გრამატიკული ფორმები:
„თურმე, ქალებიც ასე არისო“
(გვ. 36).

ისეც ხდება, რომ ზოგჯერ ირ-
ლვევა აზრებისა და სახეებისა
მწყობრი დინება და მკაფიო პოე-
ტურ ნახატში ჩინდება შეუთავსე-
ბელი დეტალები:

ლი სხვა მინიშნება წიგნში არ
არის. ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ
დავით თელორაძემ წარმატებისა
გადალახა ბეჭვის ხიდი და თამა-
მად შემოვიდა ჩვენს ლიტერატუ-
რაში. ამ წიგნისათვის მან ბევრი
ითიქრა, რასაც უკვალოდ არ ჩა-
უვლია.

3560 40 853.

8/132/139



СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ
СССР

1958

1958

1958

1958

1958

1958

1958

1958

1958

1958

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ

ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118